



*მანამ ვუზუმვიდეთ სხედართვის*

# ეკონომიკის ინსტიტუტი

*1944-2014*

*თბილისი*

*2014*

UDC(უაკ) 061.62:33(479.22)

პ-121

წიგნი ეძღვნება ჰაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 70-ე წლისთავს. იგი მოგვითხრობს ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის და მისი თანამშრომლების შესახებ

რედაქტორი

**რამაზ აბესაძე**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი პირი

**ზურაბ წერეთელი**

ენობრივი რედაქტორი

**სესილი ხანჯალაძე**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პასტა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2014

**ISBN 978-9941-13-355-8**

## სახელოვანი 70 წელი\*

ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანი თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია. მას დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. ეს გზა მან, წინააღმდეგობების მიუხედავად, ღირსეულად განვლო და ახლაც წარმატებით აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელსაც მისმა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი, ინსტიტუტის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეთაურობით.

საშტატო განრიგი საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულმა საშტატო კომისიამ 1944 წლის 15 აპრილს დაამტკიცა, მუშაობას კი ინსტიტუტი ფაქტობრივად მაისიდან შეუდგა. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება №734 – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ“ მიღებულ იქნა 1944 წლის 29 ივნისს, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტის შტატი განისაზღვრა 16 ერთეულით (დირექტორი, სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სამი სექტორის გამგე, სამ-სამი უფროსი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიბლიოთეკის

---

\* წიგნში გამოყენებულია მასალები წიგნიდან: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 1944–2009. თბ., “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2010.

გამგე და ოთხი ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი).

მაშასადამე, ინსტიტუტი ოფიციალურად 1944 წლის 29 ივნისს დაფუძნდა. სწორედ ამიტომაც, 2009 წელს ინსტიტუტის დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, 29 ივნისი ინსტიტუტის დაარსების დღედ გამოცხადდა და მას შემდეგ ამ დღეს არა ერთი ღონისძიება ეძღვნება. ამის დასტურია თვით ეს წიგნი.

ინსტიტუტის პირველი მეცნიერი თანამშრომლები იყვნენ: პროფ. პაატა გუგუშვილი (დირექტორი, განყოფილების გამგე), აკაკი კაკაბაძე (სწავლული მდივანი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ნიკოლოზ იაშვილი (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. იოსებ ბაჯაძე (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ივანე ჯაში (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ლევან ასათიანი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ლუარსაბ კარბელაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ნიკოლოზ ტყეშელაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ნიკანდრო ჯაკობია (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), შურა მარგველაშვილი (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), ია ყიფშიძე (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), მარი კაპანელი (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი). შემდეგ უახლოეს წლებში (1945-1950) ინსტიტუტში მუშაობას იწყებენ: ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან მეღვინაძე, სერგი ბერაძე, ვალერიანე ბახტაძე, კირილე

დღობერიძე, მიხეილ გველესიანი, მიხეილ კახეთელიძე, ვლადიმერ პაპავა, ნიკო დგებუაძე, დიმიტრი ქორიძე, ანდრო ფაცურია, ნიჟა ხურციძე, რაფიელ ხარბედია, ბექირბი ხასია, აპოლონ ნუცუბიძე, მამულა კეკელიძე, ქეთევან დადიანი, თამარ ლაბაძე.

ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ: პროფესორი პაატა გუგუშვილი (ინსტიტუტის დირექტორი), აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, პროფესორები: ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი და ნიკოლოზ ქოიავა, დოცენტები: აკაკი კაკაბაძე (ინსტიტუტის სწავლული მდივანი), იოსებ ბაჯაძე, ნიკო იაშვილი, ივანე ჯაში, ლუარსაბ კარბელაშვილი, ნიკოლოზ ტყემელაშვილი, ირაკლი მიქელაძე, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი კონსტანტინე ციმაკურიძე, სტატისტიკის სამმართველოს უფროსი გ. ფერაძე, მიწსახკომის საკოლმეურნეო განყოფილების უფროსი, დოცენტი შ. ჭელიძე.

\* \* \*

მართალია, ინსტიტუტის დაარსებასა და მის შემდგომ განვითარებაში ყველა მისმა პირველდამფუძნებელმა შეიტანა დიდი წვლილი, მაგრამ ამ მხრივ, მაინც, ფასდაუდებელია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება.

იმ დროისათვის ბატონი პაატა უკვე სახელმოსხვეჭილი პროფესორი იყო, იგი დიდ ინიციატივას იჩენდა საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუტის დასაარსებლად და მთავრობამ სწორედ მას დაავალა

ინსტიტუტის ფორმირების ორგანიზება, რაც მან პირნათლად შეასრულა. თავის გარშემო შემოიკრიბა მეცნიერ ეკონომისტთა საუკეთესო ნაწილი, სწორად განსაზღვრა ინსტიტუტის სტრუქტურა და სამუშაო თემატიკა და რითაც მას განვითარების სწორი მიმართულება მისცა.

ბატონმა პაატამ თავისი პიროვნული თვისებებით, დაუღალავი, მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით განაპირობა ინსტიტუტის დიდი ავტორიტეტი და მისი ფასდაუდებელი როლი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

\* \* \*

გარკვეულ პერიოდამდე ინსტიტუტში არსებობდა სამი სამეცნიერო დანაყოფი: სოფლის მეურნეობის სექტორი (პროფესორი **ნიკო იაშვილი**), მრეწველობის ეკონომიკის სექტორი (დოც. **იოსებ ბაჯაძე**) და სახალხო მეურნეობის ისტორიის სექტორი (პროფესორი **პაატა გუგუშვილი**).

ინსტიტუტში სხვადასხვა დროს ეკონომიკის განხრით ფუნქციონირებდა შემდეგი განყოფილებები: სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილება (გამგეები: ემდ, პროფ. **ნიკო იაშვილი**, ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე**, ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე**, ემდ, პროფ. **ამირან ჯიბუტი**); სახალხო მეურნეობის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი**); მრეწველობის ეკონომიკის (ემკ **იოსებ ბაჯაძე**, ემდ, პროფ. **კანდიდ ჩარკვიანი**, აკად. **ავთანდილ გუნია**); სოციალისტური

წარმოების გაადგილების (ემდ აკაკი კაკაბაძე); პოლიტიკური ეკონომიის განყოფილება (აკად. ავთანდილ გუნია, ემდ, პროფ. აპოლონ ნუცუბიძე, ემკ მერაბ გველესიანი); სტატისტიკის (ემდ, პროფ. მიხეილ კახეთელიძე); მიმოქცევის (ემდ, პროფ. აკაკი კაკაბაძე); სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის (აკად. პაატა გუგუშვილი); საბჭოთა ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის განვითარების (ემდ, პროფ. ბექირბი ხასია); საქართველოს ეკონომიკის ისტორიის (ემდ, პროფ. ბექირბი ხასია, ემკ ნათია შიოლაშვილი); სოციოლოგიის (აკად. პაატა გუგუშვილი); აღრიცხვისა და ფინანსების (ემკ შალვა ბურდული); სოციალისტური აღწარმოების (აკად. ავთანდილ გუნია); საქართველოს ეკონომიკის განვითარების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილება (ემდ, პროფ. ფესორი მიხეილ ჯიბუტი, ემდ მიხეილ თოქმაზიშვილი, ემდ, პროფ. ვალერიან დათუკიშვილი); მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემათა (აკად. ავთანდილ გუნია, ემკ ილია რუბინშტეინი, ემდ თამაზ ჩიკვაძე); აღწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის (ემდ არჩილ თეთრაული); აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ პრობლემათა (ემკ დურსუნ დიასამიძე, ემკ თენგიზ ქავთარაძე); ეკონომიკური განვითარების (ემდ გივი ბედიანაშვილი, ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე); არასაწარმოო სფეროს ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილება (ემკ რევაზ ჯავახიშვილი); სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გა-

მოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის (იმდ, პროფ. **ალექსანდრე ბრეგვაძე**); დემოგრაფიისა და სოციოლოგიის (აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი**, ემდ **ავთანდილ სულაბერიძე**); ეკონომეტრიკის (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია**); მაკროეკონომიკის (ემდ **არჩილ თეთრაული**, ემკ **ნანული არევაძე**); მიკროეკონომიკის (ემკ **ზურაბ სოსელია**, ემდ **თემურ ბერიძე**, ემდ, პროფ. **გიორგი პაპავა**, ემდ, პროფ. **რამინ მითაიშვილი**, ემკ **იზანათელაური**); საფინანსო და საბანკო სისტემების (ემდ **მიხეილ როკეტლიშვილი**, ემკ **თინა ქურდაძე**); რეგიონული ეკონომიკის (ემკ **ვახტანგ ბურდული**); აგრარული ეკონომიკის (ემკ **დურსუნ დიასამიძე**); ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (ემდ, პროფესორი **გიორგი წერეთელი**); ეკონომიკურ პროცესთა მართვის (ემდ, პროფ. **გიორგი ბერულავა**); ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის, სტატისტიკისა და აუდიტის (ემკ **თეა ლაზარაშვილი**); აგრარული, რეგიონული ეკონომიკის (ემდ **ვახტანგ ბურდული**); ეკონომიკური ინფორმატიკის (ემკ **ნანა ბიბილაშვილი**); ეკონომიკური აზრისა და სახალხო მეურნეოების ისტორიის (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია**); მართვის ეკონომიკური პრობლემების ლაბორატორია (ემდ **ვახტანგ ბურდული**); სისტემური გამოკვლევებისა და თბილისის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის ლაბორატორია (ემდ **გივი ბელიანაშვილი**); ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სექტორი (ემდ **როლანდ სარჩიმელია**);



ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა ლაბორატორია (ემკ **თენგიზ ხოშტარია, ემდ ლეო ჩიქავა**); აღრიცხვისა და ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ჯგუფი (ემკ **შალვა ბურდული**); შრომის ესთეტიკის ლაბორატორია (ფ/მმდ **ა. ჩხარტიშვილი**); სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის ლაბორატორია (ემკ, **დოც. რევაზ ჯავახიშვილი**); ინფორმატიკის ლაბორატორია (ემკ **გივი ლემონჯავა**); საგარეო ეკონომიკური კავშირების ლაბორატორია (ემკ **იზა ნათელაური**); მარკეტინგის ლაბორატორია (ემკ **მალხაზ შუბითიძე**); მენეჯმენტის ლაბორატორია (ემკ **თამაზ აქუბარდია**); მეურნეობრიობის ახალი ფორმების ლაბორატორია (ემდ **უშანგი სამადაშვილი**); რეგიონული მართვის ლაბორატორია (ემდ **ვასტანგ ბურდული**); აგრობიზნესის ლაბორატორია (ემკ **თენგიზ ქავთარაძე**); სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა კვლევის ლაბორატორია (ემკ **ლინა დათუნაშვილი**); ენერგო-ეკოლოგიის ეკონომიკურ პრობლემათა ლაბორატორია (ემდ **რამაზ აბესაძე**);

\* \* \*

ინსტიტუტის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკური აზროვნების კულტურის ამადლებისათვის. ამ ინსტიტუტში დაგროვებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით

ჩამოყალიბდა ეკონომიკური პროფილის რამდენიმე ინსტიტუტი და განყოფილება (მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის (1958), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის (1958), ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი (1946) ინსტიტუტების ეკონომიკური განყოფილებები).

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა არაერთგზის განიცადა ცვლილებები. 1957 წელს მის შემადგენლობაში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც მალე გარდაიქმნა სექტორად (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ წერეთელი. თანამშრომლები: ივანე სურგულაძე, ლამარა სურგულაძე, დავით ფურცელაძე, ვლადიმერ მაცაშვილი, ისიდორე დოლიძე, თამარ ცაგურია, გიორგი ნადარეიშვილი, თენგიზ ლილუაშვილი, აკაკი მენაბდე, გივი ჟვანია, ალბერტ აბესაძე, დიმიტრი ბარათაშვილი, რეჯინალდ დეკანოზოვი, ბადრი ხასან ფარვიზფური, ხუტა როგავა, რევაზ ჩიჩუა, მიხეილ კეკელია, ოთარ გამყრელიძე, ბესარიონ ზოიძე, იაკობ ფუტკარაძე, ჯონი ხეცურიანი, ელენე მისკარიანი, გიორგი ტყეშელიაძე, ლევან გიორგაძე, თედო ნინიძე, კარლო ბზიშვილი, ნიბლია უგრეხელიძე, მინდია უგრეხელიძე, მზია ლეკვეიშვილი, ჯამლექ ბაბილაშვილი, თამარ ებრაელიძე, გიორგი თოდრია, ირაკლი გოძიაშვილი, სულხან გოგინავა, რუსუდან ბაქანიძე, ედუარდ კემულარია, გივი გოლოშვილი, დოდო ჯულუხაძე, ჯემალ ლეონიძე, ჯუმბერ

რუსიაშივილი, მურთაზ გულედანი, მარია ცისკაძე, ქეთინო გაბელაია, ბესარიონ სეხნიანიძე, დავით ნადირაძე, მედიკო გვაზავა, მერაბ გელოვანი, თემურ გამცემლიძე, გოგი ლეჟავა, დავით დარახველიძე, გია ჭიღვარია, მაია ჩხატარაიშივილი, რევაზ ცინცაძე, თემურ ჯაფარიძე) და რის გამოც მას 1958 წელს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ეწოდა. 1988 წელს სამართლის სექტორი სამართლის ცენტრად გადაკეთდა (პროფ. თამაზ შავგულიძე).

ინსტიტუტში სამართლის სექტორი ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების კერად იქცა. მის წიაღში იურისტ მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა, რომელთა ნაშრომები მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემას (კრიმინოლოგიის, საერთაშორისო სამართლის, სახელმწიფოსა და სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვ.) ეძღვნება, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნულ სამართალშემოქმედებით წინსვლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თინათინ წერეთელის მოღვაწეობა, რომლის სამეცნიერო შრომებმა ეროვნულ იურიდიულ მეცნიერებას საყოველთაო აღიარება მოუტანა. ასევე აღსანიშნავია ისიდორე დოლიძის, ვლადიმერ მაყაშიელის, თამაზ შავგულიძის, დავით ფურცელაძის, გიორგი ნადარეიშივილის, გივი ჟვანიას, თენგიზ ლილუაშიელის, ოთარ გამყრელიძის, იაშა ფუტკარაძის, ჯონი ხეცურიანის, ბესარიონ ზოიძის, ლაშა ბრეგვაძის და სხვათა ნაშრომები.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების მიმართულებით დაწყებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ჩართული იყვნენ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **სერგო ბუაჩიძე**, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ბიძინა კელენჯერიძე**, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ზურა გალდავა**, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები **დავით კურტანიძე**, **დავით ჯაფარიძე**, **მზია ქებურია**, **ამასთან, დავით კურტანიძე** და **მზია ქებურია** ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულებით ინსტიტუტის პირველი ასპირანტები იყვნენ (ხელმძღვანელი **ბიძინა კელენჯერიძე**).

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წინადადებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ილია ვეკუამ თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული კვლევების გასაღრმავებლად ბრძანებით გადმოიყვანა 50-მდე თანამშრომელი, ძირითადად მათემატიკოსები. შედეგად, 1973 წლიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ფუნქციონირება დაიწყო ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევისა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორმა (ხელმძღვანელი **ფ/მმდ, პროფ. გვანჯი მანია**), რომელთანაც ერთად სექტორის მუშაობას ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი **რევაზ ჩიტაშვილი** წარმართავდა. მოგვიანებით სექტორის საორგანიზაციო საქმეები დაევალა **ფ/მმკ თენგიზ შერვაშიძეს**.

სექტორში თავიდან შედიოდა ორი განყოფილება და ერთი ჯგუფი. შემდეგ სექტორი გაფართოვდა და წარმოდგენილი იქნა ხუთ განყოფილებად:

1. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის (გამგე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელიზბარ ნადარაია, 1981 წლიდან ფ/მმდ თენგიზ შერვაშიძე);

2. მართვადი შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმდ რევაზ ჩიტაშვილი);

3. სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების (ფ/მმკ როლანდ სარჩიშელია);

4. შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმდ ომარ ღლონტი);

5. სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა განყოფილება (ფ/მმდ ესტატე ხმალაძე).

გარდა ამისა, სექტორში მუშაობდა პროგნოზირების მეთოდოლოგიის ჯგუფი (ვიქტორ სარაჯიშვილი).

სექტორის შემადგენლობაში მუშაობდნენ მეცნიერ თანამშრომლები: გურამ ბერიშვილი, შოთა ბერიძე, ირაკლი ბოკუჩავა, ტრისტან ბუაძე, მიხეილ ბრეგვაძე, ნიკო გამყრელიძე, ლეილა გვანცელაძე, დიმიტრი დუნდუა, ოფელია ებრაელიძე, შორენა ებრაელიძე, ნუგზარ ელბაქიძე, სიმონ ელოშვილი, ზურაბ ზერაკიძე, ნანული ლაზრიევა, გივი ლემონჯავა, ქეთევან მანჯგალაძე, იოსებ მელამედი, გურამ მირზაშვილი, ედიკ მნაცაკანოვი, მარინა მუჩიაშვილი, ელიზბარ ნადარაია, აჩიკო ოსიძე, რეზო

სალია, ვიქტორ სარაჯიშვილი, როლანდ სარჩიმელია, გია სოსხაძე, მერი ტალახაძე, თემურ ტორონჯაძე, როლანდ ტყეპუჩავა, ვობა ფელკერი, გივი ფიფია, ვოვა ფრიშლინგი, მზია ქებურია, გია ქინქლაძე, ომარ ღლონტი, თამაზ შაფათავა, მალხაზ შაშიაშვილი, თენგიზ შერვაშიძე, ლია ჩიტაშვილი, რევაზ ჩიტაშვილი, ელენე ჩიქოვანი, მერი ჩხეცია, ზურაბ ძაგნიძე, რევაზ ჭეიშვილი, ბადრი ხარაძე, ციალა ხახუბია, ესტატე ხმალაძე, ლევან ჯამბურია.

სექტორში ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოებიდან აღსანიშნავია რევაზ ჩიტაშვილის, ესტატე ხმალაძის, ელიზბარ ნადარაიას, როლანდ სარჩიმელის, ომარ ღლონტის, თენგიზ შერვაშიძის, ნანული ლაზრიევას, მზია ქებურიას, გივი ლემონჯავას, თემურ ტორონჯაძის, მიხეილ მანიას, ლია ჩიტაშვილის, ელენე ჩიქოვანის, გურამ მირზაშვილის, მერი ტალახაძის, ლევან ჯამბურიას ნაშრომები.

ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევათა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორის მეცნიერ მუშაკთა ძირითადი ნაწილი 1983 წელს შეუერთდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს, მეცნიერ მუშაკთა დანარჩენი ნაწილი გადაყვანილი იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელი კომისიის შემადგენლობაში.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დარჩა სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და

ოპტიმალური პროგრამირების განყოფილება, რომელიც ინსტიტუტის დირექტორის აკად. ავთანდილ გუნიას ინიციატივით ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სექტორად გადაკეთდა (ემდ როლანდ სარჩიმელია).

ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევის მიმართულების ძლიერი სამეცნიერო პოტენციალი თსუ ეკონომიკური კიბერნეტიკის კურსდამთავრებულთა და ასპირანტთა ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერული კადრებით შეივსო.

\* \* \*

ინსტიტუტის ბაზაზე 1963, 1989 და 1991 წლებში შეიქმნა სამი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი: საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი პროფესორი ვალერიან მელქაძე, თანამშრომლები: კანდიდ ჩარკვიანი, ნანული არევაძე, დომენტი მოურავიძე, გურამ ყუფუნია, გია ფირცხალავა, ალექსანდრე წერეთელი, ნიჟა ხურციძე, ილია მანაშეროვი); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი თამაზ შავგულიძე, ამჟამად დირექტორი პროფესორი ლაშა ბრეგვაძე).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის ინსტიტუტი (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა, ამჟამად დირექტორი პროფესორი ავთანდილ სულაბერიძე).

1989 წელს ინსტიტუტს კვლავ ეკონომიკის ინსტიტუტი ეწოდა, ხოლო 1991 წლიდან მაშინდელი დირექტორის, ამჟამდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით მისი დამაარსებლის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელი მიენიჭა.

2006 წელს ინსტიტუტე გამოყვანილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან და ჩამოყალბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და “ეწოდა სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი”

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის № 103 დადგენილების შესაბამისად, სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულად.

\* \* \*

ინსტიტუტის დაარსებიდან არაერთმა მეცნიერთანამშრომელმა გამოიჩინა თავი სამეცნიერო მოღვაწეობით. სამეცნიერო პროდუქციის სიუხვით გამოირ-



ჩვეიან: პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ავთანდილ გუნია, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან ბახტაძე, მიხეილ გველესიანი, ნიკო იაშვილი, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, მიხეილ კახეთელიძე, აპოლონ ნუცუბიძე, გრიგოლ ქარჩავა, ბექირბი ხასია, ვალიკო ჯიბლაძე, კირილე ლოლობერიძე და სხვა. 60-იან წლებში და 70-იანი წლების პირველ ნახევარში მათ შეუერთდათ: იზოლდა აბაშიძე, ნანული არევაძე, ვლადიმერ ახალაია, ოთარ ავალიშვილი, ლეო ბალანჩივაძე, ალექსანდრე ბრეგვაძე, ლეილა გუგუშვილი, რევაზ გოგონია, შალვა ბურდული, ვალერიან დათუკიშვილი, დურსუნ დიასამიძე, გრიგოლ თოდუა, ანზორ თოთაძე, არჩილ თეთრაული, იური კაპანაძე, შურა მარგველაშვილი, გიორგი მშვილდაძე, ვალენტინა მიშინა, ნოე პაიჭაძე, გიორგი პაპავა, ვალიკო რეხვიაშვილი, სერგო სოსელია, არჩილ სტეფანიშვილი, ვია ფირცხალავა, რაფაელ ხარბედია, კანდიდ ჩარკვიანი, გურამ ყუფუნია, დალი შენგელია, როზეტა ცხადაია, ალექსანდრე წერეთელი, თენგიზ ხოშტარია, რეზო ჯავახიშვილი, ამირან ჯიბუტი და სხვები. განსაკუთრებით შესამჩნევი და მნიშვნელოვანია ავტორთა ზრდა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე. ამ პერიოდში აქტიურ სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ: რამაზ აბესაძე, თამაზ აქუბარდია, რამაზ ახმეტელი, გივი ბედიანაშვილი, ციალა ბენაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, თემურ ბრელიძე, მარინა ბეგთაბეგიშვილი, ვალიკო ბუჩუკური, ციცილო გვრიტიშვილი, მერაბ

გველესიანი, ლილი გვენეტაძე, ლინა დათუნაშვილი, ხვთისო დარისპანაშვილი, ბონდო ზარნაძე, ლია თოთლაძე, გია თოფურია, მიხეილ თოქმაზიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ოთარ კანდელაკი, არჩილ კობახიძე, ვეგენი კირიკოვი, თეა ლაზარაშვილი, გივი ლემონჯავა, მედეა მელაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, მარინა მუჩიაშვილი, მაკა მდინარაძე, იზა ნათელაური, კოტე ნიჟარაძე, ვლადიმერ პაპავა, დავით პაქსაშვილი, ზურაბ რვეიშვილი, მიხეილ როკეტლიშვილი, როლანდ სარჩიმელია, ზურაბ სოსელია, აზიკო სისვაძე, ავთანდილ სულაბერიძე, უშანგი სამადაშვილი, ამირან სხირტლაძე, ნოდარ ულუმბერაშვილი, მზია ქებურია, თემურ ქოჩიაშვილი, თენგიზ ქავთარაძე, ნუნუ ქისტაური, თინა ქურდაძე, ნათია შიოლაშვილი, თამაზ ჩიკვაიძე, ელენე ჩიქოვანი, თინათინ ჩხეიძე, რომან ხარბელია, ქეთევან წიკლაური, ნუგზარ ცომაია, მარინე ცუცქირიძე, გიორგი წერეთელი, მიხეილ ჯიბუტი, მამუკა ხუსკივაძე, ნუნუ ყრუაშვილი და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი წერეთლის, ხვთისო დარისპანაშვილის, თემურ ბერიძისა და უშანგი სამადაშვილის მონოგრაფიებს სხვადასხვა წლებში მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის. 2000–2003 წლებში აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საქართველოს ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რამაზ

აბესაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი იოველ ასათიანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან დათუკიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იური კაპა-ნაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი პაპავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი როლანდ სარჩიმელია, სოფლის მეურ-ნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინა ჩხეიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი წერეთელი; ღირსების მედ-ლებით: ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დო-ცენტი ლინა დათუნაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერე-ბათა დოქტორი არჩილ თეთრაული, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იზა ნათელაური.

ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოცემულია მრავალი ნაშრომი. მათგან აღსა-ნიშნავია აკადემიკოსების პაატა გუგუშვილის, ავთან-დილ გუნias და ვასილ ჩანტლაძის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას, პროფესორების გიორგი წერეთლის, რამაზ აბესაძის, გიორგი პაპავას, თამაზ ჩიკვაძის და სხვათა მონოგრაფიები. მნიშვნელოვანია “ეკონომიკის ინსტი-ტუტის შრომების” კრებულის (მთავარი რედაქტორი პაატა გუგუშვილი) თხუთმეტი ტომის, კრებულის – “ეკონომიკა” – ექვსი ტომის, ინსტიტუტის თემატური სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის “საბაზრო ეკონო-მიკის განვითარების პრობლემები საქართველოში” ოთხი ტომის (პროფ. გიორგი წერეთლის რედაქცი-

ითა და წინასიტყვაობით), “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის” ექვსი ტომის (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე), ასევე კოლექტიური ნაშრომების “ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს კონცეპტუალურ-ნორმატიული მოდელი” (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. ვლადიმერ პაპავა), “სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია” (ხელმძღვანელი აკად. ავთანდილ გუნია) და “საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია” (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. ვლადიმერ პაპავა),

ინსტიტუტის კოლექტივი წარმატებით ახორციელებს კვლევის შედეგების ცალკე ნაშრომებად გამოცემას. ბოლო წლებში გამოიცა მრავალი ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია: “პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა”, თბილისი, “პდპ”, 2002 (ვლადიმერ პაპავა); **“Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism”**, New York: Universe, 2005 (ვლადიმერ პაპავა); “ცენტრალური კავკაზია (გეოპოლიტიკონომიური ნარკვევი)”, თბილისი, “სიახლე”, 2009 (ვლადიმერ პაპავა); „ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)“. თბილისი, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2010 (ვლადიმერ პაპავა); **Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After.** New York, Nova

Science Publishers, 2013 (ვლადიმერ პაპავა); **Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium**. New York, Nova Science Publishers, 2014 (ვლადიმერ პაპავა, თანაავტორი იური ანანიასვილი); “გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში”. თბილისი, "მეცნიერება", 2003 (გიორგი წერეთელი); "პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)". თბილისი, "მეცნიერება", 2004 (გიორგი წერეთელი, ნანა ბიბილაშვილი); "ეკონომიკური განვითარება". თბ., "მერიდიანი", 2006 (პროფესორი რამაზ აბესაძე); "ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი". თბ., თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014 (რამაზ აბესაძე); "მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში". თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008 (რამაზ აბესაძე, ემკ ერთერ კაკულია); "Структурные и инновационные проблемы экономического развития". თბ., „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2014 (რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული);

”

CA&CCPress, 2009. (გიორგი პაპავა); “ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები”, თბილისი, “უნივერსალი”, 2004 (რამაზ აბესაძე, რო-

ლანდ სარჩიმელია, ნანული არევაძე, მედეა მელაშვილი); **“თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი”**. თბილისი. „სიახლე“, 2012 (როზეტა ასათიანი); **„საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“**. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014 (როზეტა ასათიანი); **“საბაზრო ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა”**, თბილისი, “მეცნიერება”, 2003 (თინათინ ჩხეიძე); **“პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საკითხები”**, თბილისი, “პროგრესი”, 2003 (ალფრედ კურატაშვილი). **„კონსტიტუცია: ხალხის ინტერესებისადმი მისი დაქვემდებარების პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმები“**. თბილისი, “პროგრესი” (რუსულ ენაზე), 2010 (ალფრედ კურატაშვილი); **“ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე)”**, თბილისი, “მეცნიერება”, 2004 (ვახტანგ ბურდული); **“საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უსაფრთხოების ასპექტის გაძლიერება”**, თბილისი “გრიფონი”, 2004 (გიორგი ბერულავა); **„ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში“**. თბილისი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2013 (გიორგი ბრულავა, თანაავტორები: ფრ. გასმანი, მ. თოქმაზიშვილი)); **აგროეკონომიკისა და აგრობიზნესის საკითხები**”, თბილისი, “რუბიკონი”, 2003 (პროფესორი მურმან კვარაცხელია); **“ილია ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის პრობლემები საქართველოში”**. თბილისი.

გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012; (მურმან კვარაცხელია); „საერთაშორისო ბიზნესის პრობლემები“, თბილისი, “მეცნიერება”, 2004 (ემკ რევაზ ჯავახიშვილი); “ინფლაციური პორცესები: შეფასება და რეგულირება (საქართველოს მაგალითზე)” თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008 (ემკ თეა ლაზარაშვილი, ემკ ღია თოთლაძე); “საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება”, თბილისი, “მეცნიერება”, 2002 (ემკ იზა ნათელაური); „საერთაშორისო ეკონომიკის და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში (თეორია და პრაქტიკა)“. თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2013 (ი. ნათელაური); “მეაბრეშუმეობის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები საქართველოში”, თბილისი, “უნივერსალი”, 2004 (ემკ ღინა დათუნაშვილი); “ - ”,

, « »», 2004 (ემკ ნატა დავლაშერიძე); "აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში", თბილისი, "მეცნიერება, 2003 (ემკ თ. ქავთარაძე); “სამრეწველო ფირმის მართვის სრულყოფის აქტუალური საკითხები”, თბილისი, “უნივერსალი”, 2004 (ემკ ნუნუ ქისტაური); “ეკონომეტრიკის მეთოდების გამოყენების საკითხები და ძირითადი ეკონომეტრიკული მოდელები”, თბილისი, “მერიდიანი”, 2006 (ემკ მარინე ცუცქირიძე); „ერო-

ზიული ნიადაგების რეკულტივაციის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა“. თბილისი, 2007 (ემკ ქეთინო ქველადე) და სხვები.

\* \* \*

ეკონომიკის ინსტიტუტში ტრადიციულად დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა დისციპლინათშორის კვლევას. მისი დაარსების დღიდანვე გაიშალა მუშაობა ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესაქმნელად. 1947 წელს გამოიცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგია, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ: პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, იოსებ ბაჯაძე, ნიკო დგებუაძე, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, აპოლონ ნუცუბიძე, ია ყიფშიძე და სხვ. (აღნიშნული მუშაობა მიმდინარეობდა ენათმეცნიერებთან თანამშრომლობით).

დისციპლინათაშორისი კვლევა ინსტიტუტში განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული ეკონომიკურ-მათემატიკური და სისტემური გამოკვლევების მიმართულებით როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკულ-გამოყენებითი კუთხით, წარმატებით მიმდინარეობდა ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემების კვლევა. იყო ცდა, ინტენსიური გამხდარიყო კვლევა ეკონომიკისა და ფილოსოფიის, ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის, ეკონო-



მიკისა და ესთეტიკის საერთო პრობლემებზე. ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა მეცნიერების, განათლებისა და ჯანდაცვის ეკონომიკის სფეროებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრაში. 90-იანი წლებიდან გააქტიურდა ისეთი პრობლემების კვლევა, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობასა და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებასთან. გამოკვლევები საფუძვლად დაედო მთელ რიგ სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტებს, აგრეთვე საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კონცეფციებს და პროგრამებს. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში გამოირჩეოდა ისეთი საკითხები, როგორცაა: სოციო-კაპიტალიზმის ეკონომიკური საფუძვლები, საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებანი საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში, ეკონომიკური პროგნოზირების თეორიული პრობლემები, საბაზრო ეკონომიკის მოდულები და მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციები, ფირმის ფუნქციონირების მარკეტინგული სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებები, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, რეგიონული ეკონომიკის

პრობლემები, საგარეო ეკონომიკური კომპლექსის განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების და მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები, ეკონომიკური აზრის განვითარებისა და ეკონომიკური ისტორიის, ფინანსების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პრობლემები და სხვა.

ინსტიტუტში წლების განმავლობაში ტრადიციად ქცეულმა დისციპლინათშორისმა კვლევებმა და მისმა შედეგებმა მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა ფართომასშტაბიანი კომპლექსური კვლევების ჩასატარებლად. სწორედ ამან განაპირობა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება, აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, დამუშავებული ყოფილიყო სისტემურად ურთიერთდაკავშირებული ერთიანი კომპლექსური კვლევის ამსახველი ნაშრომი: **"მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები"**. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომმა, რომელიც გამოვიდა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეგიდითა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ვლადიმერ პაპავას, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გიორგი წერეთლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ავთანდილ სილაგაძის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. იაკობ მესხიას, ეკონომიკურ მეცნიერებათა

დოქტორის, პროფ. კლიმენტი აჩელაშვილისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. იური ანანიაშვილის ავტორობით, 2004 წელს მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. 2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ვლ. პაპავას წიგნმა – **“Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism”**, New York: Universe, 2005. – მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგინიაშვილის სახელობის პრემია.

\* \* \*

ინსტიტუტის წარმატებაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში მის ყველა თანამშრომელს მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1991-1996 წლებში ინსტიტუტის დირექტორის, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწის, ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვანი რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ღვაწლი. მან ჩაუყარა საფუძველი ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევის ახალ მიმართულებებს, თავისი ნაშრომებითა და საქმიანობით სახელი გაუთქვა ინსტიტუტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის მიღწევებში დირექტორების – აკადემიკოს ავთანდილ გუნიასა და პროფესორ გიორგი წერეთლის განსაკუთრებული დამსახურების, ასევე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეების – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას, პროფესორ თამაზ ჩიკვაიძის, პროფესორ ბექირბი ხასიას, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის, დოცენტების თენგიზ ხოშტარიასა და თამაზ აქუბარდიას მნიშვნელოვანი როლის შესახებ.

\* \* \*

ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ვასილ ჩანტლაძე, აპოლონ ნუცუბიძე, მიხეილ კახეთელიძე, ბექირბი ხასია, სერგო ბუაჩიძე და ალექსანდრე ბრეგვაძე, ღურსუნ დიასამიძე, მიხეილ ჯიბუტი.

გასული საუკუნის 90-იან წლებიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერია აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, ასევე გიორგი წერეთელის, რამაზ აბესაძის, თემურ ბერიძის, თამაზ აქუბარდიას,

ილია ზაქარიაძის, ალფრედ კურატაშვილის, მურმან კვარაცხელიას, ნაზირა კაკულიას საქმიანობა.

ინსტიტუტი თავად იყო არაერთი საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზატორი. ამჟამად 2009 წლიდან ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (რომელშიდაც მონაწილეობას დებულობენ საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები), ძლიერდება კავშირები მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვ.

ინსტიტუტის თანამშრომლები თავიანთ ძირითად სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, წლების განმავლობაში ეწეოდნენ და ეწევიან აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. გარდა ამისა, ინსტიტუტში ხშირად სხვადასხვა დანიშნულების პრაქტიკას გადიოდნენ და გადიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

\* \* \*

XX საუკუნის 60 – 70-იან წლებში ეკონომიკის ინსტიტუტში ფუნქციონირებდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამი სპეციალიზებული საბჭო. ერთი სადოქტორო (პოლიტიკური ეკონომიისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის სპეციალობით) და ორი საკანდიდატო (1. პოლიტიკური ეკონომიის, სახალხო მეურნეობის ისტორიის, ეკონომიკური აზრის ისტორიის სპეციალობებით და 2. მრეწველობის ეკო-

ნომიკისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალბით). 1981 წელს მუშაობა დაიწყო ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მიმნიჭებელმა სპეციალიზებულმა საბჭომ, სპეციალობით: 08.00.05 – სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების ეკონომიკა, დაგეგმვა და მართვის ორგანიზაცია (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა). 1992 წლიდან 2006 წლამდე ინსტიტუტში მუშაობდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო შემდეგი სპეციალობებით: 08.00.01 – “პოლიტიკური ეკონომია (ეკონომიკისი), ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია”, 08.00.03 – “მაკროეკონომიკა”, 08.00.04 – “ეკონომეტრიკა” და 08.00.09 – “ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა” (სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ აკადემიკოსები პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია და ვლადიმერ პაპავა, პროფესორები გიორგი წერეთელი და რამაზ აბესაძე).

\* \* \*

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კადრებით შევსება ძირითადად ხდებოდა მისი ასპირანტურის წარმატებით კურსდამთავრებულებით, პირველი ასპირანტები იყვნენ: დიმიტრი ქორიძე, ნიკანდრო ჯაკობია და ქეთევან დადიანი (საქართველოში პირველი მეცნიერებათა კანდიდატი ქალი ეკონომიკურ მეცნიერებაში). ამ გზით ინსტიტუტმა ქვეყანას

ადუზარდა მრავალი მაღალკვალიფიციური ეკონომისტი და იურისტი, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ და საქმიანობენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, სამართალდამცავ ორგანოებში, პარლამენტში, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის დამსახურება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. ინსტიტუტის კედლებში აღიზარდნენ პარლამენტის, მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების არაერთი ყოფილი და ამჟამინდელი პასუხისმგებელი თანამშრომელი. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ვლადიმერ პაპავა, მიხეილ ჯიბუტი, ზურაბ სოსელია, თეიმურაზ ბერიძე, ჯონი ხეცურიანი, კონსტანტინე კემულარია, მიხეილ ჭკუასელი, თამაზ ჩიკვაძე, რევაზ გოგოხია, თამაზ აქუბარდია, ნოდარ ულუმბერაშვილი, ილია ხაქარიაძე, გია თოფურია, ანზორ თოთაძე, ელენე ჩიქოვანი, მარინა მუჩიაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, მინდია უგრეხელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ბესარიონ ზოიძე, დავით სულაქველიძე, ლილი გვენეტაძე, ციალა ბენაშვილი და ბევრი სხვა.

\* \* \*

ინსტიტუტს მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა აქვს ქვეყნის წამყვან მეცნიერ-ეკონომისტებთან.

ინსტიტუტის სადისკუსიო დარბაზისა და ჟურნალ “ეკონომისტის” სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები და აკადემიური დოქტორები, პროფესორები: იური ანანიაშვილი, როზეტა ასათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, თემურ ბერიძე, რევაზ გველესიანი, მიხეილ თოქმაზიშვილი, რევაზ კაკულია, თეიმურაზ კანდელაკი, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, უშანგი სამადაშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, ნოდარ ხადური, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი, შალვა გოგიაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი და სხვ.

გარდა პაატა გუგუშვილისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაერთი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, იყო და არის ინსტიტუტის თანამშრომელი, ან აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ, აკადემიკოსები: ვასილ ჩანტლაძე, ირაკლი მიქელაძე, ავთანდილ გუნია, ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ისიდორე დოლიძე; წევრ-კორესპონდენტები: ვალერიან მეღვინე, ლეო ჩიქავა, თინათინ წერეთელი, ჯონი ხეცურიანი.

\* \* \*



ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორები მისი დაარსებიდან იყვნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი** (1944–1976), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია** (1976–1991), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვლადიმერ პაპავა** (1991–1996), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი** (1996–2008). ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე** (2008 წლიდან).



პაატა გუგუშვილი

პაატა გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს სოფელ კოდორში (აბაშის რ-ნი).

1917–1923 წლებში სწავლობდა ფოთისა და ქუთაისის გიმნაზიებში. 1923 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით დაამთავრა 1927 წელს.

1930 წელს დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმავე წელს მას მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება, 1938 წელს კი, დისერტაციის დაუცველად, პროფესორების **ფ. გოგიჩაიშვილის, გ. გეგტმანის, მ. პოლიექტოვის** წარდგინებით, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ). 1940 წელს **პ. გუგუშვილმა** წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელსაც გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა **ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა** და **ფ. გოგიჩაიშვილმა** (რომლებიც დისერტაციის ოფიციალური რეცენზენტ-ოპონენტები იყვნენ) დიდი შეფასება მისცეს.

1940–1945 წლებში აკად. **პ. გუგუშვილი** იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე.

მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში – 1944 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, აქტიური ძალისხმევითა და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებიდან 1976 წლამდე, 32 წლის განმავლობაში, თვითონვე ედგა სათავეში. 1948 – 1974 წლებში იყო ამავე ინსტიტუტთან არსებული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1961 წელს პაატა გუგუშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – აკადემიკოსად.

პ. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალ “ეკონომისტი“-ს რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან, 15 წლის განმავლობაში, მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ “საქართველოს ეკონომისტის” მთავარი რედაქტორი. იგი აქტიურ მუშაობას ეწეოდა, როგორც ჟურნალ “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს” (ეკონომიკისა და სამართლის სერიების) რედკოლეგიის წევრი.

პ. გუგუშვილი 1930–1967 წლებში მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 100-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო 90-მდე საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტი.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – “საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.”, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი, მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართოდიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: “ქართული წიგნი 1629-1929წწ.”; “ქართული ჟურნალისტიკა”; “სოციოლოგიური ეტიუდები”; “საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე”; “საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები”, “მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა”; “დემოგრაფიის ნარკვევები” და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოსმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1983 წელს აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი დაჯილდოვდა საქართველოს პროფკავშირის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, როგორც პროფკავშირების სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. 1985 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი გარდაიცვალა 1987 წლის 27 თებერვალს.

**ავთანდილ გუნია**



ავთანდილ გუნია დაიბადა 1912 წლის 27 სექტემბერს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1928 წელს დაამთავრა ბაქოს სამხედრო სასწავლებელი.

1928-1932 წლებში სწავლობდა თბილისის შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმში.

1934 წელს ჩაირიცხა და 1939 წელს მოსკოვში დაამთავრა პლესხანოვის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი საქონელმცოდნის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორად, თბილისში.

1940 წელს გაეზავნილ იქნა მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს.

1942-1952 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

1952-1953 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სამმართველოს უფროსი.

1953 წელს საქართველოს კომპარტიის ცკ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

1953-1957 წლებში იყო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

1957 წლის ბოლოს გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. 1960 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1976 წლიდან – დირექტორი.

1950 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1962 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1966 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1967 წლიდან იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1979 წლიდან კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.



1980 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ავთანდილ გუნია 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 20 მონოგრაფიის. მის შრომებში ასახულია ეკონომიკური თეორიის, მრეწველობის ეკონომიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საბაზრო ეკონომიკის აქტუალური პრობლემები.

მათგან აღსანიშნავია: “Экономические проблемы научно-технического прогресса в Грузии”, Тбилиси, «მეცნიერება», 1983; “საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები”, თბილისი “მეცნიერება”, 1991; “მოსახლეობის ცხოვრების დონე – ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი”, ჟ. “მაცნე” ეკონომიკის სერია, 1993, ტ. 1, №1; “ბაზარი (საბაზრო ურთიერთობები როგორც ეკონომიკური კატეგორია)” ჟ. “მაცნე” ეკონომიკის სერია, 1995, ტ. 1, №1.

დიდია მისი წვლილი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მისი პედაგოგიური საქმიანობა. იგი წლების განმავლობაში იყო კათედრის გამგე საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და წარმატებით კითხულობდა ლექციებს ამავე უმაღლეს სასწავლებელში.

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ნაყოფიერი მუშაობა არაერთგზის აღინიშნა მაღალი სახელმწიფო ჯილდოებით და ფულადი პრემიებით.

აკადემიკოსი ავთანდილ გუნია გარდაიცვალა 1997 წლის 2 ოქტომბერს.

## ვლადიმერ პაპავა



ვლადიმერ პაპავა დაიბადა 1955 წლის 25 მარტს თბილისში, პედაგოგების ოჯახში.

1972 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა.

1972 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით, რომლის სრული კურსიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს.

1982 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში), 1989 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია.

ვლადიმერ პაპავა 1991 წლიდან ეწევა დიდ სამეცნიერო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი 1991-1996 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი; 1994-2000 წლებში – საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ხოლო 2004-2008 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი. 1997 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 2013 წლიდან აკადემიის ნამდვილი წევრი. იგი არის საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის (1987), მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის (2004) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის (2008) ლაურეატი.

ვლ. პაპავა არის ავტორი 280-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკურ პრობლემებს. მათგან აღსანიშნავია: **”პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა”**, თბილისი, ”პდპ”, 2002;

**“Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism”**, New York: Universe, 2005; **”ცენტრალური კავკასია (გეოპოლიტიკონომიური ნარკვევი)”**, თბილისი, **”სიახლე”**, 2009; **„ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)“**. თბილისი, **„პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“**, 2010; **Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After**. New York, Nova Science Publishers, 2013; **Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium**. New York, Nova Science Publishers, 2014 (თანაავტორი იური ანანიაშვილი); აკადემიკოს ვლ. პაპავას მეცნიერული სიახლეებიდან შეიძლება აღინიშნოს: დასაბუთებულ იქნა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი არის წარმოების მეხუთე ფაქტორი, ხოლო ირიბი გადასახადები – შესაბამისი ფაქტორალური შემოსავალი; ჩამოყალიბებულ იქნა “ნეკროეკონომიკის” თეორია, როგორც პოსტ-კომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საფუძველი; ჩამოყალიბებულ იქნა საბაზრო თანასწორობის თეორია; შეიქმნა ლაფერ-კენზიანური სინთეზის საფუძველები; შემოღებულ იქნა ნაწილობრივ პროდუქტიული მატრიცის ცნება, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრა დანახარჯი-გამოშვება (დარგთაშორისი ბალანსის) დინამიკურ მოდელთა პროდუქტიულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები; აგებულ იქნა “გადასახადების გარეშე ეკონომიკის” მოდელი; აგებულ იქნა საგადასახადო კორუფციის ინდექსები;

აგებულ იქნა ლაფერის ეფექტის ამსახველი ახალი მრუდები, რომლებიც დროის ფაქტორს ითვალისწინებენ და სხვ.

ვლ. პაპავას ხელმძღვანელობით 12 დისერტანტს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავა ამჟამად არის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. იგი ამასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ, სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ჯონს ფოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) ცენტრალური აზიაკავკასიის ინსტიტუტის კვლევისა და პოლიტიკის ტრანსატლანტიკური გაერთიანებული ცენტრის ასოცირებული უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

## გიორგი წერეთელი



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შაქროს ძე წერეთელი დაიბადა 1952 წელს 20 იანვარს ქალაქ ლანჩხუთში.

1969 წელს წარმატებით დაამთავრა ვ.მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, ხოლო 1975 წელს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით.

1996 – 2008 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი.

1980 წლიდან იგი იწვევს მოღვაწეობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა უმცროს, უფროს, წამყვან, მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, დირექტორის მოადგილედ, დირექტორის პირველ მოადგილედ და 1996-2008 წლებში (გარდაცვალებამდე) იყო დირექტორი.

გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 20 წიგნი (5 თანაავტორობით). ერთ-ერთ მონოგრაფიას – **"ბუნებათსარგებლობის პროცესების ოპტიმიზაციის ეკონომიკური საკითხები"** 1984 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა შორის. 2003 წელს მიღებულ აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

გიორგი წერეთლის სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ეკონომიკურ-მათემატიკური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური, მაკროეკონომიკის, ეკონომიკური თეორიისა და სხვა პრობლემების კვლევას. მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: „გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში“. თბილისი, "მეცნიერება", 2003; "პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა



და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)". თბილისი, "მეცნიერება", 2004 (თანაავტორობით); "ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი". თბილისი, "მეცნიერება", 2000 და სხვ.

იგი, სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. 1996-2003 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს და მისი დარგობრივი ეკონომიკური სექციის წევრი, სეს-ის სანოსტრიფიკაციო კომისიის წევრი. 1998-2001 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 1996-2003 წლებში საქართველოს ეკონომიკის, ფინანსთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის სამინისტროებთან, ანტიმონოპოლიურ სამსახურთან და კონტროლის პალატასთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების წევრი; 1998-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 2000 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ასოციაციის თანათავმჯდომარე; 2001-2003 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; 2003-2006 წლებში საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს და მისი პრეზი-

დიუმის წევრი, ამავე საბჭოს ეკონომიკის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე; 2004 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

გიორგი წერეთელი, ინტენსიურ მეცნიერულ და მეცნიერულ-ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. გარდა იმისა, რომ აღზრდილი ჰყავს სტუდენტ-ეკონომისტთა რამდენიმე თაობა, მისი, როგორც ღირექტორის, საერთო ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთ ათეულზე მეტი სამეცნიერო ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური ეკონომისტი, ხოლო მისი უშუალო ხელმძღვანელობით – ორი მეცნიერებათა დოქტორი და ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი.

გიორგი წერეთელი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2001 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით.

პროფესორი გიორგი წერეთელი გარდაიცვალა 2008 წლის 12 ივნისს.

## რამაზ აბესაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე დაიბადა 1952 წლის 14 მაისს ქ. ტყიბულში პედაგოგების ოჯახში.

1969 წელს, თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც იგი იყო უფროსი ლაბორანტი, მეცნიერი თანამშრომელი (1976), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1986), წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1989), ლაბორატორიის გამგე (1991), განყოფილების გამგე (1997), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (2002). ინსტიტუტის დირექტორად არჩეულ იქნა 2008 წლის 3 ივლისს.

1985 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1999 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1989 წელს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, 1998 წელს დოცენტის, ხოლო 2003 წელს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება მაკროეკონომიკის სპეციალობით.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1987 წელს ჯერ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტში. 1995 წლიდან დღემდე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაკროეკონომიკისა და ეკონომიკის პრინციპების კათედრაზე. იყო და არის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სრული პროფესორი.

რამაზ აბესაძე 2001-2003 წლებში იყო ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2003-2007 წლებში თავმჯდომარე.

პროფ. რამაზ აბესაძეს გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 8 მონოგრაფია. თავდაპირველად მისი სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სამრეწველო წარმოების, განსაკუთრებით, ელექტროენერგეტიკული წარმოებისა და მოხმარების ეკონომიკური პრობლემები, რომელსაც მან მიუძღვნა მონოგრაფია – **“Научно-технический прогресс и эффективность производства и потребления электроэнергии в Грузии”**. Тб., Мецნიერება, 1985. შემდეგ ავტორის კვლევის საგანი ფართოვდება ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემებით. ამ პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია – **“ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში”** (თბ., “მეცნიერება”, 2004). ამჟამად პროფ. რამაზ აბესაძის სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს ეკონომიკური განვითარებისა და პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პრობლემებს, რასაც ეძღვნება მისი არაერთი სამეცნიერო სტატია და წიგნი: **“ეკონომიკური განვითარება”**. თბ., “მერიდიანი”, 2006 და **“მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2008 (თანაავტორობით). “ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი”**. თბ., თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამ-

ომცემლობა, 2014; **“Сруктурные и инновационные проблемы экономического развития”**. თბ., „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2014 (თანავტორობით).

ეკონომიკური განვითარების პრობლემებსადმი მიძღვნილი ნაშრომის საფუძველზე, თსუ მაკროეკონომიკის კათედრის ინიციატივით, პროფ. რ. აბესაძის მიერ მომზადდა ლექციების კურსი და იკითხება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დისციპლინები – **“ეკონომიკური განვითარება”** და **“ეკონომიკური განვითარების თეორია”**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. აბესაძე არის საერთაშორისო-ანალიტიკური ჟურნალის – **“ეკონომისტიკა”** და პერიოდული გამოცემის – **“პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის”** დაარსების ინიციატორი და მთავარი რედაქტორი. მისივე ინიციატივით პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში დაარსდა **„დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია“**, რომელიც შეუდგა **„დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის“** გამოსაცემად მომზადებას. მისივე ინიციატივით და სამეცნიერო საბჭოს მხარდაჭერით ინსტიტუტში ასევე განხორციელდა სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება (დაარსდა ინსტიტუტის გამომცემლობა, გაიხსნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, დაარსდა სადისკუსიო დარბაზი, სასწავლო და საკონსულტაციო-საექსპერტო ცენტრი, ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის

დაწესდა აკადემიკოს პ. გუგუშვილის, აკადემიკოს ა. გუნიას, პროფესორ გ. წერეთლის სამეცნიერო პრემიები, შეიქმნა ახალი სამსახურები, რეკომენდაციების შემმუშავებელი კომისია და სხვ.).

პროფესორ რამაზ აბესაძეს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2001 წელს გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, ხოლო 2002 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით.

\* \* \*

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეები 2006 წლამდე იყვნენ ინსტიტუტის დირექტორები. 2007-2013 წლებში სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო პროფესორი **თინა ჩხეიძე**. ამჟამად სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა პროფესორი **რამაზ აბესაძე**. პროფესორი **თინა ჩხეიძე** არის სამეცნიერო საბჭოს საპატიო თავმჯდომარე.

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები იყვნენ: აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია**, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თენგიზ ხოშტარია**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ლევ ჩიქავა**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ ჩიკვაძე**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი**, ეკონომიკურ მეცნიერე-

ბათა დოქტორი, პროფესორი ბექირბი ხასია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ აქუბარდია, პროფესორი თინათინ ჩხეიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე. ამჟამად ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა ზურაბ წერეთელი.

ინსტიტუტის სწავლული მდივნები იყვნენ: ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: აკაკი კაკაბაძე, კირილე ლოღობერიძე, თენგიზ ხოშტარია, გრიგოლ ქარჩავა, მამულო კეკელიძე, ვალიკო ჯიბლაძე, ლეილა ნოღია, ზინა გვაჯავა, ლამარა მინდორაშვილი, ნოდარ ულუმბერაშვილი, თამაზ აქუბარდია, ნანა მიჩელაშვილი, ლინა დათუნაშვილი, პროფესორები თინათინ ჩხეიძე, ჯამლეთ შათირიშვილი, მეცნიერი თანამშრომელი კოტე ბაქრაძე.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეები იყვნენ: ქეთევან ასათიანი, მარი კაპანელი. ამჟამად ბიბლიოთეკის გამგეა ელენე დათუკიშვილი.

ინსტიტუტის მთავარი ბუღალტრები იყვნენ: ა. პოდკოლვინა, ნინო გოგოლაძე, ნუცა ჯღამაძე, ზურაბ ჭიჭიკოშვილი, მარგალიტა კარგარეთელი, მაია ჭინჭარაული.

2006 წელს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო 2011 წლიდან თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.



ამჟამად ინსტიტუტის სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

ინსტიტუტის დირექცია (დირექტორი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **რამაზ აბესაძე**, მოადგილე – **ზურაბ წერეთელი**).

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო (თავმჯდომარე – პროფესორი **რამაზ აბესაძე**, მოადგილეები: აკადემიური დოქტორები – **ნანა ბიბილაშვილი**, **თეა ლაზარაშვილი**, სწავლული მდივანი – აკადემიური დოქტორი **ლინა დათუნაშვილი**).

მეცნიერ-კონსულტანტი – ემდ, პროფესორი **როზეტა ასათიანი**

დირექტორის თანაშემწე, იურისტი – **თეა შონია**

სამეცნიერო კვლევითი განყოფილებები:

1. ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ალფრედ კურატაშვილი**);

2. სექტორული და რეგიონული ეკონომიკის (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ვანტანგ ბურდული**); სოფლის მეურნეობის ლაბორატორია (ეკონომიკის დოქტორი **თენგიზ ქავთარაძე**)

3. ბიზნესის პრობლემათა კვლევის (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **გიორგი ბერუღავა**);

4. მაკროეკონომიკის (აკადემიური დოქტორი **ნანული არევაძე**);

5. ფინანსებისა და საბანკო საქმის (აკადემიური დოქტორი **თეა ლაზარაშვილი**);

6. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (აკადემიური დოქტორი **იზა ნათელაური**);

7. ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის (აკადემიური დოქტორი მამუკა ხუსკივაძე).

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამხმარე სამსახურები:

1. სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ელენე დათუკიშვილი);

2. გამომცემლობა (ნატო ჩხაიძე-აბესაძე);

3. სამეცნიერო ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ნანა ბიბილაშვილი);

სამეცნიერო პერსონალი შედგება შემდეგი თანამშრომლებისაგან:

მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორი რამაზ აბესაძე.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები: მუმან კვარაცხელია, როლანდ სარჩიშელია; ეკონომიკის დოქტორები: ნანა ბიბილაშვილი, ლინა დათუნაშვილი, ეთერ კაკულია, ზურაბ რევიშვილი, ქეთევან ქველაძე, თინა ჩხეიძე რევაზ ჯავახიშვილი.

მეცნიერი თანამშრომლები: აკადემიური დოქტორები: გიორგი ბრეგვაძე, ნატალია დავლაშერიძე, ნუნუ ქისტაური, თინათინ ქურდაძე, მარინე ცუცქირიძე; მაგისტრები: თეიმურაზ გოგონია, ლია დვალისვილი, თამარ თაფლაძე, ციციწო თეთრაული, მედეა მელაშვილი, ზურაბ ნოზაძე

სხვა პერსონალი: – დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის პასუხისმგებელი მდივანი – ლია

აბრამიშვილი, კანცელარიის გამგე – ეთერ ჯაბანაშვილი, ბიბლიოთეკის გამგე – ელენე დათუკიშვილი, გამომცემლობის ხელმძღვანელი – ნატო აბესაძე, მთავარი სპეციალისტები – ნინო კედია, თეიმურაზ გოგოხია, უფროსი სპეციალისტი – ნინელი თხინვალელი, სპეციალისტი – ანზორ სამხარაძე, ინჟინერი – თამაზ გველესიანი, დაცვის თანამშრომლები – არჩილ სამხარაძე, ზურაბ ჯიბლაძე.

\* \* \*

სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების მიზნით, ინსტიტუტში 2009 წლიდან დაარსდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერების: აკადემიკოს პაატა გუგუშვილის, აკადემიკოს ავთანდილ გუნიასა და პროფესორ გიორგი წერეთლის სახელობის პრემიები, რომლებიც მიენიჭება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს საუკეთესო წლიური მონოგრაფიის, სტატიისა და გეგმური ნაშრომისათვის. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის პრემიის პირველი ლაურეატი 2009 წელს გახდა პროფესორი გიორგი პაპავა მონოგრაფიისათვის – **“Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы”**, Стокгольм, CA&CCPress, 2009, ხოლო მეორე – პროფესორი **როზეტა ასათიანი** წიგნისათვის – **“ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი”**, თბ., “სიახლე”, 2012.

სამეცნიერო დონის ამაღლების მიზნით 2008 წელს დაარსდა პერიოდული გამოცემა: **"პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული"**, რომლის I-VI ტომი უკვე გამოვიდა. 2009 წელს დაფუძნდა ინსტიტუტის **სადისკუსიო ღარბაზი**, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერ და პრაქტიკოს ეკონომისტთა საუკეთესო წარმომადგენლები.

ინსტიტუტში დაარსდა **გამომცემლობა**, რომელსაც შესწევს უნარი, გასწიოს ნებისმიერი საგამომცემლო საქმიანობა, **ინსტიტუტის ბაზაზე ხორციელდება ერთ წლამდე სწავლების პროგრამები**.

შეიქმნა **"რეკომენდაციების შემუშავებელი კომისია"** (ემდ **ვანტანგ ბურდული**). რომელიც მეცნიერთა შრომების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომელიც გამოიცემა წიგნად და დაეგზავნება შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **"დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის"** (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**) გამოცემის გადაწყვეტილება. ამჟამად მთავრდება მუშაობა ენციკლოპედიის პირველ ტომზე.

დიდია ეკონომიკის ინსტიტუტის როლი ქართული ეკონომიკის პუბლიცისტიკის განვითარებაში. 1958 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და რედაქტორობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა **ქურნალი** - "საქართველოს ეკონომიკის

მისტი", რომელიც მანამდე არსებული ქართული ეკონომიკური ჟურნალების, მათ შორის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს გამომავალი ჟურნალის – "ეკონომისტის" (რომლის პირველი ნომერი 1918 წლის 13 სექტემბერს გამოვიდა) მემკვიდრედ მოიაზრებოდა.

2008 წელს პროფესორ **რამაზ აბესაძის** ინიციატივით და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი "ეკონომისტი", რომელიც აგრძელებს ზემოთ ხსენებული ჟურნალების მემკვიდრეობითობას. მისი მთავარი მიზანია ეკონომიკური მეცნიერებისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ხელშეწყობა, ეკონომისტის, როგორც პროფესიის, პოპულარიზაცია, ფართო საზოგადოებისათვის ინსტიტუტის საქმიანობის გაცნობა, მონაწილეობის მიღება ქვეყანაში სამეცნიერო კადრების აღზრდაში და სხვ.

\* \* \*

2010 წელს გამოცემულ წიგნში – „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 65 წლისა“ (თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010), რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე და ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავს ჩვენი სტატიის ბოლოში აღვნიშნავდით: “... ერთი რამ

უდავოა, ჩანს, რომ ინსტიტუტმა სახელოვანი გზა განვლო და ახლაც ღირსეულად აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ 2009 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, ინსტიტუტი გამარჯვებულად იქნა აღიარებული ქვეყანაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რაც დიდი საჩუქარია ინსტიტუტის წინაპართათვის, განსაკუთრებით, მისი დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილისათვის, მისი დაბადების 105-ე წლისთავთან დაკავშირებით.

შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პოტენციალიც სახეხეა. მთავარია, კიდევ უფრო მეტი შემართებითა და მონდომებით ვიდგაწოთ ახალი წარმატებების მისაღწევად. ოპტიმიზმის საფუძველი კი გვაქვს.”

2010 წლის მონაცემების მიხედვით ინსტიტუტი, ზედიზედ მეორედ, კვლავ გამარჯვებულად იქნა აღიარებული ქვეყანაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის. ჩვენ განწყობილი ვიყავით, რომ ზედიზედ მესამედ მოგვეპოვებინა გამარჯვება, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილების შედეგად, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უნივერსიტეტებს შეუერთდა და ხსენებული კონკურსი მას შემდეგ აღარ გამართულა. რასაკვირველია, უნივერსიტეტთან შეერთება თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ მას არ მოჰყვა

შესაბამისი დონისძიებები – ინსტიტუტების სტატუსის დადგენა და დებულების მიღება, სასწავლო პროცესებთან დაახლოება, სამეცნიერო კადრების აღზრდაში მონაწილეობის მიღება, ხელფასების ზრდა, შენობის გადმოცემა და ა. შ.

მართალია, ინსტიტუტის რეორგანიზაციამ ზოგიერთი ჩვენი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დატოვა, მაგრამ ინსტიტუტში სამეცნიერო საქმიანობა არათუ შეფერხდა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა მოიცავდა შემდეგ ძირითად პრობლემებს: საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის თეორიული პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში; თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები და დაძლევის გზები; პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალიზაციის გავლენის შედეგები; საქართველოს მაკროეკონომიკური, სექტორული, რეგიონული და სტრუქტურული განვითარების აქტუალური პრობლემები; ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში; საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის მიმართულებები და გზები საქართველოში; საქართველოს საფინანსო და საბანკო სისტემის სრულყოფის პრობლემები; საქართველოში უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების მექანიზმის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებისა და გზების განსა-

ზღვრა; საჯარო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში; მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში; აგრარული სექტორის განვითარების გზები და მიმართულებები საქართველოში და სხვ.

ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი თემატიკის მიხედვით შესრულებული სამუშაოები გამოქვეყნებულ იქნა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მომზადდა რეკომენდაციები, წინადადებები და მოსაზრებები და გამოიცა წიგნად – **“საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: რეკომენდაციები, წინადადებები, მოსაზრებები”** (თბ., “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2013).

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულ იქნა **650-ზე მეტი** სამეცნიერო სტატია და ბროშურა, **30-ზე მეტი** მონოგრაფია, მათ შორის, საზღვარგარეთ – **120** სტატია და **8** მონოგრაფია, იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში – **7** სტატია. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა კრებულებში გამოქვეყნდა **180-ზე მეტი** სტატია, ასევე მრავალი საგაზეთო სტატია და ინტერვიუ.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების **5** ტომი, ჟურნალ ეკონომისტის **30** ნომერი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა **6** კრებული და სხვ.



გამოიცა ინსტიტუტის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი – „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 1944–2009“, ბროშურები: “აკადემიკოსი ავთანდილ გუნია”, “პროფესორი გიორგი წერეთელი”, “პროფესორი გიორგი პაპავა”

ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა:

1. ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე“

2. ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“ და საიუბილეო სხდომა.

3. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“.

4. პროფ. გ. წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და საიუბილეო სხდომა.

5. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობ-

ლემები თანამედროვე ეტაპზე“ და საიუბილეო სხდო-  
მა.

6. უნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფე-  
რენცია თემაზე – „ეკონომიკისა და ბიზნესის განვი-  
თარების ტენდენციები საქართველოში“ (საქართვე-  
ლოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნი-  
ვერსიტეტთან ერთად)

7. „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური  
განვითარების ზოგიერთი მიმართულება: რეკ-  
ომენდაციები, წინადადებები, მოსაზრებები“ ( თბ.,  
“თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა”, 2013) პრეზენტაცია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადე-  
მიაში შედგა აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და  
მისი პროფ. იური ანანიაშვილთან და პროფ. ელდარ  
ისმაილოვთან თანაავტორობით გამოქვეყნებული წიგ-  
ნების განხილვა.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკა-  
დემიასთან ერთად მოეწყო დისკუსია თემაზე:  
„საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და  
განვითარების ახალი სტრატეგია“ (მომსხენებელი  
პროფ. ნოდარ ჭითანავა). ამავე აკადემიასთან ერ-  
თად მოსმენილი იქნა მოსხენება – “ეკონომიკური  
განვითარების აქტუალური პრობლემები” (პროფ.  
რამაზ აბესაძე).

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე პერიოდუ-  
ლად ისმენდნენ სამეცნიერო მოსხენებებს.

ინსტიტუტთან არსებულ სადისკუსიო დარბაზის სხდომებზე განიხილებოდა აქტუალური საკითხები (ნაშრომების განხილვა, ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხები და სხვ.) და მოისმენდნენ, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთელ ეკონომისტ-მეცნიერთა მოხსენებებს (პროფესორ **სლავომირ პარტიცკის** (პოლონეთი), **ლევან ევრემიძის** (აშშ), აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას**, პროფესორ **რამაზ აბესაძის** და სხვ.)

ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოიპოვეს სხვადასხვა სახის საერთაშორისო გრანტი.

გამოიცა ინსტიტუტის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი – „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 1944–2009“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად გაიმართა გაერთიანებული საიუბილეო სხდომა მიძღვნილი აკადემიკოს **ავთანდილ გუნიას** დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი.

გაიმართა დირექტორის ყოფილი მოადგილის (სამეცნიერო დარგში) პროფ. **თამაზ ჩიკვაიძის** დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, აგრეთვე აწვარდაცვლილი თანამშრომლების (ემდ, პროფესორები: **მიხეილ კახეთელიძე**, **ვალერიან დათუკიშვილი**, **იოველ ასათიანი**, **ემკ თენგიზ ხოშტარია**) ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი. ინსტიტუტში სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ასევე აღინიშნა თანამშრომელთა (პროფ. **თინა ჩხეიძე**, ეკონომიკის დოქტორები **რევაზ ჯავახ-**

იშვილი, ნანული არევაძე, ლინა დათუნაშვილი) სა-  
იუბილეო თარიღები.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ  
ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა დიდ პროექტზე  
– “დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედია”.  
ამჟამად მთავრდება მუშაობა ენციკლოპედიის  
პირველ ტომზე. ენციკლოპედიის შექმნა მნიშვნე-  
ლოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ინტელექტუალური  
განვითარების საქმეში.

ასეთია არასრული ჩამონათვალი ბოლო ხუთი  
წლის განმავლობაში ინსტიტუტის მიერ გაწეული  
სამუშაოებისა. ინსტიტუტის კოლექტივი მზადაა  
კიდევ უფრო მეტი შემართებით გააგრძელოს მუ-  
შაობა. დღეისათვის ივ. ჯავახიშვილის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს  
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აქტიური  
მოქმედებებისა და მათავრობის მეცნიერებისადმი  
მიდგომების შეცვლის შედეგად, იმედია, ყინული  
დაიძვრება და ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც  
დღემდე არსებობდა თანდათან აღმოიფხვრება. ინ-  
სტიტუტის მიერ 2014 წელს საქართველოს გა-  
ნათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგე-  
ნილი იქნა ინსტიტუტის სამოქმედო გეგმა. პროექტის  
ძირითადი სამეცნიერო კვლევითი თემაა – “**ევროინ-  
ტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების  
პრობლემები საქართველოში**” (ხალმძღვანელი ემდ,  
პროფ. რამაზ აბესაძე). სამოქმედო გეგმამ ექსპერტთა  
დადებითი შეფასება დაიმსახურა და, იმედია, მას  
შესაბამისი დადებითი შედეგები მოჰყვება.

\* \* \*

დაბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებ, რომ ინსტიტუტი წინააღმდეგობების გადალახვასა და წარმატებების მიღწევას ვერ შეძლებდა მხარდამჭერების გარეშე. უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ. ყოფილმა ხელმძღვანელობამ (რექტორი **ალექსანდრე კვიციანი**) ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შენარჩუნებულიყო. ადმინისტრაციისაგან ყოველთვის ვგრძნობდით თანადგომასა და დახმარებას. ახალი ხელმძღვანელობა (რექტორი აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**) იჩენს არა მარტო თანადგომას, არამედ იბრძვის ინსტიტუტების სტატუსისა და სამეცნიერო პოტენციალის განსამტკიცებლად და მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად. ამჟამად მეცნიერებისადმი მიდგომა შეიცვალა მთავრობაშიც და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა მიჩნეული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მზადდება შესაბამისი დოკუმენტი.

ჩვენს ინსტიტუტს ბოლო პერიოდში მხარს უჭერს და მის ღონისძიებებში მონაწილეობას იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (პროფესორი **ნოდარ ხადური**).

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე**) საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენარჩუნებისა და განვითარების მიმართულებით. ინსტიტუტის თანამშრომელთა განსაკუთრებული მადლიერების გრძნობა მინდა გამოვხატო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისა და მისი ხელმძღვანელის, სახელოვანი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს **როინ მეტრეველის** მიმართ, რომელსაც კარგად ესმის ეკონომიკური მეცნიერების წინაშე მდგარი პრობლემები და ყოველმხრივ თანადგომას გამოხატავს მათ გადასატრედად.

ასევე დიდი მადლიერების გრძნობა მინდა გამოვხატო ეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება აკადემიკოს **ავთანდილ სილაგაძეს**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის **წევრ-კორესპონდენტს ლეო ჩიქავას** და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს **ნოდარ ჭითანავას**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრებს **მიხეილ როკეტლიშვილს** და **ელდერ ისმაილოვს**, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს (ფაკულტეტის დეკანს **თეიმურაზ ბერიძეს** პროფესორებს: **იური ანანიაშვილს**, **სიმონ გელაშვილს**, **რევაზ გველესიანს**, **რევაზ გოგოხიას**, **ნუგზარ თოდუას**, **ირაკლი კოვზანაძეს**, **ქეთევან მარ-**

შავას, იაკობ მესხიას, ელგუჯა მექვაბიშვილს, მირიან ტუხაშვილს, ნუგზარ პაიჭაძეს, თეიმურაზ შენგელიას, ეთერ ხარაიშვილს, ასოცირებულ პროფესორებს: უშანგი სამადაშვილს, ნინო აბესაძეს, შალვა გოგიაშვილს, გულნაზ ერქომაიშვილს, ნაზირა კაკუღიას, მარინა მუჩიაშვილს, რამაზ ფუტკარაძეს, მიხეილ ჩიქვილაძეს, მურმან ცარციძეს, და სხვ.), თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას (დავით ჯანგულაშვილსა და სოლომონ პავლიაშვილს), ილიას უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტს (პროფესორ ავთანდილ სულაბერიძე), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს (პროფესორი ლაშა ბრეგაძე, პროფ. ოთარ გამყრელიძე). პროფესორებს ანზორ აბრალავას, გივი ბედიანაშვილს, შოთა ვეშაპიძეს, მიხეილ თოქმაზიშვილს, დავით კურტანიძეს, გედეონ ხელაიას, მიხეილ ჯიბუტს, ამირან ჯიბუტს, მრავალ სხვა ორგანიზაციასა და მეცნიერს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ასევე ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლების თანადგომა, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში. დიდი მადლობა მათ.

მადლობა და არდავიწყება ამ ქვეყნიდან წასულ ინსტიტუტის თანამშრომლებს.

\* \* \*

ინსტიტუტის 70-ე წლისთავზე შეიძლება სიამაყის გრძნობით ითქვას, რომ ჩვენმა თაობამ, სერიო-

ზული საფრთხეების მიუხედავად, შეძლო არათუ შეენარჩუნებინა ინსტიტუტი და წინაპართა ტრადიციები, არამედ კიდევ უფრო გაემდიდრებინა იგი.

70 წლის თავზე ინსტიტუტი განვითარების ახალ ეტაპს იწყებს.

გუსურგოთ მას წარმატებები ამ გზაზე.

**რამაზ აბესაძე**

ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ემდ, პროფესორი

**მილოცვები**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის  
ეკონომიკის ინსტიტუტს

პატივცემულო მეცნიერებო,

გილოცავთ საიუბილეო თარიღს! დღეს საქართველოს სამეცნიერო კერას ეკონომიკის დარგში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს, დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა.

მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა ღვაწლმოსილი მეცნიერების წინაშე და ვუსურვო მათ, აღზარდონ მეცნიერთა სათანადოდ მომზადებული მომავალი თაობა, ისეთი ეკონომისტები, რომლებიც შეძლებენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამომავლო სტრატეგიის შემუშავება-განხორციელებას. ამისათვის საჭიროა საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა, რასაც ინსტიტუტი დღესაც წარმა-

ტებით ახორციელებს. ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება, დარწმუნებული ვარ, უზრუნველყოფს მაღალი დონის კვლევის შედეგების მიღწევას. ცნობილია, რომ ეს ინსტიტუტი მკვეთრი იდეოლოგიზაციის პირობებშიც კი ახერხებდა სწორი სამეცნიერო მიმართულების შენარჩუნებას და ახლა, თავისუფალი საქართველოს ცხოვრებაში, მან არსებული ტრადიციებისა და ინოვაციების შერწყმით უნდა შეძლოს ისეთი თეორიული ბაზის მომზადება, რომელსაც დაეფუძვნება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ინსტიტუტის დაარსების საიუბილეო თარიღს და გისურვებთ წარმატებულ სამეცნიერო საქმიანობას!

პატივისცემით,

**თამარ სანიკიძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრი



**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს**

ჩემთვის უდიდესი პატივია, მოგილოცოთ ამ სახელოვანი ინსტიტუტის 70 წლიანი იუბილე. მეორე მსოფლიო ომის დროს თბილისში ამ ინსტიტუტის დაარსება იმ დროინდელი ქართული ეკონომიკური სკოლის უდიდესი აღიარება და რაც მთავარია, უდიდესი პერსპექტივა იყო. ეს პერსპექტივა ინსტიტუტმა, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ისე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღირსეულად გამოიყენა.

ინსტიტუტმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, დამოუკიდებელი ეკონომიკური აზროვნების ფორმირებაში. რაც მთავარია, განუზომელია ამ ინსტიტუტის როლი და ადგილი დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში.

ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ქართული ეკონომიკის გრანდები, რომელთა კვალი წარუშლელია საქართველოს ისტორიაში. ინსტიტუტის აღზრდილები აქტიურად მოღვაწეობენ როგორც ეკონომიკურ მეცნიერებაში, უმაღლესი ეკონომიკური განათლების სფეროში, სახელმწიფოს მმართველობაში, მათი დიდი ნაწილი წარჩინებული ბიზნესკომპანიების ხელმძღვანელია.

მე ვამაყობ იმით, რომ ამ ინსტიტუტის ასპირანტურაში ვეზიარე ეკონომიკური მეცნიერების საიდუმლოებებს და თქვენთან ერთად ვცდილობდი და ვცდილობ მათ ამოხსნას. ამისათვის დიდი მადლობა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ სახელოვან იუბილეს! გისურვებთ წარმატებებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ეკონომიკური მეცნიერების გადარჩენა და განვითარება საქართველოში დიდწილად სწორედ თქვენზეა დამოკიდებული.

**ნოდარ ხადური**

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

## **პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივს**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივს ვულოცავ სახელოვან იუბილეს – დაარსებიდან 70-ე წლისთავს.

ინსტიტუტმა მეცნიერული მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლო. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში და დღესაც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას.

ინსტიტუტის კოლექტივს ვუსურვებ მაღალ შემოქმედებით აქტივობას და კიდევ უფრო დიდ მიღწევებს მომავალში.

პატივისცემით,

პრეზიდენტი



## გიორგი კვესიტაძე

### კვლავ წარმატებებს გისურვებთ

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია – 70 წლისა შესრულდა. ქვეყნის ეს უმნიშვნელოვანესი კვლევითი დაწესებულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში შეიქმნა. აკადემია 1941 წელს დაარსდა, ეკონომიკის ინსტიტუტი კი – 1944 წელს. არ დაგვავიწყდეს, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა. და სწორედ ამ დროს ხელისუფლება მეცნიერებაზე, მის განვითარებაზე ფიქრობდა. მაშინ, როცა ომის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება შეიქმნა, რომელსაც ეკონომიკური პრობლემების შესწავლა დაევადა. პრობლემები კი იმ დროს მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. აქ ჩატარებული კვლევები რეალურად ეხმარებოდა სახელმწიფოს განვითარებას, მის წინსვლას. ნიშანდობლივია, რომ 1957 წელს ინსტიტუტში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც შემდგომში სამართლის სექტორად გარდაიქმნა (ინსტიტუტსაც ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ეწოდა). გარკვეული დროის შემდეგ სამართლის მეცნიერება ცალკე კვლევით ცენტრად ჩამოყალიბდა. ქვეყნის სამეცნიერო

საზოგადოებამ აშკარად დაინახა იმ დიდი შრომის შედეგი, რომელსაც ინსტიტუტი ეწეოდა. აქ წარმატებით შეისწავლიდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემებს, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის, ფინანსებისა და ადრიცხვის, მათემატიკური სტატისტიკის, ეკონომიკური კიბერნეტიკის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ინსტიტუტის თანამშრომლები გამოირჩეოდნენ მაღალი მეცნიერული დონით. საკვლევი მასალა მეტად აქტუალური, სახელმწიფოსათვის საჭირო იყო. ინსტიტუტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ზოგიერთ სხვა სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად დიდი ამაგი დასდო კადრების ეკონომიკურ განათლებას.

ეკონომიკის ინსტიტუტს იმთავითვე დაებედა გამორჩეული ხელმძღვანელები, ჭეშმარიტი ლიდერები, რომელთაც ხელი შეუწყვეს მძლავრი ეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბებას. შეუფასებელია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დვაწლი ინსტიტუტის განვითარების საქმეში, ქვეყნის წინაშე მდგარი სამეცნიერო-ეკონომიკური საკითხების კვლევაში. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ დიდი მეცნიერის სახელს ატარებს ეკონომიკის ინსტიტუტი. დიდი ამაგი დასდო ზოგადად ეკონომიკის დარგის განვითარებასა და ინსტიტუტის წინსვლას აკადემიკოსმა ავთანდილ გუნიამ. ახალი ენერჯია შტაბერა კვლევას და ინსტიტუტის სახელის ფართოდ გატანას საერთაშორისო მასშტაბით აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. გარკვეული წვლილი

შეიტანა საქმის წინსვლაში პროფესორმა გიორგი წერეთელმა.

როცა ხმამაღლა ვამბობთ, რომ ეკონომიკის ინსტიტუტი წარმატებით ვითარდება ამ რთულსა და პრობლემებით აღსავსე დროში, რომ საგანგებოდ აღინიშნება მისი სამოცდაათწლოვანი იუბილე, ხასგასმით უნდა აღვნიშნოთ ინსტიტუტის ახლანდელი ხელმძღვანელის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის ღვაწლი ამ საქმეში.

გულწრფელად ვულოცავ საქართველოს ეკონომისტებს, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს, ვულოცავ ქართველ მეცნიერებს მნიშვნელოვან საეტაპო თარიღს – ინსტიტუტის 70-ე წლისთავს.

მარადიული წარმატებები იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, ძვირფასო მეგობრებო.

### **როინ მეტრეველი**

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი



**მადლობა და წარმატება ჩემს  
ინსტიტუტს!**

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, საქართველოში ეკონომიკის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული. ეს ინსტიტუტი, ისევე როგორც სხვა უმაღლესი სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა და თავიდანვე გამოირჩეოდა, როგორც საქართველოს ეკონომიკური ისტორიის და მიმდინარე ეკონომიკური პრობლემების შესწავლის ცენტრი.

დღიდან დაარსებისა მას სათავეში ედგა ცნობილი ქართველი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, რომელმაც არსებითად გადაწყვიტა ინსტიტუტის სამეცნიერო ორიენტაცია ეროვნული საკითხების კვლევაზე. შედეგად ინსტიტუტი საკავშირო მასშტაბით იყო გამორჩეული, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორიის კვლევის უმთავრესი ცენტრი.

ხაზგასასმელია, რომ ეკონომიკის ინსტიტუტი თავად გახდა სხვა ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების “მშობელი”. განსაკუთრებით, კი ხაზგასასმელია მეცნიერებათა აკადემიის სიტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე დემოგრაფიის ინსტიტუტის დაარსება, მით უფრო, რომ საქართველოში დემოგრაფიული კვლევის წარმოების ერთ-ერთი ფუძემდებელი აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი იყო.



ეკონომიკის ინსტიტუტი ერთი პერიოდი წარმატებით ფუნქციონირებდა “საერთო ქულის” ქვეშ სახელწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან, მოგვიანებით კი ეს ინსტიტუტი ცალკე სამეცნიერო ერთეულად ჩამოყალიბდა.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში უდიდესი დარტყმა მიიღო მეცნიერებამ და სამეცნიერო საზოგადოებამ. შედეგად არაერთი ცნობილი სამეცნიერო ერთეული ან საერთოდ დაიხურა, ან ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. უმძიმესი აღმოჩნდა დარტყმა ეკონომიკურ მეცნიერებაზეც: გარდა ეკონომიკის ინსტიტუტისა ამ დარგის ყველა სამეცნიერო ერთეული დაიხურა და დღეს მხოლოდ ეს სამეცნიერო ინსტიტუტი შემორჩათ ქართველ ეკონომისტებს, ინსტიტუტი, რომელიც მისი დამფუძნებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელს ატარებს.

ინსტიტუტი წარმატებით აგრძელებს იმ დიდ ტრადიციებს, რომლებსაც შვიდი ათეული წლის განმავლობაში აყალიბებდა და ანვითარებდა ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა სახელოვანი თაობა, და ამაში დიდია ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წვლილი, რომელიც ცდილობს ინსტიტუტი ახალი იდეებითა და ახალი პროექტებით გააძლიეროს.

პირადად ჩემთვის ეკონომიკის ინსტიტუტს მიუძღვის უდიდესი როლი პროფესიულ ზრდასა და მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაში, რისთვისაც მე მისი კოლექტივის უდიდესი მადლობელი ვარ.

ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივს, მის ხელმძღვანელობას და ყველა თანამშრომელს ვულოცავ ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავს, და ვუსურვებ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს, რამეთუ დიდია ეკონომიკური მეცნიერების და თავად ეკონომისტთა როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სწორი მიმართულებების ჩამოყალიბებაში.

**ვლადიმერ (ლადო) პაპავა**

აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

## **ვულოცავ ეკონომიკის ინსტიტუტს**

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. ინსტიტუტმა, რომლის დამაარსებელიც იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, საქმიანობის დირსეული გზა განვლო. ბატონი პაატას მიერ დამკვიდრებული ტრადიციები წარმატებით იქნა განვითარებული ინსტიტუტის სათავეში აკადემიკოს ავთანდილ გუნიას, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და პროფესორ გიორგი წერეთლის ყოფნის დროს. ბოლო წლებში ვეცნობოდი რა ინსტიტუტის წლიურ ანგარიშგებებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დავალებით, შემიძლია დავადასტურო, რომ მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ინსტიტუტი წარმატებით საქმიანობს დღესაც პროფესორ რამაზ აბესაძის

ხელმძღვანელობითა და მთელი კოლექტივის  
მაქსიმალური მონდომებით.

ვულოცავ ინსტიტუტის კოლექტივს ამ  
ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ კიდევ უფრო  
დიდ წარმატებებს მომავალში.

ავთანდილ სილაგაძე  
აკადემიკოსი

## ჭეშმარიტად სახელოვანი იუბილე

ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება თუ  
ვიტყვი, რომ მეორე მსოფლიო ომის ჯერ კიდევ  
ქარცეცხლიან დღეებში (1944 წ.) საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინ-  
სტიტუტის დაარსება გმირობის ტოლფასი მოვლენა  
იყო. ამ საპატიო და ეროვნული მნიშვნელობის მისი-  
ის შესრულება წილად ხვდა ქართული ეკონომიკური  
მეცნიერების რაინდს, ჭეშმარიტად გამორჩეულ  
ქართველ სწავლულ ეკონომისტსა და ცნობილ  
საზოგადო მოღვაწეს პაატა გუგუშვილს. რომ არა  
მისი ორგანიზატორული ნიჭი და შემართება, ინს-  
ტიტუტი, რომლის დაარსებიდან 70 წლისთავს  
აღვნიშნავთ, დღეისთვის გაცილებით უფრო ახალ-  
გაზრდა იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელდასხმით, პ. გუგუშვილმა სრულიად ახალგაზრდულ ასაკში (ქართველ ეკონომისტთა შორის პირველმა) 1940 წელს ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმთავითვე გახდა ქართველ ეკონომისტთა ლიდერი. ის მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აქტიურ მონაწილეობას დებულობდა როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში გამართულ ღონისძიებებში, ისე საერთაშორისო ფორუმებში. 1959 წელს აირჩიეს საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად და იმავე წელს მიიწვიეს გამორჩენილი საბჭოთა მეცნიერებისგან დაკომპლექტებული დელეგაციის შემადგენლობაში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო იტალიაში გამართულ მეოთხე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. მისი მოხსენების თემა იყო: „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაცია“.

სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობის შემაჯამებელ პლენარულ სხდომაზე კონგრესის ყველა სექციაზე მოსმენილ მოხსენებათაგან, პრობლემის მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის სიღრმით გამორჩეულ იქნა სულ ათიოდე მოხსენება, რომელთაგან ერთ-ერთი პ. გუგუშვილისა იყო. იგი იქვე აირჩიეს მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად.

იმ დროიდან მოყოლებული, აკადემიკოსი პ. გუგუშვილი სისტემატურად მონაწილეობდა

ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესების, აგრეთვე სხვა სპეციალური საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში, სადაც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მისი მოხსენებები, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე.

აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით მისი შემოქმედების თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იმდროინდელ ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს ა. აფაქიძეს. მან ბრძანა ასეთი რამ:

„გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თავისი უაღრესად ღრმაშინაარსიანი და მრავალწახნაგოვანი მეცნიერული მემკვიდრეობის მეოხებით, აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა ქართული ეკონომიკური მეცნიერება სრულიად ახალ – მაღალ საფეხურზე აიყვანა და საკუთარი ორიგინალური შეხედულებები საერთაშორისო მასშტაბითაც საკმაოდ ხელმისაწვდომი და ანგარიშგასაწევი გახადა.

თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით მან, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ, იურიდიულ მეცნიერებებთან ერთად, უხვად გაამდიდრა ქართული ისტორიული მეცნიერებაც. ამის დასტურია მისი თუნდაც მონოგრაფიების შვიდტომეული „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“ (300 ნა-

ბეჭდი თაბახის მოცულობით), რომელმაც როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე მრავალი გამომჩენილი მეცნიერის ყურადღება მიიქცია“.

აღბათ, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველოში მეოცე საუკუნეში ქართულ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მეცნიერებათა განვითარებაში პ. გუგუშვილს თავისი ტიტანური მეცნიერული შემოქმედებით ისეთივე გამორჩეული ადგილი უკავია, როგორც ივ. ჯავახიშვილს ისტორიულ, დიმიტრი უზნაძეს – ფსიქოლოგიურ, შალვა ნუცუბიძეს – ფილოსოფიურ, ვახუშტი ბაგრატიონს – გეოგრაფიულ, ანდრია რაზმაძეს, ნიკო მუსხელიშვილსა და ილია ვეკუას – მათემატიკურ, პეტრე მელიქიშვილს – ქიმიურ, ივანე ბერიტაშვილს – ფიზიოლოგიურ, აკაკი შანიძესა და არნოლდ ჩიქობავას – ფილოლოგიურ, ალექსანდრე ჯანელიძეს – გეოლოგიურ, ანდრია აფაქიძეს – არქეოლოგიურ, ვეგენი ხარაძეს – ასტრონომიულ მეცნიერებათა განვითარებაში.

პ. გუგუშვილის სახით აი, ასეთი გიგანტი ედგა სათავეში მისივე ინიციატივით დაარსებულ ეკონომიკის ინსტიტუტს 32 წლის განმავლობაში. ცხადია, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავის მრავალფეროვან და უადრესად შრომატევად საქმიანობაში მას მხარში ედგნენ და ძალისხმევას არ აკლებდნენ მისი კოლეგებიც: ვასილ ჩანტლაძე, იოსებ ბაჯაძე, ავთანდილ გუნია, ნიკოლოზ იაშვილი,

აპოლონ ნუცუბიძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, ვახტანგ კახეთელიძე, ბექირბი ხასია და სხვ.

ეკონომიკის ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა სწავლულ ეკონომისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. მხედველობაში მაქვს ასპირანტურა და სამეცნიერო ხარისხების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს ფუნქციონირება. საბოლოო ჯამში ამან განაპირობა ქართული ეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბება.

ინსტიტუტში თითოეული დაცვა იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა. თითქმის ყველა დაცვას ვესწრებოდი და მასსოვს თუ როგორი მაღალი მოთხოვნელობით გამოირჩეოდა საჯარო სხდომები. წინასწარვე დელავდნენ არა მარტო დისერტანტები, არამედ მათი ოფიციალური ოპონენტებიც, რამდენადაც ბატონი პაატა, როგორც სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, რაიმე გადახვევას თუ უსაფუძვლო მსჯელობას არავის პატიობდა.

ეს რაც იყო XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე – დირექტორობიდან ბატონი პაატას განთავისუფლებამდე. თუმცა, ინსტიტუტში დამკვიდრებული მდიდარი ტრადიციები არც მომდევნო ეტაპებზე მოღვაწე დირექტორების (აკად. ა. გუნია, აკად. ვლ. პაპავა, პროფ. გ. წერეთელი) ხელში დარღვეულა და წარმატებთ გრძელდება დღესაც – ინსტიტუტის სათავეში პროფ. რ. აბესაძის ყოფნის პერიოდშიც. ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიე-

რებათა განყოფილება სისტემატურად მაღალ შეფასებას აძლევს ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერულ-კვლევით საქმიანობას და მის კვალობაზე მიღებულ შედეგებს.

საერთო წარმატებებში, რომლითაც არაერთხელ ისახელა თავი ეკონომიკის ინსტიტუტმა, გარკვეული წვლილი მეტ-ნაკლებად მის ყველა თანამშრომელსა და კოლექტივის ხელმძღვანელობას მიუძღვის, მაგრამ განსაკუთრებით დიდი წვლილი მაინც აკად. ვლ. პაპავაზე მოდის. შეიძლება ითქვას, რომ სწავლული ეკონომისტების თანამედროვე თაობის წარმომადგენელთა შორის მას ბადალი არ ჰყავს. იგი, საერთაშორსო ფორუმებზე სისტემატური მონაწილეობითა და სამეცნიერო ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობით, ასევე, თავისი ორიგინალური გამოკვლევების საზღვარგარეთ პუბლიკაციით, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მსოფლიო არენაზე ღირსეულად წარმოაჩინოს ქართველ ეკონომისტთა ნაფიქრალ-ნააზრევი.

რაც შეეხება ეკონომიკის ინსტიტუტში ჩემს თანამშრომლობას, იგი მოიცავს 1983-1990 წლებს, როცა იმდროინდელი დირექტორის მიწვევით მეკავა სამეცნიერო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობა. ინსტიტუტის კოლექტივს მანამდეც საკმაოდ კარგად ვიცნობდი, ამიტომ ადაპტირება არ გამჭირვებია. ინსტიტუტმა ძალიან კარგად მიმიღო, რამაც საუკეთესო პირობები შემიქმნა ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ინსტიტუტში არსებობდა ათამდე განყოფილება, რო-



მელთაგან ნაწილი მე დამეკვემდებარა, ნაწილი კი – ჩემს კოლეგას, ასევე დირექტორის მოადგილეს თამაზ ჩიკვაიძეს.

ინსტიტუტის კოლექტივისთვის ერთგვარი სიურპრიზი გამოდგა ჩემს მიერ შეთავაზებული მეთოდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებული ნაშრომების მიღებისა, რომელიც გამომიმუშავდა წლების განმავლობაში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში. მისი არსი მდგომარეობდა შემდეგში: ვეცნობოდი ჩემს დაქვემდებარებაში შემავალ განყოფილებებში რეცენზირებულ, განხილულ და მიღებულ ნაშრომებს, ვადგენდი მათ აკადემიკოსობას, ასევე რეცენზირების ობიექტურობას და შედეგებს ვახსენებდი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომას. ასეთმა მიდგომამ ბევრი ნაკლი გამოავლინა, რაც მტკივნეული აღმოჩნდა ცალკეული თანამშრომლებისთვის. სამაგიეროდ, გაიზარდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა. მახსოვს, ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომლის – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის შოთა მელაძის რეაქცია ამასთან დაკავშირებით. სხდომის შემდეგ მან განაცხადა: „ჩემი ნაშრომის განხილვის მოლოდინში ბევრი ვინერვიულე, გული ისე მაგრად მიიბერდა, რომ აშკარად ვგრძნობდი მის ბრავა-ბრუეს და შემეშინდა კიდევ უფრო ცუდად გახდომის. შევეცდები, რომ მომავალ წელს ნაკლები მქონდეს სანერვიულო“. ჩვენი მთავარი მიზანიც ეს იყო და არა ვინმეს ანერვიულება ან შერცხვენა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივს, ყველას, ვისაც მასთან თუნდაც ოდნავი შეხება ჰქონია, და სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ დაწესებულების დაარსებიდან 70-ე წლისთავის ჭეშმარიტად სახელოვან იუბილეს. ჩვენ – ქართველმა ეკონომისტებმა (და არა მარტო ეკონომისტებმა) ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქართული ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანმა – ეკონომიკის ინსტიტუტმა მომავალშიც წარმატებულად იფუნქციონიროს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვას.

### **ლეო ჩიქავა**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდენტი

## **აკადემიური ტრადიციების მატარებელი ინსტიტუტი**

ნებისმიერი სასწავლო თუ კვლევითი ინსტიტუტის დაარსებიდან მრგვალი თარიღის აღნიშვნა, გარდა ბუნებრივი მილოცვებისა, არის კარგი საშუალება ანალიზისა თუ როლის? როგორ ვითარებაში? ვის მიერ დაარსდა ინსტიტუტი? როგორ ვითარდებოდა იგი? რა პრობლემები და მიღწევები ახლდა ამ

განვითარებას? როგორია დღეს ესა თუ ის ინსტიტუტი? ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცეს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან საიუბილეო თარიღის 70 წლისთავის აღნიშვნის დროსაც.

ინსტიტუტი დაარსდა გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტის, ისტორიკოსის, სოციოლოგის, ბრწყინვალე ლექსიკოგრაფის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ 1944 წელს, ანუ ეს იყო საკმაოდ რთული ეპოქა ჩვენი ქვეყნისათვის და თუ არა ბატონი პაატა გუგუშვილის მიზანმიმართული ქმედებები და მაშინდელი მთავრობის შემხვედრი ნაბიჯები ამ ინიციატივას აღსრულება არ ეწერა.

ინსტიტუტის კვლევების იმდრინდელი თემატიკა პასუხობდა იმ ამოცანებს, რომელიც იდგა ქვეყნის ეკონომიკის და ეკონომიკური მეცნიერების წინაშე, კეროდ, კვლავწარმოების და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ეკონომიკური პრობლემები; სოციოლოგია და დემოგრაფია; აგრარული სექტორის განვითარება; ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; საქართველოს ეკონომიკური აზრის და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის თეორია; სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი; საქართველოს სამართლის ისტორია და სხვ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შეიცვალა კვლევების თემატიკაც, კვლევების ცენტრში აღმოჩნდა გარდამავალი პერიოდი პოსტკომუნისტური

ქვეყნების ეკონომიკებში; ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება; ინოვაციური ეკონომიკა; სექტორალური ეკონომიკა; რეგიონული ეკონომიკა; მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და სხვ.

მინდა განსაკუთრებით შევეხო ინსტიტუტში ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკების მომზადების საკითხს. ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან მოგახსენებთ, რომ ინსტიტუტი იძლეოდა უაღრესად კარგ საშუალებებს ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკის ჩამოყალიბებისათვის – მეცნიერული კვლევის სათანადო პირობები, სამეცნიერო დისკუსიების არსებობა, მივლინებები სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და ა.შ.

სამწუხაროდ ბოლო ათწლეულებში ინსტიტუტს არ ექცევა სათანადო ყურადღება მთავრობის მხრიდან, არ არის დადგენილი ზუსტად მისი სამართლებრივი სტატუსი, არ ხორციელდება მისი საბაზო დაფინანსება, რამაც გამოიწვია ახალგაზრდა კადრების დენადობა, სავალალო მდგომარეობაშია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის დღევანდელი ხელმძღვანელობა ძალღონეს არ იშურებს რათა დაადწიოს თავი ამ პრობლემებს.

დაბოლოს, გულითადად ვულოცავ ინსტიტუტის კოლექტივს საიუბილეო წელს და ვუსურვებ დიდ წარმატებებს მომავალში, გამოვთქვამ იმედს,

რომ ინსტიტუტის ყოფნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურაში კარგ საფუძველს შეუქმნის ინსტიტუტს მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად.

**თეიმურაზ ბერიძე**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
დეკანი, ემდ, პროფესორი

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის  
ინსტიტუტის სახელოვან კოლექტივს  
გულოცავ ინსტიტუტის დაარსებიდან  
70-ე წლისთავს**

ინსტიტუტის შექმნა იმ დროს, როცა ქვეყანა ფაშიზმთან ბრძოლაში იყო ჩართული, როცა ეკონომიკა მხოლოდ ომში გამარჯვების ამოცანებს ემსახურებოდა, ისტორიული მოვლენა იყო საქართველოს ცხოვრებაში. იმ პერიოდის საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელთა ჯგუფმა პროფესორ პაატა გუგუშვილის ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში შექმნა ინსტიტუტის კოლექტივის ფორმირება და მისი ნაყოფიერი ფუნქციონირების პირობების მომზადება.

ინსტიტუტის კოლექტივმა დიდი და წინააღმდეგობრივი გზა სახელოვნად განვლო. ინსტიტუტი ფაქტობრივად ჩამოყალიბდა, როგორც საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების ცენტრი-ლიდერი, რომე-

ლიც იკვლევდა და ანზოგადოებდა ქართული ეკონომიკის განვითარების პრობლემებს. ფასდაუდებელია ინსტიტუტის მიერ წლების მანძილზე შესრულებული კვლევების შედეგები, როგორც მეცნიერული ასევე პრაქტიკული მნიშვნელობით. უდიდესია ინსტიტუტის როლი ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტების აღზრდაში. იგი სამართლიანად იყო აღიარებული ახალგაზრდა კადრების მომზადების საიმედო კერად. ნიშანდობლივია, რომ დღევანდელ სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში ინსტიტუტის აღზრდილები წარმატებით უძღვებიან სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის მთავარ მიმართულებებს.

ინსტიტუტი დღეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიციებით დამაჯერებლად ასრულებს ეკონომიკური მეცნიერების ლიდერის ფუნქციებს. იგი იქ და იმ სიმაღლეზე დგას, რასაც მისგან ლოგიკურად ითხოვს საზოგადოებრივი, განსაკუთრებით ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ინტერესები.

**ნოდარ ჭითანავა**

**საქ. სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი  
ძვირფასო ბატონო რამაზ,**

სულითა და გულით ვულოცავ სახელოვან ინსტიტუტს 70 წლის იუბილეს. მთელი ამ წლების მანძილზე პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი გვევლინებოდა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური აზროვნების შტაბად, სადაც

მოდვაწეობდნენ და მოდვაწეობენ ქართული ეკონომიკური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

გისურვებთ დიდ ნაყოფიერ და ხანგრძლივ მოდვაწეობას ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

დიდი პატივისცემით

**პაატა კოდუაშვილი**

საქ. სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი

## **გულითადი მილოცვა**

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს სულითა და გულით ვულოცავ ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავს და ვუსურვებ დიდ წარმატებებს.

ჩემთვის ძალიან ძვირფასია ეს ინსტიტუტი და ამიტომ ყოველთვის გულისყურით ვეცნობოდი და ახლაც ვეცნობი მის საქმიანობას. გასახარია, რომ ძნელბედობის უამს ინსტიტუტმა წარმატებით ისაქმიანა – შეინარჩუნა და განავითარა ის ტრადიციები, რომელსაც პაატა გუგუშვილის მეთაურობით მისმა პირველდამფუძნებლებმა ჩაუყარეს საფუძველი. თუმცა, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. დარწმუნებული ვარ, ინსტიტუტი მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს თავისი მისიის შესასრულებლად.

მინდა გაგაცნოთ რამდენიმე ფრაგმენტი პაატა გუგუშვილის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან მისი მოგონებების მიხედვით

პაატა გუგუშვილის მოგონებანი:

[ფ. 9] ეს სულ ახლა, რამდენიმე წლის წინად იყო ჩემზე მეტისმეტად გადაკიდებული ადამიანთა ერთი ჯგუფი მოკვლით მემუქრებოდა. მე მათ ვუთხარი, რომ ჩემი დაშინება სიკვდილით შეუძლებელია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მე მკვდარი ვარ დაბადებული და სიკვდილი და მისი შიში, ამგვარად, უკვე გამოვლილი მაქვს მეთქი. მართლაც, მამისაგან, უკვე დიდსაც, არაერთხელ გამიგონია, რომ ჩემს დედას პირველი შვილი დაბადების პირველსავე დღეებში მოკვდომა.

როდესაც დედა, ჩემზე ორსული, სამშობიაროდ ემზადებოდა, ვიღაც ცნობილი ბებიაქალი მოუყვანიათ. დავბადებულვარ, მაგრამ საამქვეყნო ფერი არ მქონია. ბებიაქალი ეცადა, ყოველივე იღონა, მაგრამ ჩემი მოსულიერება ვერ შესძლო. მაშინ ჩემი ბებია, მამის დედა, მოვარდნილა, ბავშვი მისთვის ხელიდან გამოუგლეჯია და ერთი ცემატყეპით აივანზე გაუყვანია.. მერე პირში მუნდშტუკით [ფ. 10] სული ჩაუბერია და სასოწარკვეთილს წყლით სავსე სპილენძის დიდ ტაშტში გაუცურებია და მაშინდა თურმე მოესმათ ჩემი კნავილი. გაცოცხლდა.., ცოცხალია, აბა უშველეთო და სხვ. დაუწყიათ ყვირილი. გაცოცხლება მით უფრო აუცილებლად მიაჩნდათ, რომ ვაჟი იყო ეს ბავშვი და ბებიას



უთქვამს, ვინ იცის, იქნება აწი ბიჭი სულაც არ გაუჩნდესო!

ეზოში ხმა გავარდა ვაჟია და ცოცხალიაო. მამაჩემი, რომელიც ამ კივილისა და გაწამაწიის დროს ბალ-ბოსტანში გასულა, თურმე გამოქანდა და თოფს ეცა. ბახ! გავარდა ერთი, მეორე, მერმე... თოფი ძმისშვილს მისცა, რამდენიც გინდოდეს, გატენე და ისროლეო. ასე რომ, სიკვდილის შიში უკვე დაბადების უამსვე მქონდა, მართლაც, გამოვლილი. ისიც კია, ჩემს მშობლებს მეტი ვაჟი არ ყოლიათ. ბებიას დამსახურება დიდი იყო და მამაჩემი ამას ხშირად იგონებდა და მისი დედის სულს იფიცავდა, როგორც ვალაუვალი მოვალე.

\*\*\*

როდესაც პაატა ოთხიოდე წლის გახდა, ბებიამისს, სალომეს, ბესარიონისთვის უთქვამს – ეს ბავშვი ნიჭიერია, სწავლისთვისაა დაბადებული, ამას აუცილებლად ასწავლე, თოხი და ბარი არ გააკაროო. „უნებლიეთ გამახსენდა, ქუთაისში მოწაფეობის დროს შევნატროდი წიგნებს, რაც გიმნაზიის, მერმე ტექნიკუმის ბიბლიოთეკაში საკმაოდ იყო და მენატრებოდა ამ ბიბლიოთეკის უფროსი ვყოფილიყავი და მაშინ ხომ ამდენი წიგნი ჩემთვის სულ ყველა ადვილადმისაწვდომი იქნებოდა. რა ბედნიერი იყო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე. მეც უანგარო ყმაწვილი რატომღაც ბედნიერი ვიყავი იმის ბედნიერებით, რომ ყველა წიგნი, როდესაც და როგორც მოეპრიანებოდა, ისე შეეძლო ეკითხა აქაც და

სახლშიც წაეღო წასაკითხავად, უზომოდ და უვადოდ [ფ. 71]“

\*\*\*

28 წლის პაატა გუგუშვილი თავის დღიურებში წერს:

„ასე რომ, მიმდინარე წელს ოთხი წიგნი უნდა დავბეჭდო. და თუ ქრესტომატიის ტომიც მოვასწარი, მაშინ ხუთი წიგნი იქნება. ეს საქმე თუ დავაბოლოვე და შედეგად ერთი მაგრა არ დამცხეს, ხომ კარგი!

ყოველ შემთხვევაში, ამის შემდეგ მე ვაპირებ ერთხანს ხელი ავიღო წერისაგან და ვიმუშავო თავის თავზე. კარგად შევისწავლო უცხო ენები და სხვ. ჩემი ასაკისთვის რაც დავწერე, ისიც საკმარისზე უკვე მეტია. ყოველივე ამის შემდეგ მე რაიმე ღირებული შრომა უნდა დავწერო, რომელმაც ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში ეპოქა უნდა შექმნას.“

პაატა გუგუშვილი. დღიურები, ჩანაწერები, მოგონებები. რვეული 1, 1933, გვ. 7

\*\*\*

„გასული წლის 22.12 საგემო კომიტეტში 1978 წ. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო გეგმის განხილვა იყო. სიტყვით გამოვედი. აღვნიშნე, რომ კავკასიის მთაგრეხილზე გამვლელი ორი ტრანსკავკასიური გზის (საავტომობილო და სარკინიგზო) პრობლემა ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. იმას, ვინც ქართული ყურძნის, მანდარინის, ვაშლისა და ღვინის ყუთებს დასდევს

რუსეთის ბაზარზე, არ შეიძლება წარმოდგენილი ჰქონდეს, თუ რაოდენ ძირეულ გავლენას მოახდენენ ეს ორი ტრანსკავკასიის, განსაკუთრებით, საავტომობილო გზა საქართველოს ეროვნული ორგანიზაციისა და ტერიტორიული ორგანიზაციის განვითარებაზე მომავალი ათეული წლების მანძილზე. – ეს იქიდანაც ჩანს, რომ რესპუბლიკაში არაა არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც ამ საკითხს სწავლობდეს. ეს წარმოდგენილია ისეთ სიკეთედ, რომელსაც შეგვიძლია ბრმადაც დაგხვდეთ. სინამდვილეში კი ის შეიძლება ისეთი შეიქნეს, რომ თვალხილულებმაც მთელი განთხმულობით ვეღარ მოიხილონ.“

პაატა გუგუშვილი, დღიურები, ჩანაწერები, მოგონებები. რვეული 12 (1978 წ.), გვ. 8-11.



ფოკუსში, მისი მეცნიერული აზროვნების მთავარი საგანი, საზრუნავი ყოველთვის იყო ქართველთა მოდგმის, ქართველი ერისა და ქართული ნაციის სასიცოცხლო ინტერესები, ქართველი კაცის ინტერესები და არა მეცნიერულად აბსტრაგირებული ადამიანი. თვით ეკონომიკისა თუ სოციალური სისტემის ეფექტურობაშიც იგი უმთავრესად მიიჩნევდა მათ სარგებლიანობას ამ უმთავრესი სუბიექტისათვის.

**ბესარიონ პ. გუგუშვილი**

ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ მინისტრი  
ფინეთი, ვანტაა, 16.05.2014

### **ჩემი ინსტიტუტი 70 წლისაა**

დიდი სიყვარულით ვიხსენებ ინსტიტუტის დაარსების დღეებს. მეხსიერებიდან არ ამომდის პაატა გუგუშვილის, იოსებ ბაჯაძის, აკაკი კაკაბაძის, ნიკო იაშვილისა და სხვათა თავდადებული საქმიანობა ინსტიტუტის ღირსეული მომავლის შესაქმნელად, რაც წარმატებით იქნა კიდევაც მიღწეული.

დასანანია, რომ ასე მალე გავიდა 70 წელი, რომ ინსტიტუტის პირველთანამშრომლებიდან, ჩემ გარდა, აღარავინაა ცოცხალი. ბევრი არ არის ცოცხალი შემდგომი თაობიდანაც, მათ შორის, ჩემი მეუღლე (სერგო სოსელია) და შვილი (ზურაბ

სოსელია). მახარებს ის, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ და მოელმა კოლექტივმა წარმატებით იშრომეს, ინსტიტუტს დიდი ავტორიტეტი შესძინა და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. გადმოცემით ვიცი, რომ ინსტიტუტი კვლავ წარმატებით აგრძელებს საქმიანობას, რაც ასევე ძალიან მახარებს.

ვულოცავ ჩემი მშობლიური და საყვარელი ინსტიტუტის კოლექტივს, მის თითოეულ თანამშრომელს, ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

### **შუშანა მარგველაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, ინსტიტუტის  
პირველი მეცნიერი თანამშრომელი

### **მილოცვა**

სულითა და გულით ვულოცავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს ინსტიტუტის დაარსებიდან საიუბილეო 70-ე წლისთავს.

ომისა და შიმშილობის პირობებში, როდესაც ადამიანები საარსებოდ პურს ეძებდნენ, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ საქართველოს მეცნიერე-

ბათა აკადემიის სისტემაში დაფუძნებულმა ეკონომიკის ინსტიტუტმა სახელოვანი გზა განვლო. 70 წელი, ერთი შეხედვით, არც ბევრია და არც მცირე, მაგრამ თუ გადავხედავთ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ნამოღვაწარს, ნათლად წარმოჩინდება, რომ მათ წარმატებით შეასრულეს და დღესაც წარმატებით ართმევენ თავს დაფუძნების დღიდანვე დაკისრებულ მისიას – ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარება და მეცნიერ-ეკონომისტთა თაობის უწყვეტი ცვლა.

პატივს მივაგებთ ინსტიტუტის იმ მეცნიერ-ეკონომისტთა ხსოვნას, რომლებიც დღეს ჩვენ შორის აღარ არიან, მაგრამ მათი სახელი მათ მეცნიერულ შრომებში და აღზრდილ თაობებში ცოცხლობს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აკადემიკოსების პაატა გუგუშვილის, ვასილ ჩანტლაძის, ავთანდილ გუნიას, მათთან ერთად მოღვაწე საყოველთაოდ ცნობილი პროფესორების მიერ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში მყარად ჩაყრილ ფუნდამენტზე აღზრდილ თაობას წარმატებით მიესადაგება ისააკ ნიუტონის სიტყვები: „თუ მე ვხედავდი სხვებზე შორს, იმიტომ რომ მე გიგანტების მხრებზე ვიდექი“.

1990-იანი წლებიდან დღემდე, ინსტიტუტის ისტორიაში ერთ-ერთი ძნელბედობის უამია. ამ პერიოდში სახელმწიფოსა და მეცნიერებას შორის ურთიერთობა მახსენებს ერთ-ერთ ქართულ ზღაპარს, სადაც დედინაცვალი პურის ყუას სამწყემსურში ატანს გერს და უბარებს: ეს პურის ყუა თვითონაც

ჭამოს, გამელელ-გამომელელსაც უწილადოს და სახლშიც მიიტანოს. რათქმა უნდა ამის გაკეთება მხოლოდ ძლიერ და სასწაულმოქმედი ძალის მქონეს შეუძლია.

რეალურ ცხოვრებაში ადამიანი ღმერთისგან ჯილდოდ იღებს სიყვარულსა და პასუხისმგებლობას. იგი თვითონაც უნდა დაკმაყოფილდეს სიყვარულით, სხვასაც უწილადოს და თავის კერაზეც იზრუნოს.

1990-იანი წლებიდან ქვეყანაში არსებული სიდუხჭირის, განუკითხაობის, ძალადობისა და უსამართლობის პირობებში სახელმწიფომ რეფორმის პროცესში, როგორც დედინაცვალმა, გერივით მიატოვა მეცნიერება და იგი ბედისანაბარა დატოვა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ მძიმე ვითარებაში, მათზე დაკისრებული მისია, სხვადასხვა წლებში ინსტიტუტის დირექტორების: აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, ნაადრევად გარდაცვლილი პროფესორ გიორგი წერეთლის და დღევანდელი დირექტორის პროფესორ რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით, სასწაულმოქმედი ძალით შეძლეს და შეინარჩუნეს ინსტიტუტის მეცნიერული სახე. მიზერული ხელფასისა და კვლევების დაუფინანსებლობის პირობებში, კოლექტივი დიდი სიყვარულით და პასუხისმგებლობის გრძნობით,



დაუღალავად აგრძელებს წარმატებულ მეცნიერულ მოღვაწეობას.

საყოველთაოდაა ცნობილი წიგნებად გამოცემული მათი მეცნიერული შრომები. გარდა ამისა, საყურადღებო მეცნიერული გამოკვლევები იბეჭდება ინსტიტუტის შრომების კრებულში.

ქართული ეკონომიკური მეცნიერული აზრის განვითარებას ემსახურება ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, რომლის სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრები, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებთან ერთად არიან საერთაშორისო დონეზე ცნობილი უცხოელი მეცნიერები. საგულისხმოა, რომ ჟურნალში სტატიები იბეჭდება არამხოლოდ ქართულ, არამედ ინგლისურ და რუსულ ენებზე, რაც ზრდის მის ავტორიტეტს საერთაშორისო დონეზე. ამას ემატება ისიც, რომ ჟურნალის სტატიების შინაარსი თავისი ნოვაციით უტოლდება უცხოეთში გამოცემულ რეფერირებად და შეიძლება ითქვას, იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს. მისასაღმებელია ის, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა კერძოდ, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, რამაზ აბესაძისა და სხვათა სტატიები საერთაშორისო იმფაქტ-ფაქტორის დონის და რეფერირებად ჟურნალებშია გამოქვეყნებული.

ინსტიტუტის დირექციის, სამეცნიერო საბჭოს და თანამშრომელთა დაუღალავი მეცნიერული შრომის შედეგია ყოველწლიური საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, რომლებშიც

ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელი ეკონომისტებიც მონაწილეობენ. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების ღირსებას ზრდის ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კონფერენციები ხშირად ეძღვნება ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ხსოვნას, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათ იციან „ვისი გორისანი არიან“ და ამით მაღლიერებას გამოხატავენ თავისი მასწავლებლებისა და კოლეგების მიმართ.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის გამოცემის გადაწყვეტილებით (რომლის პირველი ტომიც მალე გამოვა), ურთულესი, მაგრამ ერთობ საჭირო და საპასუხისმგებლო საქმე წამოიწყო. ენციკლოპედიის რედაქციის მეცნიერული დონე და გამოცდილება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ინსტიტუტი ამ საქმესაც ბოლომდე წარმატებით გაართმევს თავს.

ინსტიტუტის ღირეკციას, სამეცნიერო საბჭოს და თანამშრომლებს კარგად ესმით, რომ დღევანდელ სწრაფად ცვლად სამყაროში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია მხოლოდ საკუთარ კედლებში მოღვაწე მეცნიერ-ეკონომისტთა ძალებით და აუცილებელია ქვეყანაში და საერთაშორისო დონეზე სხვა მეცნიერებთან აზრთა ჭიდილი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ინსტიტუტში არსებული სადისკუსიო დარბაზი, რომელიც გამიზნულია ახალი ეკონომიკური აზრის განვითარებისათვის და შეიძლება მას ეკონომიკური აზრის კრეატიული სამჭედლო ვუწოდოთ.

ინსტიტუტის საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს უცხოეთის სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

სამწუხაროა, ამ მეცნიერების ე.წ. რეფორმატორთა მიერ მეცნიერ-ეკონომისტთა ახალი თაობის აღზრდის მიზნით ინსტიტუტში წლების მანძილზე არსებული ასპირანტურის დახურვა, სადაც არაერთი ცნობილი მეცნიერი მომზადდა. გადაუდებელ საქმედ მივიჩნევთ რაღაც ფორმით მის აღდგენას, მით უფრო, რომ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს ახალგაზრდა დოქტორანტთა მომზადების ძალა შესწევთ. ისინი ხომ ახალი თაობების აღზრდის მიზნით, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ინსტიტუტმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეების, პროფესორ-მასწავლებლების და მეცნიერების სახით, თავისი კადრები სხვებსაც უწილადა და ამ მისიას დღემდე წარმატებით ასრულებს.

ამის მაგალითია ის, რომ 1990-იანი წლებიდან, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ახალი თაობა, წარმატებით იყო ჩართული და ჩართულია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური რეფორმის პროცესში. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა თითქმის ნახევარზე მეტი წარმატებით მუშაობდა და დღესაც საქმიანობს ქვეყნის ეკონომიკური დარგის სამინისტროების და უწყებების მაღალ, საპასუხისმგებლო თანამდებობ-

ებზე. ეს მათ შესძლევს იმიტომ, რომ: „ხედავენ სხვებზე შორს“.

ან თუნდაც ის რომ 1991 წელს, დღევანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, 1960-იანი წლების ბოლოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში შექმნილი სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა და ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფესორ ლეო ჩიქავას ძალისხმევით დაფუძნდა.

ბუნებრივია, ინსტიტუტი წარმატებული ვერ იქნებოდა, რომ არა ინსტიტუტის ისტორიის მანძილზე დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს სწორად დაგეგმილი და მოწესრიგებული მიზანმიმართული მუშაობა, რამაც დიდად განაპირობა ინსტიტუტის აღიარება როგორც ქვეყანაში, ისე საერთაშორისო დონეზე. ამასთან, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა მიერ. ამას მოწმობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტთა შორის კონკურსში არაერთი გამარჯვება. ინსტიტუტის წარმატებული მეცნიერული მუშაობის აღიარებად უნდა მივიჩნიოთ ინსტიტუტის ცალკეულ თანამშრომელთა მიერ მიღებული ჯილდოები, ორდენები და საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და აწ გარდაცვლილი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის

პროფესორ გიორგი წერეთლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა.

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ თანამშრომლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტსა და დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა შორის დღემდე გრძელდება და ვიმედოვნებთ, შემდგომშიც გაგრძელდება მეცნიერული, კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობები. ამას მოწმობს დღეს, ერთობ მძიმე ვითარებაში მყოფი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტისთვის, ეკონომიკის ინსტიტუტის დირექციის, სამეცნიერო საბჭოს და თანამშრომელთა მიერ დასახმარებლად გაწვდილი ხელი. მერწმუნეთ, ეს მეცნიერების დიდი სიყვარულის გამოვლენა და თაყვანისცემაა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ძველ და ახალ თაობას იუბილეს და ვუსურვებ წამატებებს პირად ცხოვრებასა და მეცნიერულ მოღვაწეობაში. გვჯერა, რომ ისინი ქართული მეცნიერების სასახელოდ კვლავაც უფრო მეტი შემართებით გააგრძელებენ მეცნიერულ მოღვაწეობას.

დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და წარმატების სურვილით

**ავთანდილ სულაბერიძე**

ილიას უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციო-  
ლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი

## საიუბილეო მილოცვა

არსებობის 70 წელი სოლიდური პერიოდია უნიკალური ისტორიის შესაქმნელად. მით უფრო, როდესაც 7 ათწლეულის მანძილზე იცვლება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია და ადმინისტრაციული მოწყობის მოდელი, გადასინჯვას ექვემდებარება ძველი იდეოლოგიები და მოძღვრებანი, ტრანსფორმირდება სოციალურ ურთიერთობათა სისტემა. 2014 წლის 29 ივნისს დაარსებიდან სწორედ 70 წელი უსრულდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს. მეორემსოფლიო ომის პერიოდში დაფუძნებული კვლევითი ინსტიტუტის მნიშვნელობა, რომელმაც მას შემდეგ მრავალჯერ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დღეს პირველი კავკასიური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი სტრუქტურული ერთეულია, დასტურდება იმითაც, რომ მან გაუძლო უმძიმეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სირთულეებს და, რაც მთავარია – დროს. 70 წლის ისტორიის მქონე აკადემიური კვლევითი ინსტიტუტი საქართველოში სულ რამდენიმეა, ამ ტრადიციული კვლევითი კერების შემდგომ განვითარებას კი მხარდაჭერა და

ხელშეწყობა ესაჭიროება – როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. თანამედროვე ქართული აკადემიური სივრცე წარმოდგენილია ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების ანალიზით დაკავებული ამ მნიშვნელოვანი კვლევითი ინსტიტუტის გარეშე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა და ინოვაციური მიდგომები არაერთგზის შეფასდა უმაღლეს დონეზე. ინსტიტუტი ცდილობს არ გაწყვიტოს თაობათა ცვლის ჰარმონიული პროცესი და ღვაწლმოსილ მკვლევარებთან ერთად სამეცნიერო საქმიანობის შესაძლებლობას აძლევს მეცნიერთა ახალგაზრდა თაობას. საერთაშორისო აკადემიური კონტაქტებისა და საზღვარგარეთ გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების შედეგად ინსტიტუტს აქვს პერსპექტივა გახდეს მზარდი რეგიონალური კვლევითი ცენტრი, რაც პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან კავკასიის რეგიონს ნამდვილად წაადგება ეკონომიკური ავტონომიისა და ინტეგრაციის მოდელების დასამუშავებლად.

სამართლისა და ეკონომიკის შესწავლის საგანი „შემთხვევითია“ – ქვეყნის ცვლადი პოლიტიკური გარემო აუცილებლად განაპირობებს ეკონომიკური და იურიდიული მოძღვრებების გადასინჯვას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და სოციალური რეგულირების ახალი მეთოდების გააზრე-

ბას. ამ მხრივ ნიშანდობლივია იურისტთა და ეკონომისტთა თეორიული თუ პრაქტიკული საქმიანობის დაქვემდებარება დროის მოთხოვნებთან, კონკრეტულ ისტორიულ კანონზომიერებებთან, რის შედეგადაც აკუმულირებული სამეცნიერო პროდუქცია – ძველ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პუბლიკაციები და დროით დადღასმული ნაშრომები მარტოდენ ისტორიული წყაროს მნიშვნელობასდა თუ ინარჩუნებენ, მოკლებულნი არიან რა პრაქტიკულ აქტუალობას. ქვეყნის საკანონმდებლობასა თუ ეკონომიკური მართვის მექანიზმების ცვლა აუცილებლად აისახება შესაბამის სამეცნიერო საქმიანობაზე, თუმცა, თავის მხრივ ინოვაციური სამეცნიერო მიდგომების შედეგადაც იცვლება ქვეყნის კანონმდებლობა და ეკონომიკური პოლიტიკა. მიუხედავად სამართლისა და ეკონომიკის ისტორიულად დადასტურებული პოლიტიკური სენსიტიურობისა, როგორც იურისტთა, ასევე ეკონომიკოსთა სამეცნიერო საქმიანობა, ცვალებად ფაქტორებთან ერთად, ეფუძნება ასევე მარადიულ ღირებულებებს – თავისუფლების, თანასწორობის, განვითარებისა და კეთილდღეობის იდეალებს, რის შედეგადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლისა და ეკონომიკის კრიტიკულ დისკურსებს – გაბატონებული სამართლებრივი და ეკონომიკური მოდელების კრიტიკას სოციალური ემანსიპაციის პერსპექტივაზე დაყრდნობით.

აკადემიურ სამყაროში იურისტთა და ეკონომიკოსთა თანამშრომლობა მრავალმხრივია.



დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების საუნივერსიტეტო სივრცეში იურიდიული განათლების ერთ-ერთ წამყვან მოდელად მიიჩნევა „სამართლის ეკონომიკური ანალიზი“, მიმართულება, რომელიც ფორმალურად დაფუძნდა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის, ბრიტანელი მეცნიერის, რონალდ ქოუზის მიერ. მიუხედავად მწვავე ოპონირებისა „სამართლის კრიტიკული სკოლის“ და „სამართლისა და საზოგადოების მოძრაობის“ მხრიდან, დღემდე „სამართლის ეკონომიკური ანალიზი“ რჩება ერთ-ერთ წამყვან ინტერდისციპლინურ მოძღვრებად და მზარდ პოპულარობას იხვეჭს თანამედროვე აკადემიურ სამყაროში. ასევე, სოციალურ სისტემათა თეორია სამართალსა და ეკონომიკას მიიჩნევს საზოგადოების ნორმატიულად დახურულ ფუნქციონალურ ქვესისტემებად, რომლებიც ვითარდებიან ინდივიდუალურ ფუნქციონალურ იდენტობასა და შინაგან ლოგიკაზე დაყრდნობით. თუმცა, მიუხედავად ნორმატიული დახურულობისა გარემოსა და ერთმანეთის მიმართ, სამართლისა და ეკონომიკის სისტემები სტრუქტურულად ერწყმიან ერთმანეთს ისეთი ინსტიტუტების ირგვლივ, როგორებიცაა, თუნდაც, საკუთრება და ხელშეკრულება. საკუთრება და ხელშეკრულება ის მნიშვნელოვანი ევოლუციური მონაპოვრებია, რომლებიც თანაბრადაა აქტუალური როგორც სამართლის, ასევე ეკონომიკის სისტემებისათვის, როგორც იურიდიული, ასევე ეკონომიკური რეგულირებისათვის, ამდენად, მათ ირგვლივ სტრუქტურული

დაწვევლება ზრდის სამართლისა და ეკონომიკის სისტემების თემატურ ურთიერთშემხებლობას.

მსგავსად იურისტებისა და ეკონომიკოსების გლობალური თანამშრომლობისა, 1957 წელს სწორედ მაშინდელი მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სტრუქტურაში ჩაეყარა საფუძველი სამართლის აკადემიური კვლევის ალტერნატიულ ცენტრს, როდესაც პროფ. თინათინ წერეთელი, იდეოლოგიური პრობლემების გამო, იძულებული გახდა დაეტოვებინა ძირითადი საუნივერსიტეტო საქმიანობა და, შემოკრებილ მკვლევარებთან ერთად, დაეარსებინა სამართლის შემსწავლელი განყოფილება. დროის მსვლელობასთან ერთად, ეკონომიკის ინსტიტუტში შემაგალი აღნიშნული განყოფილება, სამეცნიერო პოტენციალის ზრდისა და აკადემიური მიღწევების შედეგად, გარდაიქმნა სამართლის სექტორად და ინსტიტუტსაც ეწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. ხოლო მოყოლებული 1991 წლიდან, დისციპლინური დიფერენცირების აუცილებლობიდან გამომდინარე, სამართლის სექტორის ბაზაზე დაფუძნებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. ამჟამად უკვე თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დვაწლმოსილი თანამშრომლები დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებენ ეკონომიკის ინსტიტუტში გატარებულ წლებს და ნაყოფიერ თანამშრომლობას.

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სახელით მსურს გულწრფელად მივულოცო პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს ინსტიტუტის 70-ე იუბილე და ვიქონიო იმედი, რომ ჩვენი დამოუკიდებელი ინსტიტუტების ტრადიციული და მეგობრული თანამშრომლობა შეფერხებების გარეშე გაგრძელდება ქართულ აკადემიურ სივრცეში.

ღრმა პატივისცემით,

**ლაშა ბრეგვაძე**

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და  
სამართლის ინსტიტუტის დირექტორი

**მილოცვა**

სულითა და გულით გულოცავ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს ღირსშესანიშნავ თარიღს – დაარსებიდან 70 წლისთავის იუბილეს და ვუსურვებ ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივს, მისი დირექტორის – პროფ. რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით, ახალ-ახალ წარმატებებს შემდგომ სამეცნიერო – კვლევით მუშაობაში.

**დავით ჯანგულაშვილი**

ემდ, პროფესორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის  
დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი

## ეკონომიკის ინსტიტუტი – მეცნიერეკონომისტების შეკრების ჭეშმარიტი სიმბოლო

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში 1982-1986 წლებში ვსწავლობდი, საკანდიდატო დისერტაციაც აქ დავიცავი და ეკონომიკურ მეცნიერებაში პირველი ნაბიჯებიც სწორედ ამ ინსტიტუტში გადავდგი. ამიტომაც, ეკონომიკის ინსტიტუტი ჩემთვის იმაზე მეტია, ვიდრე, უბრალოდ, სასწავლებელი.

მაშინაც შეამაყებოდა და ახლაც შეამაყება, რომ ახალგაზრდობის წლები ისეთი გენიალური ადამიანების გვერდით გავატარე, როგორებიც იყვნენ და არიან: ბატონი პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ლეო ჩიქავა, ლადო პაპავა, თამაზ ჩიკვაიძე, გიორგი წერეთელი და სხვები. ამასთან, არასოდეს დამავიწყდებიან ის ადამიანები, ხელმძღვანელობიდან დაწყებული, ბიბლიოთეკის თანამშრომლებით დამთავრებული, ვინც მეცნიერების დიდ გზაზე შემდგარს გვერდით მედგნენ და თავიანთ ცოდნასა თუ გამოცდილებას მიზიარებდნენ.

მას შემდეგ თითქმის 32 წელი გავიდა, მაგრამ ამ შენობაში შესვლისას ზუსტად ის ემოცია მაქვს და გულიც ზუსტად ისე მიგრძნობს, როცა ეკონომიკის ინსტიტუტში ფეხი პირველად შევდგი. აქ ის გარემოა, რომელიც ადამიანს ხელს მხოლოდ იმაში კი არ უწყობს, რომ ისე ჩამოყალიბდეს, როგორც მეცნიერი, არამედ, როგორც პიროვნებაც.

ბატონი პაატა გუგუშვილისა და სხვების დაწვებულ საქმეს ბატონი რამაზ აბესაძე წარმატებით აგრძელებს, რაც მისასალმებელია. ისიც აღსანიშნავია, რომ ბატონმა პაატამ ეკონომიკის ინსტიტუტი მეორე მსოფლიო ომის დროს დაარსა. მაშინ შეიძლება, ვინმე ფიქრობდა, რომ ინსტიტუტის შექმნის დრო არ იყო, რადგან ქვეყანა ფაშიზმის რეალური საფრთხის წინაშე იდგა, მაგრამ დღეს, წლების გადასახედიდან, ნათელია, რომ ბატონმა პაატამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო – სახელწმიფოს ძლიერების ერთ-ერთი ფუნდამენტი ხომ ეკონომიკაა.

დარწმუნებული ვარ, ეკონომიკის ინსტიტუტი მუდამ მეცნიერ-ეკონომისტების გაერთიანებისა და შეკრების ჭკუშმარიტი სიმბოლო იქნება.

არც იმის აღიარება მერიდება, რომ მე, როგორც მეცნიერმა, თუკი რამეს მივალწიე, სწორედ ეკონომიკის ინსტიტუტის დამსახურებაა და დარწმუნებული ვარ, ყველა, ვისაც მის კედლებში გაუვლია, ასე ფიქრობს. ამიტომ, ვთვლი, რომ ჩვენ, ყველანი იმ ადამიანის ვალში ვართ, რომელმაც ეკონომიკის ინსტიტუტს საფუძველი ჩაუყარა და მისი სახით ქართული ეკონომიკური სკოლა შექმნა.

## სოლომონ პავლიაშვილი

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ემდ, პროფესორი

**ბატონო რამაზ!**

თქვენ და თქვენდამი რწმუნებული ინსტიტუტის ყველა დღევანდელ თუ ყოფილ თანამშრომელს გულითა და სულით ვულოცავ ინსტიტუტის დაარსებიდან 70- ე წლისთავს.

ფასდაუდებელია ამ სახელოვანი სამეცნიერო კოლექტივის დამსახურება ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. თქვენს კოლექტივში ინსტიტუტის და-ფუძნების პირველი დღიდანვე მოღვაწეობდნენ სახელოვანი მეცნიერები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ეკონომიკური (არამარტო ეკონომიკური) მეცნიერების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული პრობლემების დამუშავებაში. თქვენი კოლექტივის წარმატებები იმითაცაა განპირობებული, რომ ინსტიტუტის მეცნიერულ საქმიანობას წარმატებით ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერ-ორგანიზატორები, როგორებიცაა: პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ლადო პაპავა, გიორგი წერეთელი, რომელთა სახელოვან ტრადიციებს ბრწყინვალედ აგრძელებთ თქვენ ბატონო რამაზ.

განსაკუთრებით საზგასასმელია ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივის საქმიანობა უკანასკნელ 10 წელიწადში. მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში ხელისუფლების მიერ მეცნიერებაში გატარებულმა ფსევდორეფორმამ გამოიწვია ქვეყანაში მეცნიერული საქმიანობის ნგრევა და ფუნქციონირება შეწყვიტა ეროვნული აკადემიის სისტემისა და სხვა მრავალმა დარგობრივმა პირველხარისხოვანმა სამეცნიერო ინსტიტუტმა, თქვენი ინსტიტუტი განაგრძნობს

სიცოცხლეს და სახელმწიფოსგან მიზერული დაფინანსების მიუხედავად მაქსიმუმს აკეთებს თავისი მისიის შესასრულებლად.

იმედია მომავალში ხელისუფლება მეტ ყურადღებას დაუთმობს მეცნიერების (მათ შორის ეკონომიკურის) განვითარებას.

გილოცავთ ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავს და გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**ნუგზარ ჰაიჭაძე**

ემდ, თსუ ასოცირებული პროფესორი

## **სიბრძნის აკადემია**

ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, არცთუ ცოტა არასასიამოვნო მოვლენებთან ერთად, უამრავი სასიხარულო და სასიამოვნო დღეები, თვეები თუ წლები მქონია. და მაინც, რომ დაუფიქრდები რომელი წლები იყო გამორჩეული ჩემთვის – ნაყოფიერი, ყოველმხრივი ზრდისა და განვითარების, შეცნობილი თავისუფლებისა და აღქმული პასუხისმგებლობის, მაღალ საზოგადოებაში თუნდაც ეპიზოდურად ყოფნის, დიდ ქართველ მოღვაწეთა კოჰორტასთან, თუნდაც ფიზიკური მიახლოების, მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ყველა სიკეთესთან მიახლოებისა – დაუფიქრებლად

ვიტყვი – ეს პერიოდი იყო XX საუკუნის 60-70-იანი წლები, როცა მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ჯერ ასპირანტი და შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვიყავი.

ფრიად შთამბეჭდავი და დაუვიწყარია ჩემთვის ამ დიდ სამეცნიერო კერაში დამკვიდრების საწყისი დღე: თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტი წარჩინებით დავამთავრე და ჩემი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელის, ჩემი დიდი მასწავლებლის პროფ. ნ. იაშვილის წარდგინებით, საასპირანტო რეკომენდაცია მომეცა, თუმცა ადგილის გამოყოფა ვერ მოხერხდა. შედეგად კომკავშირულ სამუშაოზე აღმოვჩნდი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც თითქმის ერთი წლის მუშაობის შემდეგ ჩემს კაბინეტში სრულიად მოულოდნელად შემობრძანდა პროფესორი ნ. იაშვილი, რომელიც თსუ-სთან ერთად იქაც ლექციებს კითხულობდა. ღოყაზე მოფერებით ხელი გამილაწუნა და თან დააყოლა – კომკავშირში დღაბუცისთვის არ გამიზრდიხარ, ახლავე წამოდიო ეკონომიკის ინსტიტუტში პაატა გუგუშვილთან. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უხმოდ დავეთანხმე, მაგრამ გამახსენდა ჩემი სტატია – „ახალგაზრდა ეკონომისტის შენიშვნები“, რომელიც გაზეთ „საბჭოთა აგრონომში“ დაიბეჭდა და სადაც, ჩემი ჭკუით, პ. გუგუშვილის ტერმინოლოგიური ინოვაციის ერთ ცნებას „ვაკრიტიკებდი“. ეს არაფრად ჩააგდო ბატონმა ნიკომ და ნახევარ საათში ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის ოთახში ვიყავით, რომელსაც ჩემი თავი მოკლე დახასიათებით



წარუდგინა. „ყველაფერი კარგი, ბრძანა ბატონმა პაატამ, ჩემს ნიკოს ყველაფერში ვენდობი, ახლავე დაწერე განცხადება და უმცროს მეცნიერთანამშრომლად გაგაფორმებო“. განცხადებას დაადო რეზოლუცია, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „შენს სტატიაზე ბევრი ვიცინე იმის გამო, რომ მეგონა მხოლოდ კომუნისტები მებრძოდნენ, თურმე კომსო-მოლებიც არ მინდობენ, ეს ხუმრობით, გატყობ გონიერი ახალგაზრდა ხარ, მაგ ტერმინებზე კი მეცნიერებაში ცოტას რომ მოლონიერდები, მერმე ვიდავოთო“. ბატონ ნიკოს კი მადლობა გადაუხადა „ჩემნაირი შენაძენისთვის“.

მოკლედ, ორმა დიდმა მეცნიერმა ასე მარტივად, მაგრამ ჩემთვის დიდმნიშვნელოვნად შემოაბრუნა ჩემი ბედი „კომსომოლადან“ მეცნიერებისკენ.

ამ დღიდან დაწყებული, მე გავხდი ამ დიდებული სამეცნიერო კერის სრულუფლებიანი წევრი და მაღევე დავრწმუნდი იმაშიც, რომ ასეთი მეცნიერული და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ჭეშმარიტად ოაზისის შემოქმედი და ყველა სხვა უამრავი სიკეთის დემიურგი – ინსტიტუტის საფუძველჩამყრელი, ბრწყინვალე სამეცნიერო კოლექტივის ჩამომყალიბებელი და მისი წინსვლა-განვითარების ბაირახტარი, უკეთილშობილესი ადამიანი, მრავალმხრივ განათლებული, სწორუპოვარი პოლემიკოსი, უკიდევანო აზროვნებისა და ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული, ახალგაზრდა მეცნიერთა სულისა და გონების მესაიდუმლე ბრძენკაცი პაატა გუგუშვილი იყო. ეკონომიკის იმდროინდელი ინსტი-

ტუტი იყო ფაქტობრივად ერთი დიდი ოჯახი, სადაც წლების განმავლობაში დიდ შემოქმედებით შრომას ეწეოდნენ გამოჩენილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ბატონ პაატას თანამოკალმეები: ფ. გოგიჩაიშვილი, ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია, ლ. ჩიქავა, ვ. მელქაძე, ა. კაკაბაძე, ნ. იაშვილი, ი. ბაჯაძე, ი. ჯაში, ს. ბერიძე, ვ. ბატაძე, ლ. კარბელაშვილი, კ. დოღობერიძე, მ. გველესიანი, ვლ. პაპავა, ა. ნუცუბიძე, მ. კახეთელიძე, ა. სტეფანიშვილი, დ. ქორიძე, ბ. ხასია, ვ. დათუკიშვილი, თ. ხოშტარია, რ. ხარბედია, გ. პაპავა, დ. დიასამიძე, ი. ასათიანი, ს. სოსელია, შ. მარგველაშვილი, ლ. ნოდია და ა.შ.

ამასთან, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა გეგმაზომიერად აახალგაზრდავებდა სამეცნიერო კოლექტივს მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებთანაც, წინა თაობის წარმომადგენლებთან ერთად, მეც სიამოვნებით ვმუშაობდი: ბ. კელენჯერიძე, დ. პავლიაშვილი, ე. ჩადუნელი, თ. კუნჭულია, არჩ. თეთრაული, რ. ჯავახიშვილი, თ. ჩიკვაიძე, კ. ღურწკაია, ა. ჯიბუტი, ა. და ვ. რეხვიაშვილები, რ. სარჩიმელია, თ. ქავთარაძე, ე. გაფრინდაშვილი, ა. თოთაძე, ნ. არევაძე, ა. გაგნიძე, ლ. დათუნაშვილი, ი. აბაშიძე, ლ. გუგუშვილი, ნ. შიოლაშვილი, რ. ცხადაია, რ. დ.შენგელია და სხვები.

მომდევნო პერიოდში, დაახლოებით 70-იანი წლების შუა პერიოდიდან, ინსტიტუტს ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა შეემატა, თუმცა, მე 1977 წელს საკუთარი განცხადებით (და შეიძლება ითქვას – „გაცხარებით“) დავტოვე ინსტიტუტი, რისი

მიზეზიც იყო ინსტიტუტის დიდი ხელმძღვანელის მიერ დირექტორის პოსტის დატოვება, რაც განაპირობა ზემდგომი პარტიული ელიტის არასწორმა ქმედებამ, რასაც ობიექტური შეფასება, სამწუხაროდ, დღემდის არ მისცემია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის ამჟამინდელი დირექტორის პროფესორ რამაზ აბესაძის თაონობით სამართლიანობამ გარკვეულწილად მაინც იხეიმა: 2010 წელს წარმატებით აღინიშნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავი, რასაც მიეძღვნა საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია და საიუბილეო სხდომა, ყველა მოწინავე ქართველ ეკონომისტთა მონაწილეობით და რომელიც გაშუქდა ტელევიზიასა და პრესაში; ამ თარიღს მიეძღვნა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულისა და საერთაშორისო ჟურნალ “ეკონომისტის” სპეციალური გამოშვება; აღდგა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სამუშაო ოთახი და იქ მოეწყო “აკადემიკოს პაატა გუგუშვილი კაბინეტი”, სადაც იმართება ეკონომისტთა შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები; ინსტიტუტში დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია და სხვ.

თუმცა, დიდი მოღვაწის იმაზე მეტი ობიექტური შეფასება რაღა უნდა იყოს, თუ არა ის, რომ ჯერ კიდევ ბატონ პაატას სიცოცხლეშივე ეკონომიკის ინსტიტუტი არაოფიციალურად, მაგრამ მისი დიდი დამსახურების გამო, უკვე პაატას ინსტიტუტად, გუგუშვილის ინსტიტუტად იწოდებოდა. გარდაცვალების შემდეგ კი, ინსტიტუტის იმდროინდელი

ახალგაზრდა დირექტორის, მისი ერთ-ერთი ღირსეული მოწაფისა და თანამოკალმის, სრულიად ახალგაზრდა პროფ. ვლ. პაპავას თავგამოდებით (რომელიც დღეს აკადემიკოსი და თსუ-ის არჩეული და ღირსეული რექტორია), ქვეყნისათვის მეტად რთულ პერიოდში, ინსტიტუტი აკად. პ. გუგუშვილის სახელობის გახდა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ წინა მთავრობის პერიოდში ქართული მეცნიერება, უმაღლესი სკოლა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ქართული კულტურა და ა.შ. ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, ხოლო ეკონომიკის ინსტიტუტის ფიზიკურად არ შეეხნენ, მაგრამ კოლექტივს თითქმის მოუსპეს საარსებო წყარო, მისმა ძირითადმა ბირთვმა, თითქმის გმირობა ჩაიდინა და წლების მანძილზე უხელფასოდ იმუშავა (დირექტორი პროფ. რ. აბესაძე) და წინაპართა ტრადიციები შეინარჩუნა, დღეს კი იგი ფერფლიდან აღმდგარი, ახალ სიცოცხლეს იძენს, რაც იმის გარანტიად უნდა მივიჩნიოთ, რომ გუგუშვილისეული ტრადიციები კიდევ უფრო აღორძინდება.

მართალია, მე სურვილით, თუმცა გულდაწყვეტილმა დავტოვე გუგუშვილის დიდად სახელოვანი ინსტიტუტი, დღესაც სიამოვნებით ვიგონებ სამეცნიერო მუშაობის, შემოქმედებითი ზრდის იდეალურ პირობებს, რასაც ბრძენი ხელმძღვანელი უქმნიდა თითოეულ პერსპექტიულ ახალგაზრდას. მან დაწვრილებით იცოდა თითოეული თანამშრომლის საყოფაცხოვრებო პირობები, საკვალიფიკაციო თემასა თუ მონოგრაფიაზე მუშაობის დეტალები და

მზად იყო უპრობლემოდ მიეღო კონსულტაციაზე მსურველი. მასთან ასეთი შეხვედრა ძალზე ეფექტური იყო – რამდენიმე წუთში ყოველგვარ პრობლემას გახსნიდა და მოხსნიდა და სავსებით სწორ გზასაც ნათლად წარმოაჩენდა.

ჩემს მაგალითზე მოგიყვებით. ბატონ პაატას რჩევით, სადისერტაციოდ დამიმტკიცდა თემა: „სახელმწიფო მეურნეობების წამყვანი როლი სოფლის მეურნეობაში (საქართველოს მაგალითზე)“. დიდძალ მასალას მოვუყარე თავი, რომლის სისტემურმა ანალიზმა, თითქმის მთლიანად უარყო აღნიშნული მეურნეობების წამყვანობა, უფრო მეტიც, მათი უმეტესობა ზარალიანი იყო, და ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან „იკვებებოდნენ“. ყურებჩამოყრილი ვეახლე ბატონ პაატას ჩემი გასაჭირით. დამაიმედებელი პასუხი დაუყოვნებლივ მივიღე. მან ბრძანა: „სახელმწიფო კი ზარალობს, მაგრამ შენ როგორც მკვლევარი, მომგებიან პოზიციაში ხარ – გააანალიზე მეურნეობათა ზარალიანობის მიზეზები და ჩამოაყალიბე მათი დაძლევისა და ეფექტიანობის ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები. ყოველივე ამით ნაშრომის სათაურიც ფასეული გახდება და სახელმწიფოსაც გარკვეულ სამსახურს გაუწევო“. ასეც მოვიქეცი, ნაშრომი მართლაც ძალიან კრიტიკული და საქმიანი გამოვიდა, დაინიშნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, ავტორეფერატიც გაიგზავნა სამინისტროში, სადაც რამდენიმე დღეში დამიბარეს მინისტრთან. მას წაუკითხავს ჩემი ავტორეფერატი და აღშფოთებული

დამხვდა – „შენი ნაშრომით მიწასთან გაასწორე ჩვენი დაუღალავი მუშაობა, რის გამოც ჩვენ პარტიული ხელმძღვანელობის წინაშე მოგვიწევს პასუხისგება. მე მოვიწვევ კოლეგიის სხდომას და ამ ავტორეფერატს, ბუნებრივია, უარყოფითი შეფასება მიეცემაო”. მხსნელად ისევ ბატონი პაატა მომეკვინა, შედგა მისი საუბარი მინისტრთან (რომლის შინაარსი ჩემთვის უცნობია), ამ უკანასკნელს არც კოლეგია მოუწვევია ამ საკითხზე, სამინისტროს დასკვნაც ჩემ ავტორეფერატზე დადებითი და უაღრესად კეთილსასრუველი იყო.

ასეთი, მსგავსი თუ უფრო დიდად ფასეული თანადგომა, ბატონ პაატას ყოველდღიური ცხოვრების წესი იყო, მის ხასიათში იჯდა.

და მაინც, თუ დავსვამთ დამაინტრიგებელ კითხვას – რომელი უფრო სჭარბობდა მის პიროვნებაში – დიდი ადამიანობა თუ მეცნიერული სიდიადე, პასუხი ერთადერთია – ორივეში ბუმბერაზი იყო. ამასთან, იგი სიდიადის უბრალოებისა და უბრალოების სიდიადის განსახიერება იყო.

ამიტომაც შეძლო მან, იმდროინდელი ეკონომიკის ინსტიტუტის სახით, შეექმნა და განევითარებინა მეცნიერებისა და ჭეშმარიტი ადამიანურობის სიმბიოზში – სიბრძნის აკადემია.

დაბოლოს, სულითა და გულით ვულოცავ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ კვლავ ღირსეულად ეტარებიან თავეიანთ წინაპართა სახელოვანი დროშა.

## რევაზ გოგოხია

ჟურნალ “ეკონომიკა და ბიზნესის”  
მთავარი რედაქტორი, ემდ, პროფესორი

### ქართული ეკონომიკური მეცნიერების ისტორია სათუთად შეინახავს მის სახელს

2014 წელი პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საიუბილეო წელია. დიდი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით ვულოცავ ინსტიტუტის კოლექტივს (რომლის წევრი მეც ვარ) დაარსებიდან 70 წლისთავს. ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში – 1944 წელს შეიქმნა დიდი მამულიშვილის პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით და იქიდან მოყოლებული კატაკლიზმებითა და ენდოგენური თუ ეგზოგენური წინააღმდეგობებით დატვირთულ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში თავის წილ ჭაპანს ღირსეულად ეწევა.

დღეს, ფასეულობათა გადაფასების ეპოქაში, როდესაც არსებულ მწვავე ეკონომიკურ პრობლემათა მორევში, სამწუხაროდ, სუბიექტური აზრი უფრო იკაფავს გზას, ვიდრე ობიექტურ კანონზომიერებებზე აგებული შეხედულებები, დიდი საფრთხის წინაშე დგას ქართული ეკონომიკური მეცნიერება,

შესაბამისი ინსტიტუტები და, თუ გნებავთ, მეცნიერების ამ დარგის სწავლების საუნივერსიტეტო პრაქტიკაც. რისკის ქვეშაა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტიც და მისი შესანიშნავი კოლექტივი, რომელიც ადამიანის ღირსების შემლახავი მიზერული ხელფასით ერთგულად ემსახურება ინსტიტუტს და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ინსტიტუტის დირექტორის პროფ. რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით გამოდის უურნალი „ეკონომისტი“, რომელიც ანალიზებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, იბეჭდება სამეცნიერო კრებულები, მთავრობას მიეწოდება რეკომენდაციები მწვავე სადღეისო ეკონომიკურ პრობლემებზე, ხდება ახალი წიგნების განხილვა, აქტუალურ ეკონომიკურ თემებზე ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, მათ შორის საერთაშორისოც, მზადდება ”ღიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედია“, რომელიც, ასერიგად სჭირდება საზოგადოებას, შესაბამის უწყებებს, ფართოვდება საერთაშორისო სამეცნიერო კავშირები და ა.შ. დღეს, როდესაც უნივერსიტეტებში ძალზე ფერმკრთალად გამოიყურება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სრულყოფილი სახელმძღვანელოების გარეშე კათედრების უმრავლესობა, იუბილარი ინსტიტუტის ასეთი აქტიურობა მისასაღმებელია და, უდავოდ, პატივისცემას იმსახურებს.

მაგრამ რა იქნება ხვალ? როგორ განვითარდება მოვლენები? იუბილარი ინსტიტუტის შთამბეჭდავ შემოქმედებით საქმიანობას ხელი შეეწყობა თუ ისევ გაგრძელდება მეცნიერებისადმი გულგრილი დამო-



კიდებულება? ამ კითხვებზე ჯერჯერობით ნათელი პასუხი არ არის. ვიმედოვნებთ, რომ ყურადღება მეცნიერებისადმი მომავალში გაძლიერდება და ინსტიტუტის საქმიანობაც, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, ახალ სიმაღლეზე ავა. ერთი კი ცხადია: რაც არ უნდა მოხდეს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების ისტორია სათუთად შეინახავს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სახელს.

## **როზეტა ასათიანი**

ემდ, ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, სტუ სრული პროფესორი

## **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, როგორც ჩემი მეცნიერული ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტთან ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები და დაუვიწყარი მოგონებები მაკავშირებს. ინსტიტუტში 1970-იანი წლების ბოლოს მივედი, როგორც ამ ინსტიტუტის იმჟამინდელი დირექტორის, აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ასპირანტი. მუშაობა დავიწყე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებაში, რომელსაც ეკონ. მეცნ. კანდიდატი ილია რუბინშტეინი ხელმძღვანელობდა.

ჩემი აზრით, 1970-1980-იანი წლები ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო ინსტიტუტის ისტორიაში. ახალგაზრდა მეცნიერთა ენერჯია და ენთუზიაზმი ორგანულად იყო შერწყმული საშუალო და უფროსი თაობის სიბრძნესა და გამოცდილებასთან. ეს სიმბიოზი შესანიშნავ შედეგებს იძლეოდა და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ერთ-ერთ საუკეთესო დაწესებულებად იყო მიჩნეული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ყურადღება და ზრუნვა, რომელსაც ინსტიტუტის დირექცია, პირველ რიგში კი ბატონი ავთანდილ გუნია იჩენდა ახალგაზრდა მეცნიერთა მიმართ. მახსენდება ერთი ასეთი ფაქტი. 1987 წელს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემოდებული იქნა წამყვანი მეცნიერთანამშრომლის საკმაოდ მაღალი თანამდებობა, რომელზედაც ბატონი ავთანდილის რეკომენდაციით დაინიშნენ იმჟამად ახალგაზრდა მეცნიერები: ვლადიმერ პაპავა, მიხეილ ჯიბუტი და ამ მოგონების ავტორი.

ინსტიტუტში გატარებული ათი წლიდან ჩემთვის მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ბევრი რამის გახსენება შემოიძლია, თუმცა აქ სამ ეპიზოდზე შევჩერდები. როგორც აღვნიშნე, ბატონი ავთანდილ გუნიას ასპირანტი გახლდით. ბატონი ავთანდილი იყო ასპირანტურაში მისაღები და საკანდიდატო მინიმუმის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პოლიტიკურ ეკონომიაში. მას ასეთი წესი ჰქონდა: გამოცდამდე მის ასპირანტს მისთვის უნდა ჩაეზარებინა

ყველა თემა და ამის შემდეგ შეეძლო გამოცდაზე გასვლა. მეც, ბუნებრივია, სკრუპულოზურად ვიცავდი მიღებულ წესს. ამოცდამდე რამდენიმე დღით ადრე ორი თემა მქონდა ჩასაბარებელი, როცა ბატონი ავთანდილი შეუძლოდ გახდა. ერთ დღეს ა. გუნიას პირადი მდივანი მეუბნება: დირექტორი სახლში გიბარებსო. როცა მასთან მივედი, ბატონმა ავთანდილმა ამიხსნა დაბარების მიზეზი, რომ მისთვის ორი თემა უნდა ჩამებარებინა (აქვე შევნიშნავ, რომ 22 თემა უკვე ჩაბარებული მქონდა). მასალა საფუძვლიანად გამომკითხა და მხოლოდ ამის შემდეგ მომცა გამოცდაზე გასვლის უფლება. ეს შემთხვევა ჩემს მეხსიერებაში მკვეთრად აღიბეჭდა, როგორც პედანტობამდე მისული სკრუპულოზურობისა და თავისი შეგირდის ბედ-იღბალზე მეცნიერი ხელმძღვანელის უდიდესი პასუხისმგებლობის კლასიკური მაგალითი.

მეორე ჩემი მოგონება უთვალსაჩინოესი ქართველი მეცნიერის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დამაარსებლისა და ათწლეულების მანძილზე მისი ხელმძღვანელის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან ჩემი ურთიერთობის ერთ პატარა ეპიზოდს უკავშირდება. ლენინგრადში გახლდით ახალგაზრდა მეცნიერთა საკავშირო კონფერენციაზე. ნევის პროსპექტზე წიგნის სახლში წავაწყდი ვიღაც რუსი ავტორის პატარა წიგნს, რომელიც ეხებოდა რუსეთის იმპერიაში მარქსიზმის გავრცელების საკითხს. წიგნში განხილული იყო ამიერკავკასიაში მარქსიზმის გავრცელების ისტორია და წყაროდ რამდენიმეჯერ

იყო მითითებული ბატონი პაატას ნაშრომები. ეს წიგნი საქართველოში ჩამოვიტანე და ბატონ პაატას ვაჩვენე, რომელიც მისთვის უცნობი აღმოჩნდა. იგი ბატონ პაატას საჩუქრად გადაეცემა. ძალიან ესიამოვნა და საკუთარი წიგნით - „ოჯახი და შვილიანობა“ დამაჯილდოვა ძალიან თბილ ავტოგრაფთან ერთად. ბატონი პაატას საჩუქარ წიგნს, როგორც ჩემთვის მეტად ძვირფას რელიქვიას, საპატიო ადგილი უკავია ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკაში. სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია დიდი გულისტკივილით არ გავიხსენო ის ავბედითი დღე, როცა ბატონი პაატა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიმდინარეობისას ცუდად გახდა. საკონფერენციო დარბაზიდან მის კაბინეტში გადავიყვანეთ და ტახტზე მოვასვენეთ. ამ ბუმბერაზ მეცნიერს და პიროვნებას ლოყაზე „კურცხალი“ ჩამოუგორდა. ბატონი პაატა ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად იმ მომენტში ფაქტობრივად სიცოცხლე-საც დაემშვიდობა.

მასხენდება კიდევ ერთი რთული ეპიზოდი ჩვენი ინსტიტუტის ცხოვრებიდან. 1980-იანი წლების ბოლოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აკადემიაში შემავალი ინსტიტუტების დირექციების გადახალისება. ამ კონტექსტში ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან შესახვედრად მოვიდა მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი ფიგურა, რომელმაც ა. გუნიას ნაცვლად ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე შემოგვთავაზა ერთი საკმაოდ ცნობილი იურისტის კანდიდატურა. იმ დროს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავჯდომარის რანგში

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი ვიყავი. ვისარგებლე შემთხვევით, სიტყვა ვითხოვე და ჩემს მოკლე გამოსვლაში, ერთი მხრივ, შევეცადე დამესაბუთებინა, რომ ინსტიტუტის დირექტორი აუცილებლად ეკონომისტი უნდა ყოფილიყო, მეორე მხრივ კი მხარი დავეჭირე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფესორ ლეო ჩიქავას კანდიდატურას ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე. ადლიერი ვარ ბატონი ლეოსი, რომ ეს მხარდაჭერა არ დავიწყებია და გაიხსენა თავის მემუარულ ნაშრომში.

მოგონებებიდან დღევანდელობაზე გადავალ და 70 წლის სახელოვან იუბილეს მივულოცავ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს. გამოვთქვამ იმედს, რომ ინსტიტუტის პატრიოტი კოლექტივი, სერიოზული მეცნიერისა და ენერგიული ორგანიზატორის - პროფესორ რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით ამ საერთო შეჭირვების ჟამსაც კი მაქსიმალურად გაირჯება ქართული ეკონომიკური მეცნიერების და სამეურნეო პრაქტიკის საკეთილდღეოდ. კოლექტივის მხარდაჭერა და მისი გვერდში დგომა თითოეული ჩვენთაგანის - ვისაც კი ამ ინსტიტუტში გვიღვაწია - უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია.

### **ელგუჯა მექვაბიშვილი**

თსუ პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელი,  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

## სახელოვნად განვლილი 70 წელი...

„სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა, ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, მას აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ის ვალდებულია გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია. აი ამ გრძნობას, შეგნებას არ დაივიწყებს ის ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლესი მეცნიერების შესათვისებლად ემზადება.“ - ამბობდა დიდი ივანე ჯავახიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, დღეს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ყოველთვის იყო და არის ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების განხორციელების მთავარი დასაყრდენი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელი. რამდენი ნიჭიერი მეცნიერ-მკვლევარი აღუზრდია 70 წლის განმავლობაში ამ შესანიშნავ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, ეკონომიკური აზრის სამჭედლოს. ფაქტობრივად არ არსებობს ეკონომიკური მეცნიერების არც ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომელზეც არ მუშაობდნენ აღნიშნულ ინსტიტუტში. სწორედ აქ მიმდინარეობს წლების განმავლობაში ეკონომიკურ

მეცნიერებაში სისტემატური და სიდრმისეული კვლევა-ძიება, მეცნიერ-ეკონომისტთა პროფესიონალი კადრების მომზადება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და სხვა მრავალი საინტერესო მოვლენა.

ეკონომიკის ინსტიტუტის დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა დღესაც დიდად აქტუალურია. მის ნაშრომებზე დაყრდნობით ახალგაზრდა მეცნიერები წარმატებით განაგრძობენ საინტერესო სამეცნიერო კვლევებს. ბატონი პაატა გუგუშვილი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა საქართველოს ენციკლოპედიის შექმნაზე. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დღეს მისი სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში მუშავდება დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედია. ტრადიციები კვლავაც გრძელდება.

ვულოცავთ თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 70 წლის იუბილეს, ვუსურვებთ შემდგომ საერთაშორისო დონის წარმატებებს და თვითდამკვიდრებას მსოფლიო ეკონომიკურ აზროვნებაში აღიარებულ ინსტიტუტებს შორის.

თსუ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა; ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი

**რევაზ გველესიანი, გულნაზ ერქომაიშვილი, ირინა გოგორიშვილი, შალვა გოგიაშვილი, ეკა ლეკაშვილი, ლალი ხურცია, გიორგი გაფრინდაშვილი, თინათინ ავალიშვილი**

## მუდამ წარმატებული ინსტიტუტი

საბჭოთა რეჟიმის პირობებში ბევრი სასიკეთო საქმეებიც კეთდებოდა. არა მგონია მსოფლიოში არსებობდეს ქვეყანა, რომელსაც გაგანია ომის დროს მეცნიერების განვითარებაზე ეზრუნა. არადა, ყველასათვის ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში პირველი ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო დაწესებულება შეიქმნა. ეს იყო ქართული ეკონომიკური აზრის უდიდესი გამარჯვება. კარგად მახსოვს ყოფილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, შემდგომში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ კანდიდ ჩარკვიანის საუბარი თუ რაოდენ დიდი წინააღმდეგობა იქნა დაძლეული აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნის დროს. რომ არა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის აქტიური ძალისხმევა და მაშინდელი ხელისუფლების თანადგომა ომიანობის პირობებში ახალი ინსტიტუტის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა. შექმნისთანავე ინსტიტუტმა დიდი ავტორიტეტი და გავლენა მოიპოვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით იმ სახელოვან მეცნიერებს, რომელთა შემოკრება შეძლო ბატონმა



პაატა გუგუშვილმა. მათ შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ისეთი ბუმბერაზი მეცნიერები როგორებიც იყვნენ სიმონ ჯანაშია, ნიკო კეცხოველი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეტხმანი, იოსებ ბაჯაძე, ნიკოლოზ ქოიავა და სხვები.

ინსტიტუტის დაარსებიდან 70-მა წელმა განვლო. იცვლებოდა ინსტიტუტის სახელწოდება, მის გაფართოებას ცვლიდა შევიწროება, მაგრამ იგი დღესაც ამაყად დგას და მიუხედავად მისი ზედამხედველი ორგანოების ხშირი ცვლილებებისა, იგი სამართლიანად აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტად მოიხსენიება. მავანნი ბევრს ეცადნენ სიტყვა აკადემიის ქართული ლექსიკონიდან გაქრობას, მაგრამ ეკონომიკის ინსტიტუტი, ისევე როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და სხვა მრავალი აკადემიური ინსტიტუტი ღირსეულად განაგრძობენ წარმატებულ ფუნქციონირებას. დასამადლი როდია, რომ ხელისუფლების მხრიდან დღესაც არაა სათანადოდ დაფასებული მეცნიერების როლი და მნიშვნელობა და არის მცდელობა პროფესიონალური კვლევების გარედან გრანტებით დაფინანსებული ზედაპირულად მოაზროვნე არასამთავრობო ჯგუფებით ჩანაცვლების, მაგრამ დარწმუნებული ვარ უახლოეს მომავალში საერთოდ მეცნიერებას და უპირველეს ყოვლისა აკადემიურ მეცნიერებას დაუბრუნდება ძველი ღირსება და ავტორიტეტი.

ქართულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ კარგად იცის შვიდი ათეული წლის მანძილზე თუ

რაოდენ მძიმე და რთული გზა გამოიარა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა. მას ყოველი მხრიდან ებრძოდნენ როგორც გარე ისე შინაური ხელისუფალნი, ავიწროებდნენ იმ გაბედული აზროვნებისა და რეალური კვლევებისათვის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმდროინდელ საბჭოურ პოლიტიკას. მეორე მხრივ, ებრძოდნენ ავტორიტეტს, კაცს ლეგენდას, ინსტიტუტის დირექტორს ბატონ პაატა გუგუშვილს, რომელიც არასოდეს ყოფილა ხელისუფლებისადმი გუნდრუკის მკმეველი, ისევე როგორც მისი ძმადნაფიცო დიდი კონსტანტინე გამსახურდია.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს მრავალი ანალოგიური პროფილის კონკურენტი ინსტიტუტი გამოუჩნდა, რომლებიც რაოდენობრივად და მატერიალურად უპირატესი მდგომარეობით სარგებლობდნენ. თუმცა ამ არათანაბარ კონკურენტულ პირობებშიც კი აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაუხვევია. პირიქით, მან ღირსეულად დაადასტურა მისი ცხოველმყოფელობა, უფრო კონკურენტუნარიანი და წარმატებული გახდა, აღზარდა ასობით მეცნიერ-მკვლევარი ეკონომისტი და უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებაში.

აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შემდგომმა დირექტორებმა აკადემიკოსებმა ავთანდილ გუნიამ და ლადო პაპავამ, პროფესორმა გიორგი წერეთელმა და დღევანდელმა ხელმძღვანელმა პროფესორმა რამაზ აბესაძემ უდიდესი როლი შეასრულეს ინსტი-

ტუტის განვითარებისა და მეცნიერული რეიტინგის შენარჩუნება-ამაღლების საქმეში. განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ორი მნიშვნელოვანი მომენტი. პირველი, აკადემიკოს ლადო პაპავას აქტიური ძალისხმევით ინსტიტუტისათვის მისი დამაარსებლის და 32 წლის მანძილზე უცვლელი დირექტორის პაატა გუგუშვილის სახელის მინიჭება, და მეორე, პროფესორ რამაზ აბესაძის გონივრული ნაბიჯი და არჩევანი ინსტიტუტი დაექვემდებარებინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი, ისე რომ სრულად შეინარჩუნა ტრადიციული საქმიანი კავშირი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან.

პირადად მე ბევრი რამ მაკავშირებდა და მაკავშირებს იუბილარ ინსტიტუტთან, რისი ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებ. მაგრამ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მინდა ისტორიას შემორჩეს და გავიხსენო ერთი ეპიზოდი, რომელიც ალბათ ბევრმა როდი იცის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შევიდა საჩივარი ეკონომიკის ინსტიტუტის საქმიანობაზე (წელი ზუსტად არ მახსოვს). შეიქმნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კომისია, რომელიც დაიყო ცალკეულ ჯგუფებად და მე როგორც ეკონომიკურ-მატემატიკური პროფილით მკვლევარს დამევალა ამ ინსტიტუტისათვის თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტიდან შემოერთებული ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევებისა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორის შემოწმება. იმ დროისათვის აღნიშნულ სამეცნიერო სექტორს

ხელმძღვანელობდა ცნობილი მათემატიკოსი, უაღრესად ინტელიგენტი პროფესორი გვანჯი მანია, სადაც მოღვაწეობდნენ სახელოვანი მეცნიერები ძირითადად მათემატიკოსები ელიზბარ ნადარაია, ესტატე ხმალაძე, როლანდ სარჩიმელია, რევაზ ჩიტაშვილი, თენგიზ შერვაშიძე და სხვები. კომისიის მიზანი იყო ინსტრუქტის საქმიანობის კომპლექსური შემოწმება და მისი ხელმძღვანელის გადაყენება. ჩემი შესამოწმებელი სექტორი გარკვეული დამოუკიდებელი სტატუსით სარგებლობდა და იგი ტერიტორიულადაც სხვაგან, მაშინდელი პლესანოვის პროსპექტის დასაწყისში (კინოსტუდიის მოპირდაპირე მხარეს) მდებარეობდა. თითქმის ერთი თვე დავდიოდი რაღაც პროგრამით და შეკითხვებით ამ შენობაში. შესანიშნავი კოლექტივი იყო, კვალიფიციური, მეგობრული და მეც ასევე განვეწყვე მათ მიმართ. დავწერე პოზიტიური მოკლე მოხსენებითი ბარათი და წარვადგინე კომისიაში, რომელიც გადაეგზავნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ორიოდ დღის შემდეგ (არ მინდა აწ განსვენებულთა გვარების დასახელება) მიბარებენ და მეუბნებიან საყვედურს იმის გამო, რომ მე ცუდად შევასრულე პარტიული დავალება. ეს ისტორია იმით დამთავრდა, რომ მნიშვნელოვნად შეირყა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის სავარძელი, მაგრამ იგი ღვთის წყალობით და აგრეთვე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იმუამად მომუშავე ზოგიერთი მართლაც გონიერი მუშაკების ძალისხმევით გადაურჩა გათავისუფლებას.

დიახ, 70 წელი საკმაოდ დიდი დროა. ინსტიტუტმა აღზარდა სამი თაობა ეკონომისტ-მკვლევარებისა. ძნელია დაასახელო დღეისათვის ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი, რომელსაც რაღაც ფორმით მაინც არ ჰქონოდა კავშირი ამ ისტორიულ სამეცნიერო დაწესებულებასთან. ინსტიტუტი დღესად ამჟამად დგას, იგი უხეღფასობისა და საკადრო სიმწირის მიუხედავად ღირსეულად აგრძელებს წინამორბედთა სახელოვან საქმიანობას, დიდი პაატა გუგუშვილის სახელისა და ღირსების შენარჩუნებას. უაღრესად საინტერესო სამეცნიერო კვლევები, სამეცნიერო ფორუმების სისტემატურად ორგანიზაცია, მუდმივმოქმედი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის გამოცემა, სამეცნიერო კრებულების პუბლიკაცია, საზღვარგარეთ მეცნიერული კავშირების შენარჩუნება-გაფართოება, სადისკუსიო დარბაზის ამოქმედება, სასწავლო, საკონსულტაციო და საექსპერტო ცენტრისა და საკუთარი გამომცემლობის შექმნა და სხვა სამეცნიერო და გამოყენებითი საქმიანობით ინსტიტუტი საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე სამეცნიერო დაწესებულებადაა აღიარებული, რაც ყველა თაობის მეცნიერ-ეკონომისტებში და ასევე ჩემში სიამაყის გრძნობას იწვევს.

გულწრფელად ვულოცავ ინსტიტუტს და ქართულ ეკონომიკურ საზოგადოებას ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ შემდგომში ახალ-ახალ წარმატებებს.

უღრმესი პატივისცემით,

იაშა მესხია

ემდ, თსუ პროფესორი

## პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სახელოვანი გზა და ღირსეული ტრადიციები

ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს, რომ „ერის ისტორიულ წინსვლასა და სულიერ აღორძინებაში დიდ როლს თამაშობენ კულტურის მახასიათებლები, ხოლო მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეცნიერებასა და განათლებას“. ქართველი ერის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს საქართველოში ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 1944 წელს ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პ. გუგუშვილის ინიციატივითა და თაოსნობით. თითქმის 32 წლის განმავლობაში ინსტიტუტს სათავეში ედგა ეს ბუმბერაზი მეცნიერი, საზოგადოებრივად გამორჩეული პიროვნება, რომლის მოღვაწეობამაც ბევრად განსაზღვრა ინსტიტუტის

ავტორიტეტი და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივა.

პაატა გუგუშვილი გახლდათ მასშტაბური მოაზროვნე, მის კალამს ეკუთვნის 400-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც მეცნიერმა არამხოლოდ ეკონომიკის, არამედ სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის და მეცნიერების სხვა დარგების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გამოკვლევას მიუძღვნა, რაც მეტყველებს ამ ნაშრომების ავტორის მაღალ ენციკლოპედიურ განათლებასა და მრავალმხრივ განვითარებულ ერუდიციაზე.

პ. გუგუშვილი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი გახლდათ. საკმარისია გავისხენოთ მისი მონაწილეობა სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესზე იტალიაში 1959 წელს, სადაც გერმანელმა პროფესორმა ნიულონმა, მისი მოხსენება „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ“, დაახასიათა როგორც პრობლემის მეცნიერული შესწავლის მაღალი ნიმუში, რისი შედეგიც იყო მისი არჩევა მსოფლიო სოციოლოგიური საბჭოს წევრად. აქტუალობა არ დაუკარგავს მის კვლევას, რომელიც მეცნიერმა წარმოადგინა 1962 წელს, ავსტრიაში ეკონომისტთა მეორე მსოფლიო კონგრესზე: „ეკონომიკური განვითარების ფაქტორებისა და ტემპების შესახებ“. მისი მოხსენებები შესულია სხვადასხვა სიმპოზიუმებსა და კონფერენციების მასალებში, როგორც ქართულ ასევე რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. სო-

ციოლოგიის პრობლემებს მან მიუძღვნა ორი ტომი სოციოლოგიური ეტიუდების სახელწოდებით. მეცნიერთა ყურადღებას დღესაც იქცევს პ. გუგუშვილის მიერ დემოგრაფიის კვლევის საქმეში შეტანილი წვლილი. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მან სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით ახსნა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959წწ.)“. 1961 წელს სორბონის (პარიზის) უნივერსიტეტმა თავის ჟურნალში გამოაქვეყნა პაატა გუგუშვილის ვრცელი სტატია ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების შესახებ, რომელიც დაიწერა თვით ფრანგი ეკონომისტების - პროფესორ ბენიგრენის და სხვათა თხოვნით. მეცნიერს დიდი დამსახურება აქვს ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. მან ნახევარ საუკუნეზე მეტი იმუშავა ამ მიმართულებით.

არც მტერი და მოწურნე აკლდა ღვაწლმოსილ მეცნიერს. სამწუხაროა, რომ ისინი იბრძოდნენ დიდი მეცნიერის წინააღმდეგ და ხშირად გამოდიოდნენ ცილისმწამებლური ბრალდებებით.

როგორც აღინიშნა, ინსტიტუტის პირველი დირექტორი იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. შემდეგ დირექტორები იყვნენ აკადემიკოსები: ა. გუნია, ვ. პაპავა, პროფესორი გ. წერეთელი. ამჟამად ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე, რომელიც ღირსეულად აგრძელებს პ. გუგუშვილის



მიერ ინსტიტუტში დამკვიდრებულ მეცნიერული კვლევის ტრადიციებს.

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, 1944 წელს ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკური აზროვნების კულტურის ამაღლებისათვის..

ნიშანდობლივია ისიც, რომ ინსტიტუტმა დიდი როლი ითამაშა ომის შემდეგ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენაში, მოამზადა ამ თვასაზრისით უმნიშვნელოვანესი თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა და პრაქტიკული რეკომენდაციები. თუ ვიმსჯელებთ ინსტიტუტის იმდროინდელ საქმიანობაზე ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, ეკონომიკური პრობლემების დამუშავებასა და კვალიფიციური კადრების მომზადებაში შეტანილი წვლილით, შეიძლება ითქვას, რომ ის იმ პერიოდის ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მეცნიერული კვლევის უდაო ლიდერი იყო.

ინსტიტუტის მაღალ მეცნიერულ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მის პირველ სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები: აკადემიკოსი ს. ჯანაშია, აკადემიკოსი ნ. კეცხოველი პროფესორები: პ. გუგუშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. გეხტმანი და ნ. ქოიავა, დოცენტები: ა. კაკაბაძე, ი. ბაჯაძე, ნ. იაშვილი, ი. ჯაში, ლ. კარბელაშვილი, ნ. ტყეშელაშვილი, ი. მიქელაძე.

ბოლო წლებში ინსტიტუტში არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე იქნა განხორციელებული. მაგალითად: ინსტიტუტის ამჟამინდელი დირექტორის პროფ. რ. აბესაძის თაოსნობით 2008 წელს დაფუძნდა ინსტიტუტის პერიოდული გამოცემა საერთაშორისო ჟურნალი „ეკონომისტი“, პერიოდული გამოცემა – “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული”, ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები, გამოიცემა შესაბამისი კრებულები და სხვა.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე ინსტიტუტში ფუნქციონირებდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოები. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები: პ. გუგუშვილი და ა. გუნია, ვ. პაპავა, პროფესორები გ. წერეთელი და რ. აბესაძე). 1998 წელს წილად მხვდა ბედნიერება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სპეციალიზებულ სადისერტაციო საბჭოზე (თავმჯდომარე აკადემიკოსი ვ. პაპავა) დამეცვა სადოქტორო დისერტაცია.

მეცნიერებისა და განათლების სფეროში ბოლო წლებში საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების, ამ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ბოლომდე გაუაზრებელი პოლიტიკის მიუხედავად, ინსტიტუტს თავისი ეროვნული ფუნქცია და მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მიუხედავად შეჭირვებული ეკონომიკური ყოფისა აქტიურად ცდილობს შეიტანოს თავისი თეურიულ-მეთოდოლო-

გიური წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ პროგრესში, რაც უდაოდ მისი სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებელი კოლექტივისა და მისი თავკაცის - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის დამსახურებაა. ასევე აღსანიშნავია ის, რომ ამ ინსტიტუტში ახლაც საქმიანობს საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელსაც ღომის წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის წარმატებებში.

უდაოა, რომ ინსტიტუტმა სახელოვანი გზა განვლო და ახლაც ღირსეულად აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს.

ინსტიტუტის სახელოვან კოლექტივს, მის თითოეულ თანამშრომელს მინდა მივულოცო იუბილე და ვუსურვო აქტიური მოღვაწეობა ერის წინაშე არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში.

**თეიმურაზ შენგელია**  
ემდ, პროფესორი

## **საქართველოს ეკონომიკის ინსტიტუტი ჰაერივით სჭირდება!**

ვულოცავ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა

გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს და მის ბრწყინვალე კოლექტივს, პროფესორ რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით, დაარსებიდან 70-ე წლისთავს.

ეკონომიკის ინსტიტუტი ჩემი მშობლიური ინსტიტუტია, საკუთარი თავი მის ორგანულ შემადგენელ ნაწილად მიმაჩნია, მასთან არის დაკავშირებული ჩემი შრომითი ბიოგრაფიის საუკეთესო წლები. ახლაც, სადაც არ უნდა ვშრომობდე და ვმოდგავებოდე, თავი მაინც ამ ინსტიტუტის თანამშრომლად მიმაჩნია.

ეკონომიკის ინსტიტუტი ყოველთვის იყო და არის საუკეთესო მეცნიერ-ეკონომისტების სამჯედლო. მიუხედავად რთული, ტრანსფორმაციული პერიოდისა ინსტიტუტის კოლექტივი აგრძელებს თავის ტრადიციებს – გამოიცემა რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი - “ეკონომისტი”, სადაც იბეჭდება საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერების უაღრესად საინტერესო სტატიები, ყოველწლიურად მაღალ დონეზე ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გამოდის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მონოგრაფიები, ინსტიტუტის ვებგვერდზე ყველასათვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო კონფერენციების მასალები და მრავალი სხვა.

განსაკუთრებულია ეკონომიკის ინსტიტუტის მისია ახალი ეკონომიკური ცოდნის საუკუნეში. მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციაში აქტიურად ჩართულ საქართველოს ჰაერივით სჭირდება ახალი, კონკურენტუნარიანი მეცნიერული იდეები,

თანამედროვე ცოდნის გაფართოებული კვლავწარმოება, რომლის გარეშე წარმოუდგენელი თანამედროვე გლობალური პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა, საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანუ სარგებლიანობის ამაღლება, მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის საფუძველზე დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა და საზოგადოების საყოველთაო და დიფერენცირებული კეთილდღეობა, რამაც უნდა დაბადოს თითოეულ ჩვენთაგანში კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტიზმის გრძნობა.

**უშანგი სამადაშვილი**

ემდ, თსუ ასოცირებული პროფესორი

## **პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი 70 წლისაა**

ინსტიტუტი შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ქვეყანას ომთან დაკავშირებული მრავალი სხვა გადაუდებელი პრობლემები ჰქონდა. ეს ფაქტი მიანიშნებს ქართველი ერის მეცნიერებისადმი დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე. ასეთ რთულ ვითარებაში ინსტიტუტის დაარსებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით იმ პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე

საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებს - ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს.

ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოები ძირითადად პროფ. პაატა გუგუშვილმა შეასრულა. ამდენად, ბატონი პაატას როლი ინსტიტუტის დაფუძნებაში მეტად დიდია.

პროფ. პ. გუგუშვილის დირექტორად დანიშვნამ მომავალში ინსტიტუტის წარმატებული საქმიანობა განაპირობა.

პროფ. პ. გუგუშვილი ძალ-ღონეს არ იშურებდა ახლად დაფუძნებული ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, კერძოდ, ეკონომიკური კვლევების, მოწინავე მსოფლიო თუ საკავშირო ცენტრებთან კორდინაციისათვის. მჭიდრო კავშირ-ურთიერთობებს ამყარებდა ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრებთან – სამეცნიერო კონფერენციების, სესიების, კონგრესების, ფორუმებისა და ა.შ. მუშაობაში აქტიური მონაწილეობით. ბატონმა პაატამ იმთავითვე წინდახედულად და გააზრებულად შეარჩია საკვლევო პრობლემები. მან მეცნიერული კვლევის სფეროდ განსაზღვრა – ეკონომიკური თეორია, სახალხო მეურნეობის ისტორია, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ეროვნული ეკონომიკის ძირითადი დარგების ეკონომიკა, სოციოლოგია, დემოგრაფია; აგრეთვე მიზნად დაისახა ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავება და სხვა.

პრობლემების სწორად შერჩევამ და მაღალმეცნიერულ დონეზე გაანალიზებამ შესაძლებელი გახა-

და როგორც პირადად ბატონი პაატას, ისე მთლიანად ინსტიტუტის კოლექტივის მიერ რიგი ისეთი სიღრმისეული საზოგადოებრივი პროცესებისა და მოვლენების სოციალურ-ეკონომიკური ბუნების ასსნა, რომლებიც მანამდე არ იყო მიგნებული და შესწავლილი მეცნიერების მიერ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა პაატამ ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით და თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით მყარი საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას და დაამკვიდრა სისტემური კვლევა-ძიების ტრადიციები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შემოქმედებით-სამეცნიერო მოღვაწეობასთან, ისინი ერთმანეთისაგან განუყოფელია და მათი როლისა და დამსახურების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეფასება შეუძლებელია.

მეტად დიდია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება საქართველოში დემოგრაფიის (დემოლოგიის), როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგის დაფუძნებაში.

ქართული ჟურნალისტიკათმცოდნეობაც ვერ დაივიწყებს ბატონ პ. გუგუშვილის ღვაწლს, რადგან მან შექმნა ჟურნალისტიკის ისტორიის პირველი სახელმძღვანელო, რითაც დასაბამი მიეცა ჟურნალისტიკის ისტორიის კვლევას საქართველოში. მხედველობაში გვაქვს „ქართული ჟურნალისტიკა (ტომი I, 1941 წ.). მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შექ-

მნილი ეკონომიკის ინსტიტუტი უკვე 60-იანი წლების დასაწყისიდან გადაიქცა საქართველოში მეცნიერული კვლევების ცენტრად, სადაც 200-ზე მეტი მეცნიერ-მუშაკი მოღვაწეობდა.

ინსტიტუტში ფუნქციონირებდა პოლიტიკური ეკონომიის, სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის, ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის, ეროვნული ეკონომიკის ძირითადი დარგების – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის განყოფილებები.

ინსტიტუტში ბატონი პაატას ხელმძღვანელობით მუშაობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: აკად. ვ. ჩანტლაძე, აკად. ა. გუნია, პროფესორები – ნ. იაშვილი, ა. ნუცუბიძე, ი. ბაჯაძე, კ. ჩარკვიანი, მ. კახეთელიძე, ბ. ხასია, გ. პაპავა, დ. ქორიძე, ვ. დათუკიშვილი, ვ. ხარბელია, ა. სტეფანიშვილი, ა. ბრეგვაძე და სხვები.

ეკონომიკის ინსტიტუტის ე.წ. მეორე თაობის თანამშრომელთა უმრავლესობამ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხარისხები დაიცვეს ბატონი პაატას ხელმძღვანელობით. დღეს ისინი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო ცენტრებსა და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში წარმატებით მოღვაწეობენ. მათი ჩამოთვლა ამჟამად გაგვიჭირდება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ მომავალში ინსტიტუტს წარმატებით ხელმძღვანელობდნენ და დირექტორები გახდნენ ცნობილი ქართველი მეცნი-



ერები: აკადემიკოსი ვლ. პაპავა, პროფ. გ. წერეთელი. ამჟამად მათ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს პროფ. რ. აბესაძე. გასახარია, რომ ინსტიტუტი, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, წარმატებით ართმევს თავს მოვალეობას.

ვულოცავ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, მთელ კოლექტივს, ამ ღირსშესანიშნავ დღეს და ვუსურვებ წარმატებებს.

**ამირან ჯიბუტი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## **სახელოვანი ინსტიტუტის ღირსეული 70 წელი**

ბედნიერია ყველა ის ადამიანი, ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ღირსებია აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან შეხვედრა. ბატონი პაატა საოცრად თავისებური და უჩვეულოდ ღრმა ადამიანი იყო. მას წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო მოწაფე ქართული კულტურისა და მეცნიერების უღაოდ ჭემმარიტი ისეთი კორიფეებისა, როგორებიც იყვნენ ბატონები, ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. ის გახლდათ ერთ-ერთი უნიჭიერესი ადამიანი, რისი დასტურიც ისაა, რომ 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე, მას ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რაც

იშვიათი მოვლენა იყო, როგორც იმდროინდელ, ასევე შემდგომდროინდელ საქართველოშიც.

იგი მაგალითის მიმცემი იყო იმდროინდელი ახალგაზრდობისათვის და სრულიად ახალგაზრდა სტატიებს, რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს და ნარკვევებს აქვეყნებს საერთოდ ეკონომიკური მეცნიერებისა და კერძოდ ჩვენი ქვეყნის განვითარების მრავალ სხვადასხვა პრობლემებზე. უაღრესად საინტერესო იყო მისი პირველი საკმაოდ კაპიტალური ნაშრომი, რომელიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1929 წელს და მიეძღვნა ქართული წიგნის სტამბური გამოცემის 300 წლისთავს. ბატონმა პაატა გუგუშვილმა ასევე სრულიად ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელსაც დიდი შეფასება მისცეს სახელოვანმა ქართველმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა, როგორც ძალზე ავტორიტეტულმა და პრინციპულმა ოფიციალურმა რეცენზენტ-ოპონენტებმა. ბატონი პაატას მიერ დაცული ეს დისერტაცია განსაკუთრებით აღსანიშნავი იმიტომაც არის, რომ იგი საქართველოში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია იყო ეკონომიკის სპეციალობით.

ჩემს თავს ბედნიერად მივიჩნევ იმიტომ, რომ ახპირანტურაში ჩავაბარე 1966 წლის სექტემბერში, იმდროინდელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, პოლიტიკური ეკონომიის სპეციალო-

ბით. ამ დროისათვის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ბატონი პაატა გუგუშვილი. ჩვენდა საბედნიეროდ ინსტიტუტში მოქმედებდა სამეცნიერო საბჭო, რომლის სხდომები ყოველკვირეულად იმართებოდა და სხდომები მიჰყავდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილს. საბჭოს თავისებურება ის გახლდათ, რომ რამდენი საკითხიც არ უნდა ყოფილიყო განსახილველი, იგი ერთ საათში მთავრდებოდა. ცხადია ეს ასე იმიტომ ხდებოდა, რომ საკითხები მომზადებული იყო წინასწარ და ყველაფერი ლაკონურად მიმდინარეობდა. ბატონი პაატა არავის არ აძლევდა ზედმეტი ლაყბობის უფლებას.

ბატონი პაატა ხომ უადრესად მაღალი რანგის აკადემიკოსი იყო, მაგრამ მას გვერდს უმშვენებდნენ ასევე ცნობილი მეცნიერები, პროფესორები: ვახტანგ კახეთელიძე, ავთანდილ გუნია, ბექირბი ხასია, აპოლონ ნუცუბიძე (ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი), გვანჯი მანია, არჩილ სტეფანიშვილი, გივი უვანია, თინათინ წერეთელი, თამაზ შავგულიძე და მრავალი სხვა.

ბატონი პაატა გახლდათ მეცნიერების დიდი ორგანიზატორი, ინსტიტუტი ერთ მუშტად იყო შეკრული და იმ დროს იმხელა საბჭოთა კავშირში არც მგონია თუ სადმე იყო უკეთესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ბატონ პაატას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ახალგაზრდა მეცნიერული კადრების გაზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. იმ დროისათვის ახალგაზრდა, მზარდი მეცნიერებისათვის მეცნიერულ მუშაობაში

დიდი ხელშემწყობი და მასალების მოპოვების უდიდესი წყარო იყო მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში ახალგაზრდა მეცნიერთა მისაველენად ბატონი პაატა არაფერს იშურებდა. მართლაც ზღვა მასალის მოპოვება შეიძლებოდა ამ დალოცვილ ბიბლიოთეკაში. დღეს ჩვენც და ჩვენი ახალგაზრდობაც ბედნიერები ვართ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ადგილზე შეიძლება ნებისმიერი მასალის და სხვადასხვა წყაროს მოპოვება, მეცნიერული ზრდისათვის.

აქ ჩემს მიერ ჩამოთვლილი კეთილი საქმეები ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ამ დალოცვილ ადამიანს გაუკეთებია საქართველოში ეკონომიკური მეცნიერული აზრის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, რაზედაც უდიდესი მადლობა მას ყველა მადლიერი ქართველისაგან, რომელთაც უანგაროდ უდიდესი დახმარება გაუწია და ცხოვრებისეულ გზაზე გაიყვანა. ამავე ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სახელოვანი ქართველი მეცნიერი, ბატონი ვლადიმერ პაპავა, რომელიც ღირსეულდ აგრძელებს ბატონი პაატას განვლილ სახელოვან გზას. მან საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა ინსტიტუტის აღორძინებისათვის, მაგრამ მოკლე გამოდგა ეს პერიოდი, იგი დააწინაურეს და ეკონომიკის მინისტრი გახდა, ხოლო დღეს ყველაზე უფრო საპატიო ადგილი უკავია, ჩვენი ერის სათაყვანო უნივერსიტეტის რექტორია და ცდის საკუთარ ძალებს ქართული მეცნიერების აღორძინებისათვის.

ინსტიტუტის მეცნიერ მოღვაწეებს შორის ღირსეული ადგილი უკავია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლეო ჩიქავას, რომელიც რამდენიმე წელს ნაყოფიერად მუშაობდა ბატონი პაატას მოადგილედ, ხოლო შემდგომ ჩამოაყალიბა დემოგრაფიის ინსტიტუტი და აქ ნაყოფიერად განაგრძო მუშაობა მრავალი წლის განმავლობაში.

სახელოვანი ინსტიტუტი კინალამ გადაყვა „პერესტროიკას“, მაგრამ ბედმა გვიშველა და ისე მიდის საქმეები, რომ იგი უნდა გადარჩეს. ამის იმედს ისიც მიღრმავებს, რომ მას დღეს სათავეში უდგას ახალგაზრდა ნიჭიერი კაცი, მეცნიერად ამავე ინსტიტუტში გაზრდილი და ჩამოყალიბებული – რამაზ აბესაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელიც თავის კოლეგებთან ერთად ძაღლონეს არ იშურებს ინსტიტუტის გადასარჩენად.

არ შეიძლება ორიოდვე სიტყვით არ მოვიხსენიოთ საოცრად ნიჭიერი და გულიანი კაცი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი ბექირბი ხასია, რომელმაც თავი შესწირა ინსტიტუტს და თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას კარგი კაციაო, ერთ-ერთის, მისი დასახელება შეიძლება. აქვე მინდა გავიხსენო ჩემი საკანდიდატო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი აპოლონ ნუცუბიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, ბატონი მიხეილ (ვახტანგ) კახეთელიძე, ბატონი ნიკოლოზ იაშვილი, ბატონი ვასილ ჩანტლაძე,

ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი გვანჯი მანია და მრავალი სხვა.

აქვე მინდა აღვნიშნო ბატონი რევაზ გოგოხიას შესახებ, რომელიც ბატონი პაატას დიდი თანამებრძოლი იყო, ძალიან უყვარდა და აფასებდა და დღესაც დიდად ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას ეკონომიკური მეცნიერების სამსახურში, არის ჟურნალის მთავარი რედაქტორი და ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს.

ვფიქრობ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ განვლილი სახელოვანი გზა დიდი ჩირაღდანი იქნება ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ამ გზით სიარულს მოინდომებენ. დღეს თქვენ ახალი გზა გეხსნებათ ახალ პირობებში მუშაობისათვის და დალოცვილი ყოფილიყოს ეს გზა თქვენთვის, ამინ!

**კარლო ლურჯკაია**

ემდ, სტუ სრული პროფესორი

## **პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი – 70: მეცნიერული შემოქმედების კერა!**

გულწრფელად ვულოცავ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 70 წლის იუბილეს და ვუსურვებ შემდგომ საერთაშორისო მნიშვნელობის შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

ინსტიტუტის შექმნაში და განვითარებაში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ფასდაუდებელი წვლილის შემდეგ, უდავოდ უნდა აღინიშნოს აკადემიკოს ლადო პაპავას – როგორც ინსტიტუტის დირექტორის – განსაკუთრებული წვლილი ინსტიტუტის შემოქმედებით წინსვლაში, რომელიც ღირსეულად გააგრძელა პროფესორმა გიორგი წერეთელმა და რომელსაც ამჟამად ღირსეულად აგრძელებს პროფესორი რამაზ აბესაძე.

კიდევ ერთხელ ვულოცავ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 70 წლის იუბილეს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს მეცნიერული შემოქმედების გზაზე.

**ალფრედ კურატაშვილი**

ემდ, პროფესორი, განყოფილების გამგე

## **ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანი**

ეკონომიკური კვლევა-ძიებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო 70 წლის წინათ, იმდროინდელი სახელისუფლებო ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსება, რომლის შექმნისა და ამოქმედების სათავეებთან იდგნენ დიდი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეთაურობით. ამ

მოვლენამ სათავე დაუდო და ფაქტობრივად, საფუძველი შეუქმნა საქართველოში ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული დარგების სწრაფი ტემპებით განვითარებას.

ინსტიტუტმა, თავისი არსებობის მანძილზე, დიდი და ღრმაშინაარსიანი მეცნიერული ცხოვრების გზა განვლო. იგი ამ ხნის მანძილზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპების შესაბამისად, წარმატებით ართმევდა თავს ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მეცნიერული შესწავლის, კვლევა-ძიების შედეგების პრაქტიკული გამოყენებისა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების დიდსა და საპატიო საქმეს. სწორედ ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და მის მიერ მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრების ხარჯზე ქვეყანაში შეიქმნა მეცნიერული კვლევა-ძიების არაერთი დაწესებულება. ინსტიტუტში აღიზარდა მეცნიერ-ეკონომისტთა და იურისტთა თაობები, რომლებიც წარმატებით მუშაობდნენ და ამჟამადაც მუშაობენ არა მხოლოდ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ ეკონომიკისა და სამართალდამცავი სფეროების ყველაზე მაღალი რანგის სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

ეკონომიკის ინსტიტუტის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა მის



შემადგენლობაში ქართული სამეცნიერო ეკონომიკური ჟურნალის – „საქართველოს ეკონომისტის“ დაარსებამ, რომლის სულისჩამდგმელი და დიდი ხნის მანძილზე მთავარი რედაქტორ-გამომცემელი იყო აკად. პაატა გუგუშვილი. ეს ჟურნალი გახდა მეცნიერული კვლევის შედეგების პუბლიკაციისა და პრაქტიკული რეალიზაციის შესანიშნავი საშუალება, სადაც ცნობილ მეცნიერ-მკვლევარებსა და პრაქტიკოს-სპეციალისტებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომლებიც. სწორედ ამ ჟურნალში აიდგა ფეხი ბევრმა ასპირანტმა და დამწყებმა მეცნიერ-მკვლევარმა, რომელთაც შემდგომში წარმატებით გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ დაწესებულებებში.

რაოდენ სასიხარულოა, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ, ინსტიტუტში კვლავ იქნა აღდგენილი ქართული სამეცნიერო-ეკონომიკური ჟურნალი, რომელიც 2009 წლიდან ინსტიტუტის გრიფით სისტემატურად გამოდის მისი დირექტორის – პროფ. რ. აბესაძის რედაქტორობით.

ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივს, მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები – აკადემიკოსი პ. გუგუშვილი, აკად. ა. გუნია, აკად. ვლ. პაპავა, პროფ. გ. წერეთელი. მიუხედავად დიდი „პერეტრუბაციებისა“ და სიძნელეებისა, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ივ. ჟავახიშვილის თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში, დღესაც წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას მისი დირექტორის პროფ. რ. აბესაძის ხელმძღვანელობით, ღირსეულად ავითარებს ინსტიტუტში შექმნილ სამეცნიერო კვლევა-ძიების ძირძველ ტრადიციებს, შედარებით მწირი სამეცნიერო პოტენციალისა და ფინანსური რესურსების პირობებში, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური თეორიისა და ქვეყნის წინაშე მდგარი მწვავე ეკონომიკური პრობლემების შესწავლა-დამუშავებაში.

მთელი სულითა და გულით ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს, მის სამეცნიერო კოლექტივს პროფ. რ. აბესაძის ხელმძღვანელობით და ყველა მათ, ვინც გვერდში უდგას ამ დიდი ტრადიციების მქონე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების გაძლიერებისა და აღორძინება-განვითარების დიდ სამამულიშვილო საქმეს. ვუსურვებ ინსტიტუტს ახალ-ახალ დიდ წარმატებებს სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერების, მეცნიერული კვლევა-ძიების გაფართოება-გაღრმავებისა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

### **რევაზ ჯავახიშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, ინსტიტუტის  
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

## მისაღმება

საკუთარი ოჯახის შემდეგ, ჩემთვის ყველაზე ძვირფასს, სათაყვანებელსა და მშობლიურს, ჩემს მეორე ოჯახს, რომლის წევრიც უკვე 55-ე წელია ვარ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ეკონომიკისა და სამართლის, ახლა თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს, მის სახელოვან კოლექტივს, ყველა აქ აღზრდილ კანდიდატსა და დოქტორს, ასპირანტსა თუ ლაბორანტს, ყველას ვისაც ამ ინსტიტუტთან შეხება ჰქონია, უგრძობია მისი ხიბლი, გულის ფეთქვა, მისგან წამოსული სიკეთე და სიბოლო, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავს და ვუსურვებ შემდგომ დიდ და თვალსაჩინო წარმატებებს მეცნიერებასა და ცხოვრებაში, ვისურვებდი, რომ ინსტიტუტს ჰქონოდა მის წინაშე მდგარი ყველა სიძნელისა და გამოწვევის გადაწყვეტის შესაძლებლობა, რაც პირველ რიგში მის მატერიალურ ბაზასა და თანამშრომლების ანაზღაურებას ეხება.

სამოცდაათწლიანი ისტორიის მქონე ინსტიტუტმა თავისი წარმატებული ცხოვრება და საქმიანობა სამამულო ომის მრისხანე დღეებში დაიწყო, მისი დამაარსებლისა და პირველი დირექტორის, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერისა და დიდი ერისკაცის აკად. პ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც ის 32 წლის განმავლობაში უძღვებოდა. განვლილ პერიოდში ინსტიტუტს ბატონი პაატას

შემდგომ კიდევ ოთხი დირექტორი ჰყავდა: აკად. ა. გუნია, აკად. ვ. პაპავა, პროფ. გ. წერეთელი. ახლა მას რიგით მეხუთე, პროფ. რ. აბესაძე ხელმძღვანელობს. ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველი მათგანი ინდივიდუალურად გამორჩეული და ღირსეული პიროვნება აღმოჩნდა, რომელთაც ინსტიტუტი ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების კვლევის უპირველეს ცენტრად აქციეს და უდიდესი წვლილი შეიტანეს მის წარმატებებსა და საქვეყნოდ აღიარებაში. ინსტიტუტი ყოველთვის იყო და არის ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ეპიცენტრში. ის ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს პრინციპით – მაქსიმალური ძალისხმევით აკეთოს ქვეყნისა და საზოგადოების სასარგებლო საქმე, საკუთარ თავზე მიიღოს ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები და ეცადოს მათ წარმატებით გადაწყვეტას, იშრომოს თუნდაც მხოლოდ ენთუზიაზმის ხარჯზე, მაგრამ არასდროს უღალატოს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. ასე ცხოვრობდა და შრომობდა ის 70 წლის განმავლობაში და ასე აპირებს მის გაგრძელებას მომავალშიც. ვუსურვოთ მას შემდგომი კიდევ უფრო წარმატებული ცხოვრება და შემოქმედება და მისი აღმნიშვნელი ბევრი საიუბილეო თარიღი.

### **ნანული არევაძე**

ეკონომიკის დოქტორი, ინსტიტუტის  
მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე

## მოგონება

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. ინსტიტუტი მეორე მსოფლიო ომის იმ ქარცეცხლიან დღეებში შეიქმნა, როდესაც ქვეყანა დიდი საფრთხის წინაშე იდგა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებისა და ცალკეული გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტის ძალისხმევით ინსტიტუტმა ფუნქციონირება დაიწყო და თავის ირგვლივ შემოიკრიბა იმ პერიოდის თითქმის ყველა ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი.

ინსტიტუტმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ეკონომიკური და იურიდიული მეცნიერების განვითარების საქმეში. აარსებიდან დღემდე ინსტიტუტი ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანს, რამდენადაც ამ ინსტიტუტში დამუშავებული მეცნიერული შრომები საფუძველს უყრიდა ქვეყანაში გასატარებელ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ინსტიტუტში წლების მანძილზე საქმიანობდა საკანდიდატო და სადოქტორო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოები, სადაც სამეცნიერო ხარისხის მაძიებლები საქართველოს ყველა კუთხიდან, მათ შორის აჭარიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან წარმატებით იცავდნენ სამეცნიერო ხარისხს და აქტიურად აგრძელებდნენ საქმიანობას სამეურნეო და პედა-

გოგიურ ასპარეზზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ათეული წლების განმავლობაში, ეკონომიკის დარგის სხვადასხვა სპეციალობაში ინსტიტუტში ფუნქციონირებდა დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურა, სადაც ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმატებით კურსდამთავრებულები, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ მეცნიერული კვლევის მეთოდებსა და ხერხებს. ინსტიტუტის მრავალი ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელი წარმატებით აგრძელებდა საქმიანობას სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, როგორც სამეურნეო, ისე სამეცნიერო სფეროში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, წლების მანძილზე, მაღალი რანგის სპეციალისტების სამჭედლოს წარმოადგენდა.

იმ ძნელბედობის ქამს, როდესაც ქვეყანას ძლიერ უჭირდა, სიცივეში, გაზისა და სინათლის გარეშე, სეკვესტრირებული ხელფასის პირობებში ეკონომიკის ინსტიტუტი აქტიურ სამეცნიერო მუშაობას განაგრძობდა. ინსტიტუტში ფუნქციონირებდა ასპირანტურა, გრძელდებოდა ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოების საქმიანობა, ტარდებოდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ქვეყნდებოდა მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. გასახარია, რომ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი ამ პერიპეტებიდან კიდევ უფრო გაძლიერებული გამოვიდა.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის დიდი მუშაობა, რომელსაც ინსტიტუტის კოლექტივი, დირექციის ხელმძღვანელობით, წარმატებით ახორციელებს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დასამკვიდრებლად და ეკონომიკური კრიზისიდან თავდასაღწევად. ამასთან ინსტიტუტში აქტიურად გრძელდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მეცნიერები ახლო და შორეული საზღვარგარეთიდან; ქვეყნდება ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული (ცალკე ოთხტომეული და შემდეგ ექვსტომეული), მონოგრაფიები, ბროშურები, სამეცნიერო სტატიები და სხვა.

ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებულმა მონოგრაფიებმა და სამეცნიერო სტატიებმა ფართო აღიარება მოუტანეს როგორც მის ავტორებს, ისე აკად. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს.

მე, როგორც ამ ინსტიტუტის რიგითი თანამშრომელი, რომელმაც ინსტიტუტში გაიარა გზა ასპირანტიდან უმცროს და უფროს მეცნიერთანამშრომლამდე, ლაბორატორიის გამგის და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივნამდე, ვუსურვებდი ჩემს მშობლიურ ეკონომიკის ინსტიტუტს ტრადიციისამებრ ყველა იმ დაბრკოლების გადალახვას, რაც მის წინაშე ხშირად დგას, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგომას, საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებას, რომლითაც ასე

ვამაყობთ, როგორც მისი ახლანდელი, ისე ყოფილი თანამშრომლები და მთელი სამეცნიერო საზოგადოება.

**ლინა დათუნაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, სამეცნიერო  
საბჭოს სწავლული მდივანი



მილოცვები  
უცხოეთიდან

XXI

## მილოცვა

ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. მიხარია და მეამაყება, რომ მეც ამ ინსტიტუტში ვმოდგაწეობდი წლების მანძილზე. დიდი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის შენარჩუნებასა და განვითარებაში ამჟამინდელ დირექტორს პროფ. რამაზ აბესაძესკოლექტივთან ერთად.

ინსტიტუტის მთელ შემადგენლობას ნიუ-იორკიდან ვულოცავ 70-ე წლისთავს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

**მიხეილ როკეტლიშვილი**

აკადემიკოსი, ნიუ-იორკი, 2014

## ეკონომიკის ინსტიტუტი 70 წლისაა

მეორე მსოფლიო ომის მძვინვარე პერიოდში, 1944 წელს დიდმა ერისკაცმა, უბადლო პატრიოტმა, მრავალმხრივ განსწავლულმა, მსოფლიო დონის მეცნიერმა, აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა დააარსა საქართველოს ისტორიაში პირველი ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც შედიოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. ბატონი პაატა ინსტიტუტს უცვლელად ხელმძღვანელობდა სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას. შემდგომ წლებში ამ ინ-

სტიტუტის ბაზაზე შეიქმნა მრავალი ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტი.

მიმდინარე წელს ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 70 წელი უსრულდება. უამრავი დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდა ინსტიტუტის კოლექტივს ამ ხნის განმავლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო 9 წლის პერიოდი, როდესაც ხელისუფლებამ ყველა დარგის დეგრადაცია მოახდინა. სხვადასხვა ხრიკებით გააუქმა ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტები, დარჩა მხოლოდ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ამ პირობებში ეკონომიკის ინსტიტუტის გადარჩენა ძირითადად ინსტიტუტის ხელმძღვანელთა, მათ შორის, მისი ახლანდელი დირექტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის, დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

სტუდენტობის წლებიდან ვიცნობ ბატონ რამაზ აბესაძეს როგორც მუყაით, წარჩინებულ სტუდენტს, შრომისმოყვარესა და კაცთმოყვარეს, მის მოღვაწეობაში იხატება პორტრეტი ამადლებული პიროვნებისა, რომელმაც, მეცნიერული კვლევა, პედაგოგიური საქმიანობა, საქვეყნო საქმის კეთება ცხოვრების მიზნად გაიხადა და შედეგიც სახეზეა. შეინარჩუნა ძველი დვაწლმოსილი კადრები, აღადგინა ჟურნალ „ეკონომისტიკა“ და „ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემა“, ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბატონმა რამაზ აბესაძემ გაპარტახებას გადაარჩინა აკადე-

მიკოს პაატა გუგუშვილის კაბინეტი, და დაუბრუნა პირველადი ფორმა. პროფესორ რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით ეკონომიკის ინსტიტუტი 2009-2010 წწ. შედეგების მიხედვით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ აღიარებული იქნა საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

სასიამოვნოა, რომ ამჟამად უნივერსიტეტის რექტორი არის აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის წინსვლაში. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს მისი შემდგომი განვითარებისათვის.

აშშ-დან ვულოცავ ეკონომიკის ინსტიტუტის მთელ შემადგენლობას დაარსებიდან 70 წლისთავს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

**დავით კურტანიძე**

პროფესორი, ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთის „დავითის ფარის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

ნიუ-იორკი, 2014 წ.

**თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის  
ინსტიტუტის დირექტორს  
პროფ. რ. აბესაძეს**

დიდი კმაყოფილების გრძნობით მინდა მოგილოცოთ პირადად თქვენ და თქვენი სახით ინსტი-

ტუტის მთელ კოლექტივს ინსტიტუტის დაარსების 70 წლისთავი. დაარსების დღიდანვე ინსტიტუტმა თავის გარშემო შემოიკრიბა სწავლულ ეკონომისტთა მთელი პლეადა და შეუდგა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკური აზროვნების კულტურის ამადლების საქმეს. იგი იყო და არის საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების სფეროში სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აღზრდის სამჭედლო. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შეიქმნა და გამოიცა მრავალი მეცნიერული ნაშრომი რომლებმაც სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. კერძოდ, აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების პ. გუგუშვილის, ა. გუნიას, ვ. ჩანტლაძის, ვ. პაპავას, აკადემიის წ/კორესპონდენტის ლ. ჩიქავას, პროფესორების გ. წერეთლის, რ. აბესაძის, გ. პაპავას და სხვათა ნაშრომები. ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ და ამჟამადაც აგრძელებენ საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში მუშაობას.

ეკონომიკის ინსტიტუტს დიდი ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის უმაღლესი განათლების წინაშე. არ არის დარჩენილი არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ინსტიტუტში მომზადებულ მეცნიერ-მუშაკებს წარმატებით არ ემუშავათ. ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალ-

იბებაში. მათი გამოცემები საფუძვლად დაედო მთელ რიგ სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტებს. ეკონომიკის ინსტიტუტს კავშირი აქვს საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან. მისი თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებსა, სიმპოზიუმებსა და სხვადასხვა შეხვედრებში. ასე, რომ დიდია ეკონომიკის ინსტიტუტის მოქმედების არეალი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში როგორც მთელ საქართველოს, ასევე ინსტიტუტს შეექმნა გარკვეული სიძნელეები. ინსტიტუტის კოლექტივის და პირადად მისი დირექტორის პროფ. რ. აბესაძის გულისხმიერი და დაუღალავი შრომით ბევრი სიძნელე იქნა გადალახული და დღეს იგი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს შორის ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილზე იმყოფება.

## **ვალერიან რეხვიაშვილი**

პროფესორი, ნიუ-იორკი, აშშ

!

70-

!

-

-

-

.

-





’ -  
.  
-  
-  
, , -  
, , -  
.  
,  
,  
, ,  
.  
!  
- -  
-  
70-  
.  
- -  
, -  
-  
.

,

-

-

!

.

( )

!

.

.

## სარჩევნი

<b>რამაზ აბუსაძე . . . . .</b>	<b>3</b>
სახელოვანი 70 წელი	
<b>მილოცვები . . . . .</b>	<b>71</b>
თამარ სანიკიძე . . . . .	72
ნოდარ ხადური . . . . .	73
გიორგი კვესიტაძე . . . . .	75
როინ მეტრეველი . . . . .	75
ვლადიმერ (ლადო) პაპავა . . . . .	78
ავთანდილ სილაგაძე . . . . .	81
ლეო ჩიქავა . . . . .	82
თეიმურაზ ბერიძე . . . . .	89
ნოდარ ჭითანავა . . . . .	91
პაატა კოღუაშვილი . . . . .	93
ბესარიონ გუგუშვილი . . . . .	93
შუშანა მარგველაშვილი . . . . .	99
ავთო სულაბერიძე . . . . .	100
ლაშა ბრეგვაძე . . . . .	107
დავით ჯანგულაშვილი . . . . .	113
სოსო პავლიაშვილი . . . . .	113
ნუგზარ პაიჭაძე . . . . .	115
რეზო გოგოხია . . . . .	117
როზეტა ასათიანი . . . . .	124
ელგუჯა მექვაბიშვილი . . . . .	127
რევაზ გველესიანი, გულნაზ ერქომაიშვილი, ირინა გოგორიშვილი, შალვა გოგიაშვილი, ეკა ლეკაშვილი, ლალი ხურციია, გიორგი გაფრინდაშვილი, თინათინ ავალიშვილი . . . . .	131
იაშა მესხია . . . . .	133
თეიმურაზ შენგელია . . . . .	139

უშანგი სამადაშვილი . . . . .	145
ამირან ჯიბუტი . . . . .	146
კარლო ღურჭკაია . . . . .	150
ალფრედ კურატაშვილი . . . . .	155
რევაზ ჯავახიშვილი . . . . .	156
ნანული არევაძე . . . . .	160
ლინა დათუნაშვილი . . . . .	162
<b>მილოცვები უცხოეთიდან . . . . .</b>	<b>166</b>
. . . . .	167
მიხეილ როკელიშვილი . . . . .	168
დავით კურტანიძე . . . . .	168
ვალერიან რეხვიაშვილი . . . . .	170
. . . . .	172
. . . . .	173
. . . . .	174
. . . . .	175

გამომცემლობის დირექტორი

**ნინო ებრაელიძე**

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1

1 Ilia Tchantchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 2252738

[WWW.press.tsu.edu.ge](http://WWW.press.tsu.edu.ge)